# ლელო

№102 (12 070)

30 დეკემბერი შაბათი 2006
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი


## 2006 წლის მთავარი მოვლენები 2-10













**კარგი ამბავი საახალწლოდ**
ორი დინამო ერთიანდება 4

**რამაზ შენგელია 50**
საუკუნის მეგოლე 5

**საქართველომ ჩვენს გულებში დიდი ადგილი დაიკავა!**
ინტერვიუ კლაუს და როზი ტოპმიოლერებთან 7

**გაიტანით საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები** 9

**მათნაძე კატალონიის ჩემპიონია** 10

**60 წუთი ანა კურნიკოვასთან ერთად** 16


## ერთად გავიტანოთ ლელო!

## 2007 გილოცავთ!


ყაზბეგი


**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 4 იანვარს**

მთავარი რედაქტორის სვეტი

## ჩვენ გავერთიანდით!

თუ სიკეთესთანაა წილნაყარი, ყოველგვარი გაერთიანება მისასალმებელია.
უპრეცედენტოა ის, რაც უკვე მოხდა. ჩვენს სინამდვილეში ორი სპორტული გაზეთი - "ლელო" და "სპორტი" გაერთიანდა. ორივე გაზეთმა გამოსვლის დღიდანვე დაიმსახურა ყურადღება და პატივი - ერთმა გასულ საუკუნეში, მეორემ კი ახალ ასწლეულში, 2002 წლიდან. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტის, ბატონ ბადრი პატარკაციშვილის წინადადებითა და მოწადინებით იქცა რეალობად ზემოხსენებული ეს გაერთიანება.
კიდევ ერთხელ დაფასდა "ლელოს" მიერ განვლილი და სასახელო გზა, ტრადიცია, გაწეული ღვაწლი, რომელიც მრავალწახნაგოვანია. ამის შესახებ, ყველაზე უკეთ, განსაკუთრებით უფროსმა თაობამ უწყის. მკაფიოდ და კრებითად "ლელოს" დამსახურება ერთ სიტყვაში ნივთდება - მემატიანე!
მაგრამ "ლელომ" სპორტულ ჟურნალისტთა თაობებიც აღზარდა, ქართული სპორტული ჟურნალისტიკა დააფუძნა და განავითარა, დახვეწა სპორტული ტერმინოლოგია, უხელმძღვანელა საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჩამოყალიბებას და ა.შ. 365 ათასი - ასეთი იყო "ლელოს" ტირაჟი სსრ კავშირის დაშლამდე. პროცენტულ შედარებას თუ დავესესხებით, მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე სპორტული გაზეთების ტირაჟების გათვალისწინებით, ყველაზე წინ ვიყავით.
დღეიდან იწყება "ლელოს" ახალი სიცოცხლე. ერთი მიზნის, კერძოდ, ქართული სპორტის ინტერესების სამსახურში დგება ტრადიცია და თანამედროვეობა, დაბრძენებული გამოცდილება და სიდინჯე, ახალგაზრდული შემართება და ენერგია.
გავიმეორებ ადრე ნათქვამს: აკადემიურობით, სერიოზულობით, მოვლენათა ხედვა-შეფასებით, გნებავთ სტილით, ენის სიწმინდისადმი ერთგულებით, პროფესიონალიზმით, ადამიანური ურთიერთობებით, საერთოდ, ყველაფრით, რაც მკითხველის საყვარელ გამოცემას უნდა ახასიათებდეს, "ლელოსთან" ყველაზე ახლოს გაზეთი "სპორტი" იდგა. ამიტომაც, გაერთიანების პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიარა.
ამიერიდან, ტრადიციებს ერთად გავაგრძელებთ. შევეცდებით, ერთგულ მკითხველს "ლელოს" სიყვარული არ მოვუშალოთ. ძალიან გვინდა, რომ XX საუკუნის საუკეთესო სპორტულ გაზეთად აღიარებულმა "ლელომ", ეს საპატიო წოდება XXI საუკუნეშიც შეინარჩუნოს. ჩვენ შეგვწევს ძალა, რომ საამისოდ მყარი საფუძვლები შევქმნათ.
ჩვენ გავერთიანდით, რადგან ღრმად გვწამს, რომ ერთიანი ძალებით მეტს მივაღწევთ...



# წლის გამორჩეული მოვლენები

წელი სრულდება და ამ დროს როგორც ხდება ხოლმე, განვლილ პერიოდში მომხდარი ჯამდება, ანალიზდება და მნიშვნელობის მიხედვით ლაგდება.
არაერთი მოვლენა იყო წლეულს მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველას გამორჩევა ამ ორ გვერდში ვერაფრით მოხერხდება. შევაცადეთ, მაქსიმალურად ობიექტურები ვყოფილიყავით და ის ათი ამბავი გამოვყავით, რომლებმაც ჩვენი აზრით ფეხბურთის მოყვარულთა ყველაზე მეტი ყურადღება დაიმსახურა.

## 1 ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია

ქართველმა გულშემატკივარმა და მთლიანად, ქართულმა ფეხბურთმა, თავისი სავიზიტო ბარათი დაიბრუნა. ბაზრად ქცეული ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი წლების განმავლობაში ქვეყნის სავალალო ყოფისა და ჩვენი ფეხბურთის შავი დღის სიმბოლო იყო და არც მისი აღორძინების რეალური წინაპირობა ჩანდა.
ქვეყნის ხელისუფლებისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, მთავარი ქართული არენის რეკონსტრუქციის საკითხი უკვე რეალურად დადგა დღის წესრიგში, მაგრამ მკვდარი წერტილიდან საქმის დაძვრამდე კიდევ ბევრმა წყალმა ჩაიარა.
რეკონსტრუქციას ბიძგი შვეიცარიაში ჩატარებულმა კენჭისყრამ მისცა, რომლის შედეგადაც, მსოფლიო გრანდების სამასპინძლოდ ევროპული დონის სტადიონი დაგვჭირდა. კარგად გახსოვთ, სამუშაოები მთელი ზაფხულის განმავლობაში, 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა. რეკონსტრუქცია სარეკორდოდ მოკლე დროში დასრულდა და უახლოეს მომავალში, სტადიონსგარეთ ჩასატარებელი სამუშაოების შემდეგ, ჩვენი სარბიელი კიდევ უფრო დამშვენდება.
ეს საშვილიშვილო საქმე მხოლოდ წლის საფეხბურთო ან გნებავთ, სპორტული მოვლენა კი არა, თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში ერთ-ერთი გამოსარჩევი ფაქტია.



## 2 კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებში

სტადიონის რეკონსტრუქცია რომ არა, ჩვენს ეროვნულ გუნდში კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნა წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი იქნებოდა. ჩვენში ბევრს არ სჯეროდა, რომ ასეთი დონის სპეციალისტი საქართველოში მუშაობას დათანხმდებოდა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა და იანვარში ტოპმ კონტრაქტზე მოგვიწერა ხელი. იქვე ისიც გაირკვა, რომ მასთან ერთად, საქართველოს ნაკრებში რალფ მინგე და კლაუსის ძმა ჰაინციც ილვაწებდნენ.
ტოპმიოლერს ქომაგთა ნდობა და მხარდაჭერა არ აკლია, თუმცა ოპონენტებიც არსებობენ. ვნახოთ, როგორი შედეგი ექნება ტოპმიოლერისა და ქართველი ფეხბურთელების ერთობლივ შრომას. წარმატება, ბუნებრივია, სხვებზე არანაკლებ, ოპონენტებსაც გაახარებს.



## 3 ქიდილი მსოფლიო ჩემპიონებთან

საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ურუგვაი – ერთ წელიწადში, უფრო სწორად კი, ერთ შემოდგომაზე ასეთ სახელოვან მეტოქეებთან თამაშს ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერ წარმოვიდგენდით. ქართველ გულშემატკივრებს გრანდების ხილვის სურვილი ნაწილობრივ კენჭისყრამ აუხდინა, ნაწილობრივ კი ფეხბურთის ფედერაციის ეფექტურმა მოლაპარაკებებმა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ამხანაგურად მოლდოვასა და სომხეთის გარდა, არავის ვეთამაშებოდით (ან არავინ გვეთამაშებოდა).
სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ფრანგებთან და იტალიელებთან ვერას გავხდით, სამაგიეროდ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჩაიწერება, რომ განახლებულ ეროვნულზე პირველი გამარჯვება მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ურუგვაისთან მოვიპოვეთ. პირველი გოლი კი, როგორც გახსოვთ, ერთი თვით ადრე, გიორგი შაშიაშვილმა გაიტანა "სკუადრა აძურის" კარში.



## 4 სპონსორთა მომრავლება

წლევანდელი წელი ქართული შიდა ასპარეზისთვის, სპონსორული კუთხით, უხვმოსავლიანი გამოდგა. შინაური ფეხბურთის მიმართ სოლიდურ კომპანიებს საკმაო ინტერესი გაუჩნდათ, რაც აქამდე დიდი იშვიათობა იყო. ორ ტურნირს უკვე სპონსორის სახელი ჰქვია – "ფოლკსვაგენის" სუპერთასი სულ ახლახანს გათამაშდა, მომავალი წლის 26 მაისს კი დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის" თასის გამარჯვებული გამოვლინდება.
რაც მთავარია, პროფლიგა რამდენიმე კომპანიასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის შედეგიც ის იქნება, რომ სულ მალე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას რომელიმე სპონსორის სახელი დაერქმევა.



## 5 დუშან უგრინი დინამოში

ქართული ფეხბურთის ფლაგმანს უცხოელ მწვრთნელთან საქმე ადრეც დაუჭერია, მაგრამ ასეთ სახელოვან სპეციალისტს საქართველოს ჩემპიონატში არასდროს უმუშავია. ევროპის ვიცე-ჩემპიონი დუშან უგრინი თბილისში დიდი გეგმებით ჩამოვიდა და სეზონის მეორე ნახევარში ვნახავთ, წაადგება თუ არა მისი მეთოდები "დინამოს". პირველი წრის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო კი, სახელგანთქმულ ჩეხს საყვედური ნაკლებად ეკუთვნის – სეზონის მსვლელობისას ჩაბარებული გუნდით წარმატების მიღწევა ძნელია, ასე რომ, უგრინის გარჯა მხოლოდ მას შემდეგ შევაფასოთ, როცა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები მოსამზადებელ ეტაპს მისი ხელმძღვანელობით გაივლიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6 19-წლამდელთა წარმატება

რუმინეთში გამართულმა საკვალიფიკაციო მატჩებმა შედეგად ის მოიტანა, რომ ჰაინც ტოპმიოლერი და მისი შეგირდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდისთვის ემზადებიან. პირველ რაუნდში ჩვენს 19-წლამდელებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწიათ. ბოლო ტურში ბელგიასთან მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ და საბედნიეროდ, დრამატულ ბრძოლაში სამი ქულა მოიპოვეს. შარშანდელი ელიტ-რაუნდი ჩვენი გუნდისთვის წარუმატებელი გამოდგა, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ბარიერი ამჯერად გადაულახავი არ აღმოჩნდება.



# 7 მომავლის გუნდის ჩამოყალიბება

საქართველოს მეორე ნაკრების, იგივე მომავლის გუნდის შექმნის იდეა რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა, მაგრამ მიზეზთა გამო, მისი განხორციელება ახლაღა გაჩნდა შესაძლებელი. კლაუს ტოპმიოლერმა ეს აზრი მოიწონა, რაც იმის გარანტად იქცა, რომ მომავლის გუნდის ჩამოყალიბებას წინ ველარაფერი დაუდგება. შეგახსენებთ, უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალი წლის თებერვალში ერთმანეთს ამხანაგურად შეხვდებიან საქართველოსა და თურქეთის როგორც მთავარი, ასევე მეორე ნაკრებები.

# 8 ამერი–ზესტაფონი თასის ფინალი

ამ მატჩს კიდევ დიდხანს გავიხსენებთ. საფეხბურთო საზოგადოებამ "ამერი"-"ზესტაფონი" დამოუკიდებელი საქართველოს თასის საუკეთესო ფინალად აღიარა. 13 მაისს უკვე მერამდენედ დამტკიცდა, რომ ქართული ფეხბურთი ცოცხლობს და საფეხბურთო სპექტაკლის დადგმა ჩვენს კლუბებსაც შეუძლიათ. ღირსეული მეტოქეების დრამატულ ბრძოლაში თასს დაუმსახურებლად ვერავინ ასწევდა, გამარჯვების სასწორი "ამერისკენ" გადაიხარა და ევროთასებმა ნათლად გამოაჩინა, რომ ქართულ გუნდებს მხოლოდ ერთმანეთის ძლევა არ ძალუძთ.







# 9 კლუბების დაშლა

გასული სეზონი ბევრისთვის დარჩება ავადმოსაგონრად. უმაღლეს ლიგაში მონაწილე 16-დან სამი გუნდი დაიშალა, რისი მიზეზიც, ცხადია, ფინანსური სიდუხჭირე გახდა. ქართულმა ფეხბურთმა ფოთის "კოლხეთი", "ცხინვალი" და "სოხუმი" დაკარგა.

# 10 სიონის ჩემპიონობა

რეგიონის გუნდის გაჩემპიონება საქართველოში ყოველთვის მოვლენაა. ბოლნისის "სიონმა" უშუალო დაპირისპირებებში ყველა კონკურენტი დაჯაბნა და ისტორიაში პირველად, ქართულ ოქროს დაეუფლა.



## იანვარი



**8, ფეხბურთი:** "თბილისი- მარიოტში" **კლაუს ტოპმიოლერმა** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**11, კალათბურთი: ზაზა ფაჩულიამ** NBA-ში მეათასე ქულა ჩააგდო, ეს მან "ბოსტონთან" მესამე მეოთხედში მოახერხა.

**14, ძიუდო: ირაკლი ცირეკიძემ** იაპონიაში ძიგარო კანოს მემორიალზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**17, ფეხბურთი:** თბილისის "დინამოს" დსთ თასზე გამოსვლა ორი ფრითა და ერთი მარცხით დაასრულა, რასაც მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **კახა ცხადაძის** გათავისუფლება მოჰყვა.

**18, ციგურაობა:** 16 წლის **ელენე გედევანიშვილმა** თავის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე დიდი სენსაცია მოახდინა და მეხუთე ადგილი დაიკავა.

**19, კალათბურთი:** მიხეილ ქორქიასა და **ზურაბ საკანდელიძის** მემორიალი რუსთავის "აზოტმა "მოიგო.

**27, ფეხბურთი:** ნიონში გამართულმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრამ ქვეჯგუფში მეტოქეებად საფრანგეთი, იტალია, უკრაინა, შოტლანდია, ლიტვა და ფარერები გვარგუნა.

**29-2 თებ, ჭიდაობა:** ვერის პარკში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი.

## თებერვალი

**4, რაგბი:** თბილისში, ერთა თასის მატჩში საქართველომ რუსეთი განადგურა - 46:19.

**4, კალათბურთი: ნიკოლოზ ცქიტიშვილის** დებიუტი მის ახალ კლუბ "ფინიქს სანსში".

**6, ფეხბურთი:** საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრებების ამხანაგური მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ორ დღეში, ამავე გუნდების მეორე შეხვედრაში ქართველებმა მეტოქე 5:0 გაანადგურეს.

**6, პროფესიული კრივი: კობა გოგოლაძემ დეტროიტში NABO-ს სარტყელი** მოიპოვა **ანტონიო დევისის** დამარცხებით.

**10-26, ტურინი-2006:** მოციგურავე **ელენე გედევანიშვილმა** ზამთრის ოლიმპიადაზე მეათე ადგილი დაიკავა. სამთომოთხილამურე **იასონ აბრამაშვილმა** გიგანტურ სლალომში 29-ე ადგილი დაიკავა, სლალომში - 32-ე. მოციგურავე **ვახტანგ მურვანიძე** 30-ე ადგილზე მოიპოვა.

**11, კალათბურთი:** მადრიდში წილისყრამ საქართელოს ნაკრების მეტოქეები გაარკვია B დივიზიონის შესარჩევ ჯგუფში: ფინეთი, ავსტრია, ისლანდია და ლუქსემბურგი.

**15, კალათბურთი:** ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ კალათბურთს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ვახტანგ ნაცვლიშვილი.**

**16, ჭადრაკი:** მოსკოვში "აეროფლოტ ოუფენი" **ბაადურ ჯობავამ** მოიგო და დორტმუნდის სუპერტურნირის საგზური მოიპოვა. ამავე ტურნირის ბ ჯგუფში **დავით არუთინიანმა** გაიმარჯვა.

**23, რაგბი:** ბუქარესტში, ერთა თასის მატჩში, რუმინეთის ნაკრებმა საქართველო 35:10 დაამარცხა.

**27, ფეხბურთი:** კლაუს ტოპმიოლერის დებიუტი მალტის საერთაშორისო ტურნირზე. საქართველო მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან1:5 განადგურდა. გოლი: **ცქიტიშვილი**

## მარტი

**1, ფეხბურთი:** მალტური ტურნირის მეორე მატჩში საქართველოს ნაკრებმა მასპინძლებს 2:0 სძლია. გოლები: **მარცვალაძე, კანკავა**

**7, ფეხბურთი: მალხაზ ასათიანმა** ლავიწის ძვალი გაიტეხა და ფეხბურთს ორი თვით ჩამოსცილდა.

**9, ფეხბურთი:** ნიონში ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი დადგინდა.

**12, კალათბურთი:** საქართველოს თასი "ნიკორამ" მოიპოვა, უნივერსიტეტელებმა ფინალის დამატებით დროში "აზოტი" დაამარცხეს - 81:79.

**15-23, ჭადრაკი:** ეკატერინბურგში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გააღწიეს **ნინო ხურციძემ** და **მაია ჩიბურდანიძემ.**

**19, კალათბურთი: ზაზა ფაჩულიამ** ლიგაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა - მას შეტევაში 12 მოხსნა დაუგროვდა. ეს შედეგი მხოლოდ სეზონის ბოლოს გაუმჯობესდა.

**21, ფეხბურთი:** ახალგაზრდულმა ნაკრებმა **რალფ მინგეს** ხელმძღვანელობით პირველი ამხანაგური მატჩი ალბანეთში გამართა და 1:2 დამარცხდა.

**22, ფეხბურთი:** ალბანეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი ტირანაში ნულოვანი ფრით დასრულდა.

**24, ციგურაობა:** კალგარიში, მსოფლიო ჩემპიონატზე **ელენე გედევანიშვილმა** მე-14 ადგილი დაიკავა.

**26-27, ჩოგბურთი:** 16 წლის **ანა ტატიშვილის** პირველი მოგება WTA ტურზე. მაიამის "ნასდაქ ოუფენზე" ტატიშვილმა ჯერ ინდოელ **სანია მირზას** მოუგო, შემდეგ კი რუს **ელენა დემენტიევასთან** დამარცხდა.

**30, პეკინი-2008:** პირველმა ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია - ეს ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** შეძლო.



## აპრილი

**4, კალათბურთი:** საქართველოს ჩემპიონატში სამმაგი დუბლი დაფიქსირდა. მისი ავტორი **გიორგი შერმადინია** ("მაკაბი") - სტუ-სთან მან 31 ქულა, 17 მოხსნა და 10 პასი დააგროვა.

**6, ფეხბურთი:** გადაწყდა, რომ 7 ოქტომბერს, როსტოკის "ოსტზეეშტადიონზე" გერმანია-საქართველოს ამხანაგური მატჩი გაიმართება.

**7, ძალოსნობა:** ევრიოპის ჩემპიონატზე **არსენ კასაბიევმა** მცირე ოქროს მედალი მოიპოვა, მან აკვრაში გაიმარჯვა.

**7-9, ჩოგბურთი:** საქართველოს ნაკრებმა "დევისის თასზე" თბილისში სამხრეთი აფრიკის ნაკრები დაამარცხა - 3:2.

**10, რაგბი:** თბილისში, ერთა თასის მატჩში, საქართველოს ნაკრებმა პორტუგალია გაანადგურა - 40:0.

**10, კალათბურთი:** NBA რეგულარული ჩემპიონატი 20 ორმაგი დუბლით დაასრულა **ზაზა ფაჩულიამ.**

**11, ჩოგბურთი: ანა ტატიშვილმა** WTA ტურნირში ესპანელი ლაურა პოუსტიო, მსოფლიოს 81-ე ჩოგანი დაამარცხა.

**12, ფეხბურთი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ახალგაზრდულმა ნაკრებმა მალტაში 2:1 მოიგო.

**15, რაგბი:** დიდთვლობის გამო პრაღაში ჩეხეთ-საქართველოს მატჩი გადაიდო.

**18, ფეხბურთი: კახა კალაძემ** მილანურ დერბიში ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

**21, რაგბი:** არაბთა საემიროებში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ბ ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავა.

**21, კალათბურთი:** დასრულდა საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული სეზონი. პირველ ადგილზე "ავიამშენი" გავიდა 28 მატჩიდან 51 ქულით, ამდენივე ქულა დააგროვა "ნიკორამ".

**25-30, ჭიდაობა:** მოსკოვში, ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს **გიორგი გოგშელიძემ** და **ლუკა კურტანიძემ.** ანტიკურში ვერცხლი **დავით ბედინაძემ** ირგუნა, ბრინჯაო - **მანუჩარ კვირკველიამ.**

# დინამო ოქროზე ფიქრობს



გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ჩვეულებრივი, საქმიანი ფუსფუსი იყო. სამშობლოდან დაბრუნებულმა **დუშან უგრინმა** ფეხბურთელები ორჯერ ავარჯიშა. მან დილის წვრთნისას, კვლავაც ფიზიკური კონდიციების აღდგენაზე გააკეთებინა აქცენტი, მეორე ვარიშზე კი საქმეში ბურთიც ჩართო საწვრთნელი პროცესის ბოლოს ორკარაც გაჩაღდა. ვარჯიშს კლუბის ხელმძღვანელები, მმართველი დირექტორი **ბუბა ტყავაძე** და ტექნიკური დირექტორი **ამირან ღიბრაძე** ადევნებდნენ თვალს.

### ლელო, ლელო, საქართველო!

სამზადისისა და საერთო ვითარების შეფასება ბუბა ტყავაძისგან დავიწყეთ. კლუბის მმართველმა დირექტორმა კი ჩვენთან საუბარი მილოცვებით დაიწყო.

- პირველ რიგში, ამ მნიშვნელოვან მოვლენას, "სპორტისა" და "ლელოს" გაერთიანებას გილოცავთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამიერიდან თქვენს გაზეთს "ლელო" ერქმევა. "ლელოზე" მთელი თაობები აღიზარდა და იმედი მაქვს ამ ტრადიციებს გააგრძელებთ. მჯერა განახლებული ისეთივე, ყველასათვის საყვარელი სპორტული გაზეთი იქნება, როგორიც "ლელო" იყო თავის დროზე.

ასევე, თქვენ და მთელ საფეხბურთო, სპორტულ სამყაროს ვულოცავ ახალ წელსა და შობას. მრავალს დაესწარით და ყველას წარმატებებს გისურვებთ...

**- უკვე რამდენიმე დღეა, რაც "დინამომ" მეორე წრისთვის სამზადისი განაახლა. ამაზე რას გვეტყოდით?**

- დიახ, ჩვენს ბაზაზე ისევ ის საქმიანი ფუსფუსია. ყველანაირად ვცდილობთ გუნდი გავაძლიეროთ, უფრო ხარისხიანი და მაღალი დონის, შედეგიანი თამაში ვაჩვენოთ, ტრიბუნაზე მეტი მაყურებელი გვყავდეს და შედეგიც უკეთესი გვქონდეს. რაღა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი უცვლელია, ჩემპიონობის მოპოვებისთვის ვიბრძოლებთ და ორმაგად სასიამოვნო იქნება, თუკი თასსაც მოვიპოვებთ.

**- ნედ ზელიჩის ტრანსფერის საკითხი თურქულ შეკრებაზე გადაწყდება?**

- ზელიჩთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს გეტყვით. ის "დინამოსთან" ერთად გაივლის თურქულ შეკრებას და მერე გადაწყდება, თუ როგორ შევთანხმდებით. არა ფინანსურ მხარეს, არამედ ურთიერთთანამშრომლობას ვგულისხმობ.

სპორტულმა დირექტორმა ამირან ღიბრაძემ "ლელოსა" და მის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

"ბავშვობაში იმდენი ფინანსური შესაძლებლობა არ მქონდა, რომ ყველა გაზეთი მეყიდა ან გამომეწერა. თუმცა, "ლელო" ყოველთვის გვქონდა სახლში. სპორტის მიმართ ჩემი დამოკიდებულება და სიყვარული სწორედ ამ სახელთან ასოცირდება. ვულოცავ "სპორტსა" და "ლელოს" გაერთიანებას, შობა-ახალ წელს გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ. ამიერიდან თბილისის "დინამოსა" და საერთოდ ქართული ფეხბურთის წარმატებებზე "ლელო" მოგვითხრობს და სწორედ ეს გაზეთი ამცნობს სპორტის ქომაგებსა და სრულიად საქართველოს - ლელო, ლელო, საქართველო!

კლუბის ხელმძღვანელებს განახლებული "ლელოს" მილოცვებში მწვრთნელი **კახა კაჭარავა,** პრესატაშე **გიგა გვენცაძე** და სპორტული მენეჯერი **გია ჯიშკარიანიც** შეუერთდნენ...

### სიდედრ-სიმამრთან ლელომ შემარიგა

სხვათაშორის, გია ჯიშკარიანმა საახალწლო, კურიოზული ამბავიც გაიხსენა, რომელიც "ლელოს" მშვიდობიან და შემრიგებლურ მისიას" უკავშირდება:

"17 წლის ვიყავი, "შევარდენში" ვთამაშობდი საქართველოს ჩემპიონატში. 1985 წლის სეზონში საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. სეზონის დასრულების შემდეგ, მე და მაია ახობაძე (გიას მეუღლე) გავიპარეთ და შევუღლდით, მაგრამ ერთი პერიოდი მაიას მშობლები არ მელაპარაკებოდნენ...

1986 წლის 1 იანვრის "ლელოს" ნომერში ჩემზე იყო სტატია (გია ჯიშკარიანი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს) ბუნებრივია სტატიას ფოტოც თან ახლდა. მეუღლის მშობლები არ მელაპარაკებოდნენ, მაგრამ დავურეკე და ახალი წელი მივულოცე. მათ თავისთან მიგვიპატიჟეს. ვნერვიულობდი და ცოტა დაძაბულიც კი ვიყავი. მივედით მაიას მშობლებთან და სიდედრ-სიმამრი "ლელოთი" დამხვდნენ - ეს რა კარგი და ჩინებული სიძე გვყოლია, ჯერ 17 წლისაა და მასზე უკვე გაზეთები წერენო."

### დუშან უგრინი: დინამო ძლიერი გუნდი იქნება

- მოხარული ვარ, რომ თითქმის ორკვირიანი პაუზის შემდეგ, გუნდს დავუბრუნდი და ვარჯიში განვაახლეთ. მეორე ნახევრისთვის მზადებას შევუდექით და უპირველესად მათ ფიზიკურ კონდიციებზე ვზრუნავთ. ახალი მოთამაშეები გვყავს, იმედი მაქვს, კიდევ დაგვემატებიან და ვფიქრობ ანთალიური შეკრების მერე, განახლებული გუნდის პირველი შტრიხები გამოიკვეთება.

თურქეთამდე კი ბაკურიანში მოვემზადებით და მჯერა, რომ მთაში გატარებული პერიოდიც სასარგებლო იქნება ფეხბურთელებისათვის.

**- ახალწვეულიც გყავთ "ვიტ ჯორჯიის" ყოფილი კაპიტანი დავით დიღმელაშვილი...**

- დიახ, ის პირველ წრეში აშკარად გამორჩეული ფიგურა იყო, არა მარტო თავის გუნდში, არამედ მთლიანად ჩემპიონატში და უმალ მომივიდა თვალში. მაშინვე ვფიქრობდი, რომ დევიდი ჩვენს გუნდს გააძლიერებდა და დღესაც მჯერა, რომ ჩემი პოზიციის მართებულობას დიღმელაშვილი თავისი თამაშით დაამტკიცებს.

**- ზელიჩზე რას გვეტყვით?**

- ზელიჩი ვარჯიშობს და ადაპტაციას გადის. მაღალი კლასის, გამოცდილი მცველია და იმედი მაქვს, ახალ გარემოსაც კარგად შეეგუება. მისი სახით მართლაც მნიშვნელოვან შევსებას მივიღებთ, მაგრამ ამ ფეხბურთელის საკითხი ანთალიურ შეკრებაზე ან მის მერე გადაწყდება.

გუნდთან ყოველი ახალი ფეხბურთელის შერწყმა გარკვეულ მომენტებზეა დამოკიდებული. თავად ნედ ზელიჩსაც აინტერესებს, თუ როგორ წარიმართება გუნდთან მისი შერწყმის პროცესი. მისთვის და ჩვენთვისაც სპორტული მხარეა მნიშვნელოვანი. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება...

**- დღევანდელ ვარჯიშზე ორმხრივი თამაშიც იყო...**

- გუშინ და დღესაც ფეხბურთელები 20-25 წუთის განმავლობაში ვათამაშე. ჯერჯერობით ძნელია რაიმე დასკვნის გაკეთება, მაგრამ ფეხბურთელთა მონდომება აშკარად თვალშისაცემია. სხვათა შორის, ეს ორმხრივი თამაშები ჩვენს ოპერატორს ვიდეოზეც გადავაღებინე და მალე გავაანალიზებ.

**- დუბლებიდან და "დინამოს" აკადემიიდან გადმოყვანილ მეკარე მაკარიძესა და ნახევარმცველ ბოლქვაძეზე რას იტყვით?**

- შეიძლება ითქვას, რომ მაკარიძე ჩემთვის სიურპრიზი იყო. 17 წლამდე ნაკრებში ასპარეზობისას მომეწონა, ნიჭიერია ბოლქვაძეც. მინდა, მათ და სხვა ფეხბურთელებსაც დავაკვირდე. "დინამოს" ძლიერ გუნდად გადაქცევისთვის ყველაფერს ვაკეთებთ და მჯერა ამას შევძლებთ კიდეც.

მინდა, რომ დინამოელებს, კლუბისა და საერთოდ ქართული ფეხბურთის ქომაგებს შობა-ახალი წელი მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. როგორც მითხრეს, თქვენი, უკვე ყოფილი გაზეთი "სპორტი" ამიერიდან "ლელო" გახდება. როგორც გავიგე "ლელო" ეს ქართული სპორტის ერთგვარი მემატიანეა. გილოცავთ ამ ახალ საპატიო სახელს და იმედი მაქვს, ეს ბრენდი თქვენთვის სასარგებლო და წარმატებების მომტანი იქნება.

**დავით ცაბაძე**

# კარგი ამბავი საახალწლოდ

გუშინ დიდი ამბები გაცხადდა: ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" თავმჯდომარე **გოჩა ძასოხოვმა** კლუბის კრებაზე სენსაციური განცხადება გააკეთა, ხსენებული კლუბისა და საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" შესაძლო გაერთიანებაზე.

*"შარშან, სწორედ ჩვენი კლუბის წევრების შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, ეროვნული სტადიონის აღორძინებაში მიგვეღო მონაწილეობა. თუმცა მხოლოდ სტადიონის აშენება არ კმარა, აქ აღორძინებულმა "დინამომაც" უნდა ითამაშოს. მე უკვე შევხვდი საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" მესვეურებს და საერთო ქოლგის ქვეშ გაერთიანებაზე ვესაუბრე. მათაც სურთ ჩვენთან საერთო ენის გამონახვა, ურთიერთობების დალაგება და ოდესღაც საერთო კლუბის აღდგენა. ჩვენი კლუბის საკუთრებაში ბევრი სპორტული ობიექტია და ნელ-ნელა მათ რეაბილიტაციასაც დავიწყებთ. მაგრამ მხოლოდ ბაზები და სტადიონები რად გვინდა, თუკი ეს სტადიონი ჩვენი კლუბისთვის არ იგუგუნებს? ამიტომაც დადგა დღის წესრიგში გაერთიანების წინადადება, რაზეც მათგან თანხმობა მივიღეთ. მხოლოდ ძლიერ და წარმატებულ გუნდს შეუძლია იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც დავისახეთ. მიზანი კი ხალხის გახარებაა, რაც მხოლოდ სტადიონის აშენებით ვერ მოხერხდება".*

კრების შემდეგ გოჩა ძასოხოვთან უშუალოდ გასაუბრების საშუალება მოგვეცა:

**- ბატონო გოჩა, თქვენი განცხადების შემდეგ უამრავი კითხვა გაჩნდა. მაგალითად, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის "დინამოსა" და საფეხბურთო "დინამოს" გაერთიანება უკვე გადაწყვეტილია?**

- დიახ, გადაწყვეტილია. "დინამო" ადრე ერთიანი ორგანიზმი იყო და ჩვენი ძალების გაერთიანება საერთო საქმისთვის აჯობებს. საბოლოოდ, ყველა დეტალი გაზაფხულამდე უნდა დაზუსტდეს და იმ კითხვებზე, რომელიც გაგიჩნდათ, პასუხი სწორედ ამ დროისთვის გვეცოდინება.

**- "დინამოს" მეპატრონე ბადრი პატარკაციშვილს უკვე ესაუბრეთ?**

- ასე დაკონკრეტება არ მსურს. დაწერეთ, რომ "დინამოს" მესვეურებს შევხვდი და გაერთიანება ჩვენი საერთო აზრია. როცა ასეთი ლამაზი და თანამედროვე სტადიონი გვაქვს, ის ტყუილად არ უნდა ცდებოდეს. აქ ჩემპიონთა ლიგის ან უეფას თასის ფინალები უნდა იმართებოდეს, პლუს ამას, ყოველწლიურად უნდა ვმასპინძლობდეთ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირების მატჩებს.

**- ამ ამბიციური პროექტის შესაბამისად, ეჭვი არაა, რომ "დინამოც" ოდინდელივით ამბიციური უნდა იყოს...**

- რა თქმა უნდა. ძველი წარმატებები უნდა დავიბრუნოთ და ხალხი გავახაროთ.

**- ...და საჭირო იქნება დიდი დაფინანსებაც, არა?**

- ბუნებრივია, დაფინანსებაც ამბიციის შესაბამისი, ანუ ძალიან სოლიდური უნდა იყოს.

**ირაკლი მეძმარიაშვილი,** რომელიც ამ ჩანაფიქრის ერთ-ერთ ინიციატორად მოიაზრება, ამ ეტაპზე კონკრეტულად არაფერზე საუბრობს. ფაქტია, რომ ის ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან გადადგა ლა სტადიონს ხელმძღვანელობს, მაგრამ ჯერჯერობით, მხოლოდ სტადიონს. რა იქნება შემდეგ, როცა ორი "დინამოს" ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანდება, არავინ იცის. ვიცით მხოლოდ ის, რომ ეს ყველაფერი ქართული სპორტის ინტერესს პასუხობს, რადგან საფეხბურთო გუნდის გარდა, მასში კალათბურთისა და რაგბის "დინამოებიც" გაერთიანდებიან.



გოჩა ძასოხოვი

**მერაბ მამულაშვილი**



# საუკუნის მეგოლე

ქართული ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს რამაზ შენგელიას 1 იანვარს 50 წელი უსრულდება! ჩვენი გაზეთი უერთდება შენგელიას ნიჭის დამფასებელთა მრავალრიცხოვან არმიას და იუბილარს ყოველივე კარგი გვინდა ვუსურვოთ. არ დავმალავთ, ძალიან გვსურდა, რომ იუბილართან ვრცელი ინტერვიუ გაგვეკეთებინა; ვრცელი კი არა, იმასაც ვშიშობდით, როგორ "ჩაგვეტია" ორ საგაზეთო გვერდში რამაზ შენგელიას მართლაც ზღაპრული კარიერა. მით უმეტეს, რომ ეს ინტერვიუ განახლებული "ლელოს" პირველ ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო...

სამწუხაროდ, წინასაახალწლო "განამანიის", იუბილარის მოუცლელობისა თუ სხვა მიზეზთა გამო, რამაზ შენგელიასთან შეხვედრა ვერ მოვახერხეთ. არა უშავს - თავს უფლება მივეცით, რომ მისი მართლაც საარაკო საფეხბურთო ბიოგრაფიისთვის ჩვენეული შეფასება მიგვეცა.

...მსოფლიო ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდს გერდ მიულერს გერმანელმა ქომაგებმა "ნაციის ბომბარდირი" შეარქვეს; არ ვაჭარბებთ - რამაზ შენგელია თავისი მიღწევებით ბევრით ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა გერდ მიულერს. ჰოდა, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ჩვენი იუბილარისათვისაც "საქართველოს XX საუკუნის ბომბარდირი" გვეწოდებინა!

## სიჭაბუკის წლები

ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა, ბავშვობაში ფეხბურთის გარდა არაფერი აინტერესებდა და სულ მალე **კარლო ხურციძესთან** დაიწყო ვარჯიში. ამ პიროვნებას კი ტალანტების აღმოჩენის იშვიათი ნიჭი ჰქონდა - ვინ მოსთვლის, შემდეგში რამდენი ათეული ცნობილი ფეხბურთელი აღიზარდა კარლო ხურციძესთან. მათ შორის რამაზ შენგელიაც, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, ქუთაისის "ტორპედოში" რომ მიიწვიეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ "ტორპედო" მაშინდელ საკავშირო პირველ ლიგაში ასპარეზობდა, თანაც, გუნდს მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა - უმაღლეს ლიგაში გადასვლა. სადებიუტო სეზონში 17 წლის ფორვარდს, უფრო ხშირად, შეცვლებზე უწევდა თამაში. აი, 1975 წელს კი ჯერ ქართული, მერე კი საკავშირო პრესაც ალაპარაკდა ქუთაისის "ტორპედოს" ახალგაზრდა ცენტრფორვარდზე. მართლაც ჩინებული მწვრთნელის - **გიგა ნორაკიძის** ხელმძღვანელობით "ტორპედოს" სულ მცირედი დააკლდა უმაღლესი ლიგის საგზური რომ მოეპოვებინა; მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო: გამოცდილი ფეხბურთელების (**ჯემალ ხერხაძე, რევაზ ჭოხონელიძე, შოთა ოქროპირაშვილი, მერაბ ჩახუნაშვილი, დურმიშხან ქვირია**) გვერდით "ტორპედოში" გამოჩნდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯგუფი (**ოთარ გაბელია, ბადრი ფარულავა, რევაზ ბურკაძე, იური კვერნაძე, თამაზ კოსტავა, გიორგი გაბიჩვაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია**). ყველაზე უმცროსი მათ შორის შენგელია იყო, თუმცა არც ამ ფაქტორს შეუშლია ხელი, რომ უკვე მაშინვე მონათლულიყო მეკარეთა რისხვად - იმ ურთულეს პირველ ლიგაში 15 გოლის გატანა ნამდვილად არ იყო პატარა საქმე. უფროსი თაობის ქომაგებს ემახსოვრებათ, თუ როგორი "ტრადიცია" იყო დამკვიდრებული ჩვენთან - პერიფერიაში ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინათვე თბილისის "დინამოში" იწვევდნენ. ჰოდა, არც არავის გაუკვირდა, 1977 წელს **ნოდარ ახალკაცმა** თავის გუნდში ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა და რამაზ შენგელია რომ გადმოიყვანა.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## პირველი სირთულეები და ზეობის დასაწყისი

ქუთაისიდან ცოტა არ იყოს, "ხმაურითა" და დიდი ამბით გადმოყვანილი ცენტრფორვარდისაგან "დინამოს" ქომაგები (მაშინ ხომ ყველა მატჩზე 70 000 კაცი. დადიოდა!) გოლების "წვიმას" ელოდნენ. მითუმეტეს, შენგელია უკვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო. მაგრამ დაიწყო სეზონი, მატჩი მატჩს მოსდევდა და "დინამოს" დებიუტანტს უფრო და უფრო უჭირდა ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად **რევაზ ჩელებაძესთან** კონკურენციის გაწევა. ამ ორიოდე წლის წინ იყო, ინტერვიუში რომ გვითხრა: მაშინდელი "დინამო" ისეთი აწყობილი მექანიზმი იყო, შენ უნდა მორგებოდიო. ჰოდა, თავიდან გაუჭირდა, მაგრამ სეზონის ბოლოსკენ რწმენა დაიბრუნა და არცთუ პატარა წვლილი შეიტანა "დინამოს" ვიცე-ჩემპიონობაში. ისე, იმ სეზონში "დინამოს" ჩემპიონობაც შეეძლო, მაგრამ მოსკოვში "ტორპედოსთან" შეხვედრაში მსაჯებმა ამბები ჩაიდინეს...

და აი, 1978 წელიც დადგა - სეზონი, რომელიც გარდამტეხი აღმოჩნდა რამაზ შენგელიას კარიერაში. ეს მართლაც ზღაპარს ჰგავდა - საშუალოდ ორ მატჩში გატანილი ერთი გოლი, მთელი წელი სტაბილურად ასპარეზობა, მეტოქეთა მცველ-მეკარეთა დაწიოკება და ბოლოს, 14 წლიანი ლოდინის შემდეგ, ყველასათვის სანუკვარი ოქროს მედლები! აი, სწორედ იმ წელს შეიქმნა ნებისმიერ მეტოქეთათვის მრისხანე, და, რაც მთავარია, ამოუცნობ-ამოუხსნელი "დუეტი". ხვდებით ალბათ, **დავით ყიფიანისა** და რამაზ შენგელიას ვგულისხმობთ. ყიფიანი ბურთს როგორც მიიღებდა, შენგელიაც იმ წამს იწყებდა მცველებისათვის თავგზააბნევ მანევრებს და ამ ორი, მართლაც დიდოსტატის კომბინაციებით საბჭოთა კავშირშიც და ევროპაშიც რამდენი გუნდი დაზარალდა, ვინ მოსთვლის. მეტოქის საჯარიმო მოედანი შენგელიას სამფლობელო იყო, თანაც ახალგაზრდა ფეხბურთელი არც ტექნიკასთან იყო მწყრალად, ორიგინალური ტაქტიკური აზროვნებაც გააჩნდა და გოლები? ბევრს, ძალიან ბევრს ვერ აეხსნა მისი გოლეადორული ნიჭის საიდუმლო. ბოლოს და ბოლოს, ჟურნალისტებმა რომ ჰკითხეს, ცხოვრებაში ყოველთვის თავმდაბალმა (დიდების ზენიტშიც და მერეც) რამაზ შენგელიამ მოკლედ ახსნა: სწრაფი აზროვნება, მოძრაობა, დარტყმა – და, შეძლებისდაგვარად... გოლი!

იმ სეზონის ბოლოს შენგელიას უდიდესი აღიარება ელოდა - საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელობა! უცნაური კი სხვა იყო - ტრადიციულ "33 საუკეთესოთა" შორის თავის ამპლუაში... მეორე ადგილზე დააყენეს. და კიდევ იმ სეზონიდან - დღესაც გვახსოვს ის მართლაც ზღაპრული გოლი, რომელიც შენგელიამ თბილისში გაიტანა ბერლინის "ჰერტას" კარში...

## გზა მაღალი საზოგადოებისკენ

"დინამო" ტრიუმფულ სვლას აგრძელებდა - საკავშირო ასპარეზზე ტიტულს ტიტული მოსდევდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებში შვიდი-რვა ქართველი ფეხბურთელის ხილვაც ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა; რჩებოდა ერთადერთი - საერთაშორისო სარბიელი, სადაც "დინამო" ნელ-ნელა იღებდა გამოცდილებას.

მე-6 გვერდზე

## ქრონიკა 2006

**25, ფეხბურთი:** რალფ მინგემ და მისმა შეგირდებმა მალტის ახალგაზრდული ნაკრები ზესტაფონშიც 2:1 დაამარცხეს და მომდევნო რაუნდში გავიდნენ.

**28, რაგბი:** დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება.

**29, ხელბურთი:** საქართველოს მორიგი პირველობა მარადი ჩემპიონის, "სტუ შევარდენის" გამარჯვებით დასრულდა.

**30, რაგბი:** ერთა თასზე, ოდესაში, საქართველოს ნაკრებმა უკრაინა 32:12 დაამარცხა.

**30, ჩოგბურთი:** საქართველოს ქალთა ნაკრები "ფედერაციის თასზე" ევროპა-აფრიკის მეორე ზონაში ჩარჩა, თუმცა, დაქვეითებასაც გადაურჩა.

### მაისი

**7, წყალბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

**9, ფეხბურთი:** ისტორიაში პირველად, ბოლნისის "სიონი" საქართველოს ჩემპიონი გახდა.

**9, თავისუფალი ჭიდაობა:** გარდაიცვალა ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ციმაკურიძე** (1925-2006).

**10, რაგბი:** იაპონიაში ტურნეზე მყოფი საქართველოს ნაკრები მასპინძელთა A ნაკრებთან 14:15 დამარცხდა.

**13, ფეხბურთი:** საქართველოს დავით ყიფიანის თასის ფინალში "ამერმა" პენალტების სერიით სძლია "ზესტაფონს" და დაარსებიდან მეოთხე წლისთავზე პირველი ტიტული მოიპოვა.

**15, ჩოგბურთი: მაკა ჩახნაშვილმა** თურქეთის ქალაქ ბელეკის ტურნირში (10 ათასი) გაიმარჯვა.

**16, რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა ოსაკაში ტესტმატჩი წააგო იაპონასთან - 7:32.

**17, ალპინიზმი:** ქართველი მთამსვლელი **გია თორთლაძე** მანასლუს (8163) მწვერვალზე ავიდა.

**20, კალათბურთი:** მოსკოვის "დინამომ" კონტრაქტი გაუწვიტა **გიორგი ცინცაძეს**, როდესაც ამ უკანასკნელმა რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა.

**22, კალათბურთი:** საქართველოს ჩემპიონი გახდა "ავიამშენი", რომელმაც ფინალური სერია 3:2 მოიგო. გადამწყვეტ მატჩში "ავიამ" რუსთავის "აზოტი" 74:54 დაამარცხა. გამარჯვებულთა შორის საუკეთესო **ირაკლი ხოშტარია** იყო 22 ქულით.

**22, ფეხბურთი:** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდი ორი მარცხითა და ერთი გამარჯვებით დაასრულა და ჯგუფში ჩარჩა.

**23-5 ივნ, ჭადრაკი:** 37-ე ოლიმპიადაზე (ტურინი) საქართველოს ქალთა ნაკრები მე-6 ადგილზე გავიდნა, კაცთა - მე-14-ზე.

**25, ბატუტი:** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი **ლუბა გოლოვინამ** მოიგო.

**25-26, ძიუდო:** ფინეთის ქალაქ ტამპერეში ევროპის ჩემპიონი გახდა **ზაზა კედელაშვილი**. ბრინჯაოს მედალი **ზვიად ხანჯალიაშვილის** ანგარიშზეა.

**26-28, ფრენბურთი:** საქართველოს ქალთა ნაკრებმა თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის სამივე მატჩი წააგო გერმანიასთან, ლატვიასთან და საფრანგეთთან.

**27, კალათბურთი:** საქართველოს სუპერთასი მოიგო საქართველოს თასის მფლობელმა "ნიკორამ", რომელმაც ჩემპიონი "ავიამშენი" დამარცხა - 89:82.

**27, ფეხბურთი:** ეროვნულმა გუნდმა ალტენკირხენში (გერმანია) ახალ ზელანდიასთან 1:3 წააგო, რითაც ქართველები ამ გუნდის მიერ ძლეული პირველი ევროპელები გახდნენ. გოლი: **არველაძე**.

**28, ძიუდო:** გადაწყდა, რომ 2009 წლის ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს.

**31, ფეხბურთი:** ჩვენმა ნაკრებმა დორნბირნში (ავსტრია) პარაგვაისთან უკეთ ითამაშა, მაგრამ 0:1 დამარცხდა.



## ივნისი

**4, რაგბი:** მსოფლიოში ყველაზე სახელოვანი წვეული კლუბი, "ბარბაროსები" თბილისში "ბორჯღალოსნებს" ეთამაშა და 28:19 მოუგო.

**9, კალათბურთი: ნიკოლოზ ცქიტიშვილის** "ფინიქსმა" ფლეი ოფი კონფერენციის ფინალში დაასრულა. ცქიტიშვილი მუდმივად სკამზე იჯდა, მაგრამ არ მოედანზე არ გასულა. NBA ფლეი ოფში ჯერ არცერთ ქართველს არცერთი წუთი არ უთამაშია.

**10, რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა 2005-06 სეზონის ერთა თასზე ასპარეზობა მეორე ადგილზე დაასრულა, ბოლო ტურში პრალაში ჩვენებმა ჩეხები დაამარცხეს - 24:3.

**17, ფეხბურთი:** ინტერტოტოს თასის პირველი რაუნდის პირველ მატჩში თბილისის "დინამომ" ერევანში ადგილობრივი "კილიკია" 5:1 გაანადგურა. საპასუხო მატჩი 25 ივნისს "დინამომ" 3:0 მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა.

**25, ფეხბურთი:** დაფუძნდა საქართველოს ნაკრების ფანკლუბი.

**26, ჩოგბურთი:** იტალიურ ფონტაფრედაში (25 ათასი) **მაკა ჩახნაშვილი** ფინალში დამარცხდა.

**2, რაგბი:** მსოფლიოს 21-წლამდელთა ჩემპიონატის ა ჯგუფში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო, მე-12 ადგილი დაიკავა.

## ივლისი

ბორჯომი

BORJOMI 2014

APPLICANT CITY

**1-5, ჭადრაკი: ბაადურ ჯობავამ** დორტმუნდის სუპერტურნირში ითამაშა.

**1, კალათბურთი: ნიკოლოზ ცქიტიშვილი** "ფინიქს სანსმა" გაუშვა გუნდიდან.

**2, ფეხბურთი:** "დინამომ" ინტერტოტოს მეორე ეტაპზე ავსტრიაში "რიდთან" 1:3 წააგო. ერთ კვირაში საპასუხო მატჩი ავსტრიელებმა 1:0 მოიგეს.

**3, ჩოგბურთი: ირაკლი ლაბაძემ** უიმბლდონის ტურნირზე სამი წრე გაიარა და მერვედფინალში რაფაელ ნადალთან დამარცხდა.

**4, ჩოგბურთი: ლადო ჩიხლაძემ** კარიერაში მეორე ტიტული მოიგო - მან რუმინეთის ქალაქ იაშიში (10 ათასი) იმარჯვა.

**9, ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.

**12, ფეხბურთი:** ბოლნისის "სიონმა" ჩემპიონთა თასის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში შინ "ბაქის" 2:0 სძლია. 19 ივლისს "სიონი" ბაქოში 0:1 დამარცხდა, რაც მეორე ეტაპზე გასაღწევად საკმარისი იყო.

**13, ფეხბურთი:** თბილისის "ამერმა" უეფას თასის პირველი რაუნდის შეხვედრა შინ "ბანანცთან" 0:1 დათმო. 27 ივლისს "ამერმა" ერევანში 2:1 მოიგო და პირველი ბარიერი გადალახა.

**13, ფეხბურთი:** ამავე გათამაშების ამავე ეტაპზე დედაქალაქური "ვიტ ჯორჯია" სლოვაკეთში "არტმედიასთან" 0:2 დამარცხდა. ორი კვირის შემდეგ "ვიტ ჯორჯიამ" თბილისში "არტმედიას" 2:1 მოუგო და გათამაშებას გამოეთიშა.

**16, რაგბი:** ევროპული შვიდკაცა სერიის ფინალურ ტურნირზე, მოსკოვში, საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილზე გავიდა.

**19, კრივი:** პლოვდივში, ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **კახა ჟვანიამ.**

**22, ზამთრის ოლიმპიადა:** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასინძლობის მოსურნეთაგან სამი კანდიდატი დატოვა, სამწუხაროდ, მათ შორის ბორჯომი ვერ მოხვდა. სეოკის პრეზიდენტმა, **ბადრი პატარკაციშვილმა** განაცხადა, რომ ბრძოლას აგრძელებს. იწყება ახალა კამპანია - ბორჯომი-2018.

**21-23, ჩოგბურთი:** საქართველოს ნაკრებმა პოლონეთში იქაური ნაკრები 3:2 დაამარცხა დევისის თასზე და მეორე ევროაფრიკული ზონის ფინალში გავიდა.

**23, ჩოგბურთი: ოქსანა კალაშნიკოვამ** ავსტრიაში ახალგაზრდული ტურნირი მოიგო.

**24, კალათბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა **დავით უსტიაშვილის** ხელმძღვანელობით ლისაბონში, ევროპის ბ დივიზიონში გაიმარჯვა და

*მე-5 გვერდიდან*

უცნაურზე მეტი იყო ის ფაქტი, რომ ნოდარ ახალკაცის გუნდს შეეძლო მილანის "ინტერისა" და "ნაპოლის" ძლევა, ამასთან ორრაუნდიან პაექრობაში მარცხდებოდა იტალიურ გუნდებზე ბევრად სუსტ "გრასჰოპერსთან" თუ "ჰერტასთან". და აი, 1979 წელს "დინამოს" დებიუტი ელოდა ჩემპიონთა თასზე. სამწუხაროდ, კენჭისყრამ მეტოქედ იმ დროისთვის მსოფლიოს საუკეთესო გუნდი "ლივერპული" გვარგუნა. ეგონებოდა ვინმეს, "დინამო" ამ ბარიერს თუ დაძლევდა? მაგრამ, ასე მოხდა და ვისაც 27 წლის წინანდელი ის დაუვიწყარი პაექრობები ახსოვს, ვერავინ იტყვის, რომ ეს შემთხვევითობა იყო. პირიქით - ყველაფერი კანონზომიერად მოხდა და ამაში ლომის წილი რამაზ შენგელიამაც შეიტანა. ისევე როგორც იმ წლის კიდევ ერთ ტრიუმფში, როცა საბჭოთა კავშირის თასის დრამატულ ფინალში "დინამომ" პენალტების სერიაში დასძლია მოსკოველი თანაკლუბელების წინააღმდეგობა. ალარაფერს ვამბობთ საბჭოთა კავშირის ნაკრებზე, სადაც თავდასხმაში ორი ადგილი კონკურსგარეშე იყო - რამაზ შენგელიასა და **ოლეგ ბლოხინს** ძირითადში ადგილი ყოველთვის გარანტირებული ჰქონდათ.

... ვისაც რამაზ შენგელიას თამაში ახსოვს, ბევრი თვლის, რომ მის მართლაც შთამბეჭდავ კარიერაში ყველაზე წარმატებული 1981 წელი იყო. ალბათ, მართლებიც არიან, მაგრამ ჩვენი აზრით, 1980 წელსაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა. ზემოთაც ვთქვით, რომ შენგელიასთვის სულ ერთი იყო, ვის წინააღმდეგ თამაშობდა. მართლა მასე გახლდათ - თითქმის ყველა მატჩში მისი პროგრამა "მინიმუმიც" და "მაქსიმუმიც" მეტოქის კარში გოლის გატანა იყო. ჰოდა, ასე ხდებოდა ყველასთან - **დიეგო მარადონას** "ბოკა ხუნიორსთან, **ზიკოს** "ფლამენგოსთან" თუ ევროპის წამყვან ნაკრებებთან. იმ სეზონში რამაზ შენგელიას კოლექციას ახალი ტიტული მიემატა - **ვიტალი დარასელიასთან** ერთად ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი გახდა! 1980 წლის შემოდგომაზე კი თბილისის "დინამო" ოლიმპისკენ მიმავალ იმ აღმართს აუყვა, მომავალი წლის გაზაფხულზე არნახული ტრიუმფით რომ დასრულდება. თასების თასის გათამაშების საწყის ეტაპზე "დინამომ" ერთი შეხედვით იოლად ჩამოიცილა ბერძნული "კასტორია" და ირლანდიური "უოტერფორდი" და ამ შეხვედრებში, რა თქმა უნდა, შენგელია მოედნიდან უგოლოდ არ გასულა. მეოთხედფინალში კი ჩვენს გუნდს ინგლისური "ვესტ ჰემ იუნაიტედი" ელოდა...

### წლის ფეხბურთელი

ეს მართლაც რამაზ შენგელიას წელიწადი იყო! რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო, ტიტულს ტიტული მიუმატა და ნამდვილად არ გაჰკვირვებია არავის, რომ



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დესაც წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს (ამ მიღწევითაც ისტორიაში შევიდა - ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, ვისაც ასეთი პატივი ორჯერ ერგო). ახლა მეორე ტიტულიც ვახსენოთ - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა მართლაც ჩინებული შედეგით (31 მატჩში 23 გოლი) მოიპოვა! შემოდგომაზე ხომ ერთი-მეორეზე ლამაზი "სპექტაკლები" დადგა, როცა ჩეხოსლოვაკიისა და უელსის ნაკრებების წინააღმდეგ მეტოქეებს იმის გაკვეთილებს უტარებდა, თუ როგორ უნდა ითამაშოს თანამედროვე, ევროპული კლასის ფორვარდმა. დიახ, სწორედ შენგელიას გოლების წყალობით შესძლო საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება...

... თუმცა ეს ყველაფერი, როგორც ვთქვით, იმ წლის ბოლოს მოხდა. მანამდე კი ერთი-მეორეზე უკეთესად ჩატარებული მართლაც ზღაპრული და დაუვიწყარი მატჩები იყო. არ გვინდა, რომელიმე გამოგვრჩეს და დავიწყოთ "ვესტ ჰემთან" სტუმრად ჩატარებული შეხვედრით. ეს იყო, ალბათ, "დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შეხვედრა, რომლის დასაწყისი ისეთი იყო, ნებისმიერი სტუმარი გუნდი მაშინათვე ფარ-ხმალს რომ დაყრიდა - მასპინძელთა შტურმი, ტრიბუნებიდან წამოსული არნახული აგრესია, მაგრამ ნოდარ ახალკაცის მიერ არჩეული ტაქტიკით "დინამომ" ყველაფერს გაუძლო და "ვესტ ჰემი"... ოთხი ბურთით "დაასაჩუქრა"! შეუდარებლები იყვნენ "აპტონ პარკზე" **ალექსანდრე ჩივაძე** და **დავით ყიფიანი,** რამაზ შენგელიამ კი თავისი "დუბლით" საბოლოოდ დაადუმა გაოგნებული ინგლისელი ქომაგები...

..."ვესტ ჰემზე" გაცილებით ძლიერი იყო შემდეგი მეტოქე - ჰოლანდიური "ფეიენოორდი". თანაც, ინგლისელებისგან განსხვავებით ჰოლანდიელები ფეხბურთში არსებული თუ არარსებული ყველა მისალები თუ მიუღებელი ხერხით ცდილობდნენ ფინალის საგზურის მოპოვებას. და აი, როტერდამში, როცა მასპინძლების ზღვარგადასული ბინძური თამაშისა და ავსტრიელი მსაჯის **ფრანც ვიორერის** ენითაუწერელი მიკერძოების შედეგად "დინამოს" ფინალში გასვლა საეჭვო გახდა, შენგელიამ კი არ ითამაშა, იფრინა! შეგახსენებთ, რომ უკვე მეორე ტაიმის დასაწყისშივე მასპინძლები ორბურთიან უპირატესობას ფლობდნენ, კიდევ ერთი გოლიც და სერიაში ანგარიში თანაბრდება. მაგრამ, "დინამო" ანგარიშის შენარჩუნებას კი არ შეეცადა, პირიქით, მეტოქის მოედანზე "დასახლდა" და მომენტს მომენტზე ქმნიდა. მაგრამ, რაც გინდა - **ვლადიმერ გუცაევზე** ორჯერ ასპროცენტიანი პენალტი არ დადო ვიორერმა, რამაზ შენგელიას კი ასევე ორი ასპროცენტიანი გოლი არ ჩაუთვალა! შენგელია არც ამას შეეპუა, მატჩის ბოლომდე ატერორებდა მასპინძელთა მცველებს, რომლებიც, ძალაგამოლეულები ფეხზე ძლივს იდგნენ...

... მერე კი იყო დიუსელდორფი, თასების მფლობელთა თასის ფინალი და ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვება! რამაზ შენგელიას იმ ლამაზ საღამოს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ის საგოლე პასი, რომლის შემდეგაც გუცაევმა ანგარიში გაათანაბრა, თავის კარიერაში გატანილ ასეულობით გოლს უდრიდა...

და იმ წლის კიდევ ერთი გამობრწყინება: ზაფხული, ესპანეთი, "ოთხთა ტურნირი". ტურნირი, რომელიც ქართველების ბენეფისად იქცა - საუკეთესო ფეხბურთელად ვლადიმერ გუცაევი დაასახელეს, საუკეთესო ბომბარდირი კი რამაზ შენგელია გახდა! როგორია, მადრიდის "რეალსა" და მიუნხენის "ბაიერნს" ორ-ორ გოლს რომ გაუტან? ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ წლის ბოლოს "ფრანს ფუტბოლის" "ოქროს ბურთის" ტრადიციულ გამოკითხვაში რამაზ შენგელია მეშვიდე ადგილზე გავიდა (ათეულში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი - ალექსანდრე ჩივაძე მოხვდა). სხვათა შორის, ინგლისურმა ჟურნალმა "უორლდ სოკერმა" პირველად სწორედ 1981 წელს დაიწყო მკითხველების გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც უნდა გამოვლენილიყო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი და გუნდი. სამწუხაროდ, პირველი გამოკითხვა, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტული ხასიათის გახდა და ოფიციალურად 1982 წელს დაკანონდა. ისე კი, შესაძლოა, ბევრმაც არც იცოდეს 1981 წლის გამოკითხვის შედეგები: მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მკითხველებმა ზიკო დაასახელეს, ხოლო რამაზ შენგელია მეოთხე ადგილზე გავიდა!

### როცა ყველაფერი... არ სრულდება

ძალიან ბევრ დიდ ფეხბურთელს ისე დაუსრულებია კარიერა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ არ უთამაშია. რამაზ შენგელიას კი ეს პატივი ერგო და დამსახურებულადაც. ეგ კი არა, ყოველთვის იამაყებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გოლიც აქვს გატანილი! ყველაფერი ეს 1982 წელს მოხდა, მაშინ იყო თასების თასის ნახევარფინალში "სტანდარდთან" მარცხიც და, რაც მთავარია, "დინამოში" დაწყებული თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი. შენგელია არსად წასულა, მაგრამ ალარც "ის" "დინამო" იყო და როგორც ერთხელ ინტერვიუში გვითხრა, მოტივაციაც ნაკლები ჰქონდა. მაგრამ, მერე, 1987 წელს, თითქოს "მეორე სუნთქვა" გაეხსნაო - გოლების გემოც გაიხსენა და მისი უდიდესი დამსახურებაც იყო, ქართველმა ქომაგმა მონატრებულ ევროტურნირებზე საყვარელი "დინამო" რომ იხილა. ეგ კი არა, შენგელიას ბუნებისგან მომადლებული საგოლე ალღოს წყალობით უეფას თასზე ორი ეტაპიც გავიარეთ, მაგრამ "ვერდერთან" სულ ცოტა დაგვაკლდა. აი, იქ, ბრემენში გატანილი გოლი რამაზ შენგელიასთვის დიდ ფეხბურთში საბოლოო აღმოჩნდა...

...31 წლის ასაკში დაანება ფეხბურთს თავი, ერთი ხანობა კი თენგიზ სულაქველიძესთან ერთად შვედეთის "ჰოლმსუნდში" აგორებდა ბურთს, მაგრამ ეს უფრო გართობა იყო. უფრო ზუსტად, "ჰოლმსუნდი" არ იყო შენგელიას დონის გუნდი. რას ვიზამთ, წყობა იყო მაშინ "სხვანაირი", თორემ როცა კარიერის პიკზე გახლდათ, როგორ გგონიათ, შემოთავაზებები არ ჰქონდა? ჰქონდა და ძალიანაც ბევრი, მაგრამ ვინ და სად გაუშვებდნენ?!..

... სახელგანთქმულ გერმანელ ცენტრფორვარდს გერდ მიულერს თანამემამულეებმა "ნაციის ბომბარდირი" ხომ შეარქვეს, ჩვენ კი რამაზ შენგელიას "საქართველოს XX საუკუნის ბომბარდირი" უნდა ვუწოდოთ. გოლების გატანა ხომ მისი პროფესია იყო...

ბატონო რამაზ! კიდევ ერთხელ გილოცავთ ლამაზ იუბილეს!

**გია ტუხაშვილი**





ინტერვიუ კლაუს და როზი ტოპმიოლერებთან

# საქართველომ ჩვენს გულებში დიდი ადგილი დაიკავა!

## სადღეგრძელო და საახალწლო სურვილები ტოპისგან...

**კლაუს ტოპმიოლერთან პირველი ინტერვიუ 2005 წლის ნოემბრის მინურულს შემოგთავაზეთ. იმ დროს ტოპისთან მოლაპარაკებებიც კი არ იყო დაწყებული და მისი პერსონით მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო დავინტერესდით, რომ ფეხბურთის ფედერაციამ სასურველ მწვრთნელთა 15 კაციანი სია გამოაქვეყნა, რომელშიც კლაუსის გვარიც იყო მოხსენიებული. სტაჟიან მკითხველს ეხსომება, ინტერვიუს ასეთი სათაური ჰქონდა: "ტოპმიოლერი: საქართველო? რატომაც არა?" მაშინ ვერავის წარმოედგინა, რომ ცნობილი გერმანელი სპეციალისტი ჩვენი ნაკრების მწვრთნელობას დათანხმდებოდა. მას მერე წელიწადზე მეტი გავიდა...**

**გუშინ კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ, ავკრიფეთ ტოპმიოლერების სახლის ნომერი და ჯერ ფრაუ როზის, მერე კი, თვითონ კლაუსსაც გავესაუბრეთ.**

### როზი: ქართული კერძების მომზადება უნდა ვისწავლო!

**- ფრაუ ტოპმიოლერ, შობას და ახალ წელს გილოცავთ...**

- გმადლობთ. ქართველები შობას მოგვიანებით ზეიმობთ და მე 7 იანვარს მოგილოცავთ...

**- საქართველოში მხოლოდ ერთხელ იყავით. მაშინ თქვით, რომ ჩვენმა ქვეყანამ და ჩვენმა დედაქალაქმა თქვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა მას მერე თბილისში აღარ ჩამოსულხართ...**

- ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ჩემს მეუღლეს საქართველოში ყოველთვის გამოვყვებოდი. შემოდგომაზე თბილისში ჩამოსვლა მყარად მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესებამ ხელი შემიშალა. სამწუხაროა, რომ ვერ ჩამოვედი. უახლოეს მომავალში აუცილებლად ჩამოვალ. არა მგონია, რომ ეს იანვარში მოხდეს, რადგან ძალიან ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ მომავალ წელს აუცილებლად გესტუმრებით, თანაც არაერთხელ. ძალიან მინდა, რომ კლაუსს ყოველი ვიზიტის დროს გამოვყვე ხოლმე, მაგრამ ეს ვერ ხერხდება. ხომ ხვდებით, დიასახლისს ბევრი საქმე აქვს.

**- იქნებ შვილებიც ჩამოიყვანოთ?**

- როგორც იცით, დინო ფეხბურთელია და შესაბამისად, ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვს. ბოლო დროს ხშირად აღწევს წარმატებებს, რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა და გუნდის ხელმძღვანელები ახლა მის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ. თუმცა ძალიან აინტერესებს იმ ქვეყნის ნახვა, რომლის შესახებაც კლაუსი ასე ბევრს ჰყვება ხოლმე. იგივე ეხება ტომისაც, რომელიც გუშინწინ 18 წლის გახდა.

**- სარა-ნინა ხომ მომღერალია, იქნებ საქართველოშიც გამართოს კონცერტი?**

- შესანიშნავი იდეაა და დარწმუნებული ვარ, რომ ნინა ბედნიერი იქნება, თუკი თბილისში კონცერტის ჩატარების საშუალება მიეცემა. მართალია, ამ ბოლო დროს ცოტათი პასიურობს, რადგან სწავლას უფრო მეტ დროს უთმობს, მაგრამ სიმღერა არ შეუწყვეტია და ჯერაც ოცნებობს პოპვარსკვლავის კარიერაზე.

**- ერთი სიტყვით, გამორიცხული არ არის, რომ გაისად ტოპმიოლერები თბილისში სრული შემადგენლობით გიხილოთ?**

- გამორიცხული კი არა, ეს ძალიან სასურველიც კია. იმედია, ყველანი გამონახავენ დროს, რომ ეწვიონ და მოინახულონ ქვეყანა, სადაც კლაუსი მუშაობს. მით უმეტეს, რომ სამივეს ძალიან აინტერესებს, რითი მოგვხიბლა ასეთმა პატარა ქვეყანამ ასაკოვანი ცოლ-ქმარი.

**- თქვენ თქვით, რომ ყველაზე მეტად ქართული სამზარეულო მოგეწონათ. რომელიმე ქართული კერძის გაკეთება ხომ არ გიცდიათ?**

- ოჰ, ამ საქმეს რეცეპტების გარეშე ნამდვილად ვერ შევეჭიდები. დაახლოებით ვიცი, როგორც მზადდება ხაჭაპური, მაგრამ თუ ეს კონკრეტულად არავინ მასწავლა, დარწმუნებული ვარ, ცუდად გამომივა. ნოდარის მეუღლეს უნდა ვთხოვო, ზუსტი და დეტალური რეცეპტები მომცეს. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ქართული კერძების გაკეთება ვისწავლო. ვწუხვარ, რომ ეს აქამდე ვერ მოვახერხე. ეს შესანიშნავი სიახლე იქნება ჩვენი ოჯახის სამზარეულოში, თორემ ხომ ხვდებით, სულ ერთი და იგივე, რაც არ უნდა გემრიელი იყოს, მოსაბეზრებელია.

**- ტოპმიოლერების ოჯახი შობას და ახალ წელს როგორ ხვდება ხოლმე?**

- ისე, როგორც ნებისმიერი გერმანული ოჯახი, რომელიც ტრადიციებს პატივს სცემს. ყველანი ერთად ვიკრიბებით და ვმხიარულობთ. როგორც გავიგე, საქართველოში ახალ წელზე უფრო დიდი ზეიმია ხოლმე, ვიდრე შობაზე. ალბათ იმიტომ, რომ თქვენთან ჯერ ახალი წელი დგება, მერე კი შობა. ისიც ვიცი, რომ ნამდვილი ახალი წელი საქართველოში 14 იანვარს დგება და კურიოზია ის, რომ ყველა მაინც 1 იანვარს უფრო ზეიმობს, ვიდრე 14-ში. ჩვენთან პირიქითაა, ჯერ შობა მოდის და ეს დღესასწაული ყველაზე მნიშვნელოვანია. ახალი წელი კი, 25 დეკემბერს დაწყებული ზეიმის ლამაზი დაგვირგვინებაა ხოლმე.

**- რა გაჩუქათ მეუღლემ ან თქვენ რა აჩუქეთ?**

- საჩუქრები მთავარი არ არის. მთავარი ისაა, რომ ყველანი ერთად ვიკრიბებით და ერთმანეთს ბედნიერი სახეებით ვუყურებთ ხოლმე. ნაძვის ხის ქვეშ საჩუქრებს, რა თქმა უნდა, ვაწყობთ, მაგრამ ეს ფორმალობაა. სანამ ბავშვები პატარები იყვნენ, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, თუ რა დახვდებოდათ საჩუქრის ყუთში. ახლა კი ეს უბრალოდ ლამაზი ტრადიციაა.

**- რას ისურვებდით 2007 წლისთვის?**

- პირველ რიგში ჯანმრთელობას. 2006 წელს რამდენჯერმე გავხდი ავად და არ მინდა, რომ ეს 2007-შიც განმეორდეს. მით უმეტეს არ მინდა, რომ ავადმყოფობამ საქართველოში ჩამოსვლაში ისევ შემიშალოს ხელი. ოჯახი ჩემთვის ყველაზე წმინდაა და მინდა, რომ ჩემს შვილებს და მეუღლეს ყოველთვის ბედნიერი სახეები ჰქონდეთ. ვერ წარმოიდგენთ, როგორი გახარებული იყო კლაუსი, ფარერებიდან რომ დაბრუნდა. იგივე განმეორდა ურუგვაისთან მოგებული მატჩის შემდეგაც, ჩამოვიდა და თქვა, როგორც იქნა, გულშემატკივრები გავახარეთო.

**- იტალიასთან მატჩის შემდეგ რას ამბობდა?**

- დანა პირს არ უხსნიდა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უიღბლობაო. მჯერა, გაისად იღბალიც მის მხარეს იქნება. თვითონაც დარწმუნებულია, რომ 2007 წელს უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს. განსაკუთრებით უკრაინაში წაგებამ დაამწუხრა. საფრანგეთთან და იტალიასთან წაგებების შემდეგ ამბობდა, კი ბატონო, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტებთან დავმარცხდით, მაგრამ სტადიონი სავსე იყო და ამდენი მაყურებლის თვალწინ მარცხი, რთული ასატანიაო. მაგრამ მას სჯერა, რომ 2007 წელი წარმატებების წელი იქნება. როცა კლაუსი თავდაჯერებულია, რა უფლება მაქვს, რომ მე სხვანაირად ვიფიქრო. მეც მჯერა, რომ იმედები არ გაუცრუვდება.

### კლაუსი: საქართველო მეტს იმსახურებს და მჯერა, მიიღებს კიდეც!

**- ჰერ ტოპმიოლერ, რამდენად მორწმუნე ადამიანი ხართ და ხშირად დადიხართ თუ არა ეკლესიაში?**

- რომ გითხრათ, ეკლესიაში ხშირად დავდივარ-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ, მაგრამ მე ჩემს თავს მაინც მორწმუნეს ვუწოდებ. დიახ, მე მწამს ღმერთის! ეკლესიაში შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე აუცილებლად მივდივარ ხოლმე. ამას გარდა მხოლოდ მაშინ, თუ დაკრძალვაა.

**- რას ნიშნავს თქვენთვის შობა და ახალი წელი?**

- პირველ რიგში ოჯახურ ზეიმს. ბავშვობიდან ეს დღეები იმიტომ მიყვარდა, რომ მთელი ოჯახი ერთად იკრიბებოდა. მართლაც, არაფერია იმაზე ლამაზი, როცა ყველას ერთად ხედავ, როცა ყველა ბედნიერი და გახარებულია. შობა და ახალი წელი ჩემთვის სიმშვიდესთანაც ასოცირდება, იმ დღეებთან, როცა შეგიძლია, სიწყნარით დატკბე.

**- ახალ წელს ამჯერად სად და როგორ შეხვდებით?**

- ეს ჯერ არაა გარკვეული. შესაძლოა სახლში, ანაც სადმე სხვაგან. ბოლო დღეებში ნამდვილად არ გვეცალა იმისთვის, რომ გვეფიქრა, სად გაგვეტარებინა პირველი იანვარი. გუშინწინ ტომის დაბადების დღე ჰქონდა და შინ დიდი წვეულება გავმართეთ, მანამდე კი შობა იყო და შესაბამისად, ყველანი სახლში ვიყავით.

**- თქვენთვის ყველაზე გამორჩეული შობის ღამე რომელი იყო?**

- მე უფრო რამდენიმე ასეთ ღამეს გავიხსენებდი. დაუვიწყარია ბავშვობის დროინდელი საშობაო ღამეები. იმ დროს 7-8 წლისა გახლდით და ძალიან მიხაროდა, როცა ოჯახის ყველა წევრს ერთად ვხედავდი. განსაკუთრებით კი იმ პერიოდს გამოვყოფდი, როცა ბებიაც ცოცხალი იყო. მშობლები, ბებიები, დეიდები, ბიძები, უახლოესი ნათესავები - შობას ყველანი ერთად ვხვდებოდით და დამეთანხმებით, ბავშვისთვის ამაზე ლამაზი არაფერია.

**- დიდხანს გჯეროდათ, რომ ნიკოლაუსი არსებობდა?**

- საკმაოდ დიდხანს. ბებია ყოველთვის მეუბნებოდა, ნიკოლაუსი მთელი წლის განმავლობაში აკვირდება შენს ქცევებს და როგორც მოიქცევი, დეკემბერშიც შესაბამის საჩუქარს მიიღებო. სიმართლე გითხრათ, ძალიან დაშინებული ვიყავი და მაქსიმალურად ვცდილობდი, რაც შეიძლება იშვიათად მეცელქა.

**- იყო შემთხვევა, როცა ნიკოლაუსმა დაგსაჯათ და საჩუქრები საერთოდ არ მოგიტანათ?**

- (იცინის) არა, ის ყოველთვის ყველაფერს მპატიობდა.

**- ფრაუ ტოპმიოლერმა გვითხრა, მინდა, ქართული კერძების გაკეთება ვისწავლოო. ეს თქვენი დავალება ხომ არ არის?**

- არა, მე ნამდვილად არ დამივალებია და თუკი მართლაც ასე გითხრათ, ბრავო, მივესალმები ამ იდეას. არასდროს დამიმალავს, რომ ქართულ სამზარეულს ვეთაყვანები.

**- ყველაზე მეტად მაინც რომელი კერძი მოგწონთ?**

- ხაჭაპური შეუდარებელია, თუმცა ყველაფერს დიდი სიამოვნებით მივირთმევ ხოლმე. იქნება ეს მწვადი, თუ თევზეული - ყველაფერი გენიალური გაქვთ. იცით, ბევრს უკვირს, როცა ვამბობ, რომ საქართველოში წასვლა ყოველთვის ძალიან მიხარია. მეუბნებიან, კი ბატონო, ეს შენი სამსახურია, მაგრამ ასე ძალიან რა მოგწონს, ეს ხომ პატარაა ქვეყანა, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვსო. ასეთ დროს ჩემგან დაახლოებით ნახევარსაათიან ლექციას ისმენენ ხოლმე. ვიწყებ მოყოლას ქართული ბუნების შესახებ, რომ საქართველოში ულამაზესი მთებია. ვუყვები ქართულ სტუმართმოყვარეობაზეც და კერძოდ იმას, რომ ნებისმიერი ქართველი ბედნიერი იქნება, თუკი ის სტუმარს ასიამოვნებს. ეს ყველაფერი გერმანელებისთვის უცხო ხილია. აქ ჰგონიათ, რომ საქართველოში ბედნიერი არავინაა. ის კი არ იციან, რომ ქართველები, მიუხედავად არასათანადო ფინანსური შესაძლებლობებისა, თავს ნებისმიერ გერმანელზე ბედნიერად გრძნობენ.

**- რა იყო თქვენთვის საუკეთესო საშობაო საჩუქარი?**

- კონტრაქტი, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გავაფორმე.

**- ხუმრობთ?**

- არავითარ შემთხვევაში! გულახდილად გეუბნებით. ამ ერთი წლის განმავლობაში მივხვდი, რომ ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება, რომელიც კი ოდესმე მიმიღია. იცით, ჩემთვის მთავარი ადამიანებთან ურთიერთობაა. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ხანს ვიქნები საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი - თქვენმა ქვეყანამ უკვე დაიკავა ჩემს გულში დიდი, ძალიან დიდი ადგილი. გნებავთ, დამიჯერეთ და გნებავთ, ნუ დამიჯერებთ. ამას ვამბობ როგორც ადამიანი და არა როგორც მწვრთნელი. ცხადია ისიც, რომ მოვა დრო, როცა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარ ვიქნები, მაგრამ ეს ქვეყანა სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში. თუ არ გჯერათ, არა უშავს, მერე დაიჯერებთ, როცა მწვრთნელი აღარ ვიქნები. თქვენს ქვეყანაში შესანიშნავი ადამიანები გავიცანი. რობოტული მენტალიტეტის მოტრფიალე არასდროს ვყოფილვარ, საქართველო კი, ძალიან შემიყვარდა. ქართველების აბსოლუტურად ყველა ემოცია გულიდან მოდის, პირდაპირ გულიდან. ამდენი თბილი ადამიანი ერთად არსად მინახავს. ყველას ვეუბნები, რომ მიუხედავად ამდენი პრობლემისა, ქართველები მაინც მხიარულად ცხოვრობენ და ბედნიერებისთვის ძალიან ცოტა სჭირდებათ. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ცხოვრება.

**- თბილისში ოჯახის წევრებს როდის ჩამოიყვანთ?**

- წლეულსაც რამდენჯერმე დავგეგმეთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჩაიშალა. ახლა შვილიშვილს ველოდები, დინოს მეუღლე სულ მალე პატარას გააჩენს. მინდა, რომ მარტში ან აპრილში მთელი ოჯახით ჩამოვიდე, თუ, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი ფაქტორები აღარ იქნება. თუ არა და ზაფხულში აუცილებლად ჩამოვიყვან როზის, დინოს, მის მეუღლეს, ტომისა და ნინასაც. ეს გარდაუვალია.

**- ტომის დაბადების დღეზე რა აჩუქეთ?**

- ნახმარი მანქანა, რომლის შერემონტებაშიც თვითონ დავეხმარები.

**- მართვის მოწმობა უკვე აქვს?**

- არა, უახლოეს მომავალში აპირებს გამოცდების ჩაბარებას.

**- ქართული სუფრის შესახებ უკვე ყველაფერი იცით. სადღეგრძელო თქვენზეა...**

- მთელ საქართველოს ვულოცავ შობას და ახალ წელს. ყველა ქართველს ვუსურვებ ოცნებების ახდენას, ბედნიერებას და რაც მთავარია, მშვიდობას. პოლიტიკა ბინძურია, ნუ მიაქცევთ მას ყურადღებას. იყავით ისეთები, როგორებიც ხართ! თქვენი პატარა ქვეყანა მეტს იმსახურებს და მჯერა, მიიღებს კიდეც.

**- პირადად თქვენთვის რას ისურვებდით?**

- მე ასეთ დროს ყოველთვის გლობალურად ვფიქრობ ხოლმე. მინდა, რომ მშვიდობა იყოს!

**გოტფრიდ ლენცი**

გაისად ელიტაში თამაშის უფლება მოიპოვა. საქართველოს ნაკრებში საუკეთესო **ვიქტორ სანიკიძე** იყო.

**25, ძიუდო:** ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე ქართველებმა 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

**26, რაგბი:** საქართველოს თასის ფინალში "ლოკომოტივმა" "ლელო" დაამარცხა - 29:10.

**26, ფეხბურთი:** "სიონი" ჩემპიონთა თასის მეორე რაუნდში სტუმრად 0:2 დამარცხდა სოფიის "ლევსკისთან". 2 აგვისტოს "სიონმა" შინაც 0:2 წააგო და ევროსეზონი დაასრულა.

**27, წყალბურთი:** რუმინეთის ქალაქ ორადეაში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-14 ადგილი დაიკავა.

**27, ფეხბურთი:** საქართველოს ჩემპიონატის სტარტამდე ორი დღით ადრე გაირკვა, რომ უმაღლეს ლიგაში ფოთის "კოლხეთი" და "ცხინვალი" ვერ იასპარეზებენ.

**28, კალათბურთი:** გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ აღარ ჩამოვიდოდა ამერიკელი **შემონდ უილიამსი**, რომელმაც "ლეიკერსთან" გააფორმა კონტრაქტი.

**29, ფეხბურთი:** დაიწყო საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატი.

## აგვისტო



**6, კალათბურთი:** ამერიკელმა **ტაირონ ელისმა** ქართული პასპორტი მიიღო და საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება მოიპოვა.

**7, ჩოგბურთი:** იტალიაში, მარტინა ფრანკას ტურნირი (50 ათასი) **მაკა ჩახნაშვილმა** მოიგო.

**10, ფეხბურთი:** უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ამერი" ბერლინში "ჰერტასთან" 0:1 დამარცხდა წამატებულ დროში გაშვებული გოლით. 24 აგვისტოს "მიხეილ მესხზე" თამაში 2:2 დასრულდა. "ამერი" ევროსარბიელს ღირსეულად გამოეთხოვა.

**16, ფეხბურთი:** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ტოფტირში ფარერები 6:0 გაანადგურა. გოლები: **არველაძე** (3), **მუჯირი, იაშვილი, კობიაშვილი**

**16, ფეხბურთი:** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლიტვაში 0:1 წააგო. მწვრთნელი **რალფ მინგე** ეროვნულ გუნდს ახლდა ფარერის კუნძულებზე.

**20, კალათბურთი:** საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ტალინში, ევროპის ბ დივიზიონში მეორე ადგილი დაიკავა და გაისად ელიტაში იასპარეზებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ნიკო ჩერქეზიშვილია**.

**20, ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებს ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში წილისყრამ მეტოქეებად რუმინეთის, ბულგარეთისა და ლატვიის გუნდები არგუნა.

**21, ჩოგბურთი:** **მაკა ჩახნაშვილმა** პირველად ითამაშა "დიდი სლემის" ტურნირზე - ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო წრეში.

**21, ჭიდაობა:** **ლერი ხაბელოვი** საჭიდაო დიდების დარბაზში შეიყვანეს.

**28, სუმო:** **ლევან ცაგურია** (კოკაი) ივლისის ბაშოზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ პირველად გახდა კომუსუბი. მან ეს ტიტული სექტემბრის ბაშოზეც დაიცვა და ნოემბერში დაკარგა





## ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**1, ფეხბურთი:** "სიონის" მწვრთნელ **კახა ცხადაძეს** "ოლიმპთან" მატჩისას მომხდარი ინციდენტისთვის სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

**2, ფეხბურთი:** განახლებული ეროვნული სტადიონის გახსნა მსოფლიოს ვიცეჩემპიონის, საფრანგეთის სტუმრობას დაემთხვა. 0:3 – სამფეროვანთა იოლი ლუკმა გავხდით.

**3, ფეხბურთი:** ახალგაზრდული ნაკრები შინ 1:3 სერბეთთან დამარცხდა და შესარჩევი ტურნირი ამით დაასრულა.

**3, კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა გამარჯვებით გახსნა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის შესარჩევი ჯგუფი. ჩვენმა გუნდმა ლუქსემბურგს თბილისში 86:44 მოუგო. საუკეთესო **გიორგი ცინცაძე** იყო 15 ქულით.

**6, კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ავსტრიაში დრამატულ მატჩში შეძლო გამარჯვება - 68:63, **ზაზა ფაჩულია** გუნდში საუკეთესო იყო - 29 ქულა.

**9, რაგბი:** დაიწყო საქართველოს მორიგი, ექვსგუნდა ჩემპიონატი. უმაღლეს ლიგაში ყველა გუნდი თბილისურია.

**6, ფეხბურთი:** უკრაინამ კიევში საქართველოს ეროვნულ გუნდს დრამატულ ბრძოლაში 3:2 აჯობა. გოლები: **დემეტრაძე, არველაძე.**

**10, ძიუდო:** ტალინში ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვა **ნოდარ მეტრეველმა.**

**11, კალათბურთი:** საქართველოს ნაკრებმა შინ ისლანდიის ნაკრები დაამარცხა - 80:65. **ზაზა ფაჩულიამ** 21 ქულა ჩააგდო.

**13, კალათბურთი:** ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად ფინეთთან 81:91 წააგო. **ზაზა ფაჩულიამ** 36 ქულა დააგროვა. პირველი წრის შემდეგ საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზეა.

**15, ფეხბურთი:** თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელად ჩეხი **დუშან უგრინი** დაინიშნა.

**17, ძიუდო:** პარიზში საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი მოიგო ფინალში რუსეთის დამარცხებით - 4:3.

**19, ჭადრაკი:** 12-ნლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა **მერი არაბიძე.**

**20, ჩოგბურთი: მაკა ჩახნაშვილმა** კარიერაში პირველად ითამაშა WTA ტურნირის ძირითად ბადეში და სლოვენიის ღია პირველობაზე პირველივე მატჩიც მოიგო.

**22-24, ჩოგბურთი:** დევისის თასზე საქართველოს ნაკრებმა (**ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია**. კაპიტანი **გელა ელერდაშვილი**) სასწაული მოახდინა, ბუდაპეშტში 0:2 შემდეგ 3:2 გაიმარჯვა და თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპა-აფრიკის ზონის I ჯგუფის საგზური.

**25, კალათბურთი:** "ნიუ იორკ ნიკსმა" **ნიკოლოზ ცქიტიშვილს** არაგარანტირებული კონტრაქტი გაუფორმა.

**25-28. ანტიკური ჭიდაობა:** მსოფლიო ჩემპიონატი ჩინურ გუანჯოუში: ვერცხლის მედალი **დავით ბედინაძემ** მოიპოვა, **მანუჩარ კვირკველიამ** - ბრინჯაო.

**29-1 ოქტ, თავისუფალი ჭიდაობა:** გუანჯოუში, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს: **გიორგი გოგშელიძემ, ოთარ თუშიშვილმა** და **რევაზ მინდორაშვილმა.**



ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲑᲐᲡᲐ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

# ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲙᲐᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲔᲙᲐᲕᲡᲝ

**ᲑᲐᲡᲐ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ფეხბურთის უბრალო კი არა, დიდი ქომაგია. თავადაც დარწმუნდებით, რომ მსგავსი ემოციებითა და სიყვარულით ქართულ ფეხბურთზე ბევრი მამაკაცი ვერ ისაუბრებს. ვფიქრობთ, საახალწლოდ რესპონდენტის შერჩევა არ შეგვშლია.**

**რატომ მაინც და მაინც ბასა ფოცხიშვილი? საფეხბურთო სამყაროსთან ურთიერთობის გამოცდილება გააჩნია და სხვადასხვა საფეხბურთო პროექტების განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული...**



**- ბასა, თურმე გერმანული ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბრძანდებით.**

- უპირველესად, მე ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და მერე გერმანულის. მომწონს ჩვენების ტექნიკური, ლაღი თამაში. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასეთები იყვნენ. მსოფლიო ჩემპიონატებისა და თბილისის "დინამოს" თამაშები ჩვენთვის ზეიმი იყო. "დინამოს" სტადიონზე მუდმივი ადგილი მქონდა. მამამ ცნობილი სიმღერის "დინამო-დინამო-დინამოს" ტექსტი რომ დაწერა, სტადიონზე მანქანის შესაყვანი საშვი მისცეს და ვერ წარმოიდგენდით, როგორი ბედნიერი ვიყავი.

რატომღაც, გერმანიის ნაკრებს მანქანას უწოდებენ. რუმენიგეს არ ჰქონდა ტექნიკა, ბრაიტნერს ან მათეუსს? ეს ხომ სისულელეა. არასდროს მინახავს ისეთი ლამაზი შეხვედრა, როგორიც 1982 წელს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმართა გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ფრანგები 3:1 იგებდნენ, როდესაც მოედანზე სიცხიანი რუმენიგე შემოვიდა და უმცირეს დროში ანგარიში გაათანაბრა! გერმანელის გარდა, ამას ვინ გააკეთებდა? იმ დღის შემდეგ გერმანელები საბოლოოდ შემიყვარდა. წელს გული მატკინეს, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ იტალიასთან ნახევარფინალში წააგებდნენ. საერთოდ კი, მათეუსი ზიდანსაც მირჩევნია და აბსოლუტურად ყველას. გენიალური, "ჰაი-კლასის" ფეხბურთელი იყო.

**- ოოო, სერიოზულად ყოფილა საქმე, ვერც წარმოვიდგენდი, ასეთ ფანი თუ იქნებოდით.**

- არა, რა, ვგიჟდები გერმანელებზე.

**- თქვენს ხელში რომ იყოს სამი სურვილის შესრულება, რას გააკეთებდით?**

- ჯერ ერთი, ქართულ ფეხბურთში დიდ ფულს მოვიტანდი, რომ ჩვენი ძალიან ნიჭიერი ბიჭები საქართველოში დავაბრუნოთ. ნამდვილად არაჩვეულებრივი ფეხბურთელები გვყავს და ძლიერ კლუბებშიც თამაშობენ. მეორე - ძლიერ კლუბს საქართველოშიც ჩამოვაყალიბებდი. მათი უცხოეთში ყოფნა კარგია, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა გაგვახაროს რომელიმე ქართულმა კლუბმა? გული სიხარულით მევსება ხოლმე, როდესაც უცხოეთში ქართველ ფებურთელებს აქებენ. იტალიაში "ბადაგონის" რეკლამის ჩასაწერად რომ ვიყავი, იქ კალაძეზე ისე თბილად ისაუბრეს, პატარა ბავშვივით გავიხარე.

და მესამე, დავაბრუნებდი 1981 წლის "დინამოს" და სტადიონიც ყოველთვის შეივსებოდა. ძალიან მიყვარდა დათო ყიფიანი და ნოდარ ხიზანიშვილი. რატომ ხიზანიშვილი? მცველი იყო და გოლის გამტანს მაინც პირველი ის ულოცავდა, წარმოგიდგენიათ?

**- იმ გუნდში დღევანდელი თაობიდან რომელ ფეხბურთელს გადაიყვანდით?**

- არავის და არა იმიტომ, რომ არავინ მომწონს. ჩვენ დღესაც ძალიან ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. უბრალოდ, 81-ის გუნდიდან ამოსაგდებად არავინ მემეტება. დღევანდელ თაობას აწყობილი ცხოვრება და ქვეყანა აკლიათ. გული ძალიან მწყდება, ცუდ დროში იცხოვრეს და ამიტომაც ვერაფერს აღწევენ, მაგრამ მე მათი მაინც უზომოდ მჯერა.

**- როგორია რეჟისორის თვალით დანახული ნაკრების კლიპი "ჩვენ ერთი გუნდი ვართ"?**

- ვიყავი პრეზენტაციაზე და აღფრთოვანებული დავრჩი. გულით, აღმაფრენით გაკეთებული კლიპია და რაც მთავარია, აშკარაა, რომ რეჟისორი ფეხბურთის მოყვარულია. სხვათაშორის, მამაჩემი მეუბნებოდა, ფეხბურთის დროს კარგი კაცი არ დარეკავსო. ამის შემდეგ, კაცებს სწორედ ასე ვარჩევ. თუკი კარგი ბიჭი იყო, ეზოში მაინც უნდა ეთამაშა. ფეხბურთი იმხელა სიამოვნებაა, რომელსაც ვერაფერი შეედრება.

**- ჩვენი ინტერვიუ "სპორტისა" და "ლელოს" პირველ, გაერთიანებული ნომრის გამოშვებას დაემთხვა.**

- გისურვებთ, ჩვენი სპორტსმენების მუდმივ წარმატებებზე გეწეროთ. ესაა ჩემი ოცნება, ისეთი ნაკრები და გუნდები გვყოლოდეს, რომ მათ შეხვედრებზე სტადიონი შეივსოს. წარმოგიდგენიათ, ხალხი როგორი ბედნიერი იქნება? ერთადერთი ადგილი სტადიონია, სადაც ხალხმრავლობა მიყვარს. ერთხელ სეზონის აბონემენტი ვერ ავიღეთ, ჯუნგლებში ვიჯექი და იქაც უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი თავს.

საერთოდ, სპორტსმენებზე გვიჟდები და რა თქმა უნდა, ძველ "ლელოს" ვკითხულობდი. სპორტულ პრესას ახლაც ვეცნობი, მათ შორის თქვენს გაზეთსაც. ფეხბურთელები თავდაპირველად, მომწონდნენ როგორც ბიჭები. მერე მათში ბევრი საინტერესო პიროვნებაც დავინახე. ჩოგბურთიც მიყვარს, მაგრამ ფეხბურთი სხვა მოვლენაა. არ არსებობს ვარსკვლავი, რომელიც მდიდარი ბუნების არ იყოს. მათგან უზარმაზარი ენერგია მოდის, რაც ბოროტ ადამიანებს არ ახასიათებთ.

გარეგნულად ვგიჟდებოდი კარლ-ჰაინც რუმენიგესა და ოლივერ კანზე, ახლა ბალაკი მომწონს... სხვათა შორის, ჯენტილეც მომწონდა, ქართველებიდან კი ქეცბაია, კალაძე, არველაძე. გენიალური ადამიანია ყაველაშვილი. ძალიან მინდა ჩემი დისშვილიც ფეხბურთელი გამოვიდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთის დროს არასოდეს დარეკავს მეგობრებთან.

**- ქართველებში "ჰაი-კლასის" ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

- კალაძე არაა ასეთი ან კობიაშვილი? გული სიხარულით ერთხელ ამევსო, როდესაც ქართველს შეაგინეს და ისიც ფეხბურთის გამო. ვენეციაში გავიცანი ბიზნესმენი, რომელმაც შოთა არველაძე გაიხსენა. "უდინეზეს" ფეხბურთელი ვიყავი, ერთადერთხელ გვქონდა სერიოზული წარმატების იმედი, უეფას თასზე "აიაქსის" თავდამსხმელ არველაძეს ბოლო წუთზე სასწაული გოლი რომ არ გაეტანაო და ისეთი სიცილით შეაგინა, მხოლოდ პატივისაცემ მეტოქეზე რომ იტყვიან. გამიგეთ, როგორც გითხარით?

**- ორი წელია პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან თანამშრომლობთ და "დია2006" ერთ-ერთი ორგანიზატორი ბრძანდებით. სად გადაიკვეთა თქვენი და საფეხბურთო სამყაროს გზები?**

- ოდესღაც არსებობდა ძალიან მაგარი ქართული ფეხბურთი და არავინ უარყოს, რომ ასე არ იყო. ვხედავ, რომ დიმა რამიშვილს ამ ფეხბურთის დაბრუნება სურს და როდესაც საფეხბურთო ლონისძიებაში ჩართვის საშუალება მომეცა, არც დავფიქრებულვარ. გვერდში რატომ არ უნდა დავუდგე? პროფლიგა სერიოზულ საქმეებს აკეთებს. ახლა ჩემი და, თამრიკო, პროფლიგას ჟურნალის გამოცემაში ეხმარება და ამ საკითხშიც მისი კონსულტანტი ვარ. ეს მხოლოდ დასაწყისია, ძალიან ბევრი საერთო ჩანაფიქრი გაგვაჩნია, მათ შორის, "დია 2007"-ის ჩატარება. ის წლევანდელზე გაცილებით უკეთესად უნდა მოვაწყოთ, "ჰაი-კლასის" დონეზე. ეს ერთი ჩანაფიქრია, სხვებზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

ქართველებში ნამდვილად არის დიდი ფეხბურთის თამაშის პოტენციალი და თუკი ჩვენს ბიჭებს ხელშეწყობა ექნებათ, აუცილებლად გვეყოლება მაგარი ნაკრები.

**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲥᲝᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲖᲔ, ᲗᲣ?..

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ-ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ "ტრაიბალფუტბოლის" ინფორმაციით, "რომას" ფრანგი მცველი **ფილიპ მექსე** დედაქალაქიდან აბარგებას აპირებს. როგორც ჩანს, კლუბი და ფეხბურთელი ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან. მიმდინარე ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მექსე ყოველწლიურად მილიონ გირვანქას იღებს, წელინადნახევრის შემდეგ იწურება. მექსეს აგენტი **ოლივიე ჟუანო** აცხადებს, რომ უკვე მიიღო შეთავაზებები "მილანისა" და "იუვენტუსისგან". ისინი ფრანგს ორჯერ მეტ ანაზღაურებას ჰპირდებიან და ზედაც 5-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ...

თუ სად ითამაშებს მექსე, ქართველი მკითხველისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ "მილანი"-"რომას" მოსალოდნელი გარიგებაში (10-15 მლნ. გირვანქა) **კახა კალაძე** ფიგურირებს - თითქოსდა, "როსონერი" მზადაა, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამ სატრანსფერო ოპერაციის ნაწილად აქციოს და, შესაბამისად, თანხაც ნაკლები დახარჯოს.

კომენტარისთვის კალაძეს დავუკავშირდით: *"რა "რომა", რის "რომა"?! რით უნდა დამაინტერესოს ამ კლუბმა, რომ მე, "მილანის" ვიცე-კაპიტანი, "რომაში" გადავიდე?! ჩემთვის "მილანი" იმდენად ძვირფასია, წარმოუდგენლად მიმაჩნია, ის "რომაში" გავცვალო. აქ ფულშიც არ არის საქმე. მე დიდ გუნდში ვარ და იქ თავს, ძალიან კარგადაც ვგრძნობ. ვაცხადებ, რომაელები არ დამკავშირებიან და რომც დამიკავშირდნენ, იმავეს ვეტყვი".*


CDN ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲞᲐᲙᲔᲢᲡ:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



# იცნობდეთ, საქართველოს ნაკრები

მაშ, ასე, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები, 3 იანვარს დაუბრუნდება ევროარენას და ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ ქართული ხელბურთის უპირველესმა გუნდმა უკანასკნელად 2002 წელს იასპარეზა ანალოგიურ საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც ავსტრიასთან, ჰოლანდიასა და ფინეთთან ჭიდილში, ფლეი ოფს მიღმა დარჩა. იმ გუნდიდან, დღევანდელ ნაკრებში თამაშობენ **შოთა თევზაძე, გიორგი ქობელაშვილი, რეზო ჭანტურია, ლევან გელაშვილი, ალექსანდრე ბოყოჩაძე, ომარ ყიფიანი და დავით ნიკოლაიშვილი**. 2002 წლის ფორმაციის ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა **ბექა ორჯონიკიძემ** კი დაასრულა კარიერა და ამჟამად ნაკრებში მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს. რაც შეეხება ნაკრებში გამოძახებულ დანარჩენ 8 ხელბურთელს, მათ 3 იანვარს, ლატვიასთან მატჩში მოედანზე გამოსვლის შემთხვევაში, ნაკრებში ოფიციალური დებიუტი ექნებათ.

ახლა კი, წარმოგიდგენთ იმ გუნდს, რომელიც ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ევროპას უბრუნდება.

შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებული გადის შესარჩევი ტურნირის ფლეი ოფში. ორმატჩიანი ფლეი ოფი გაიმართება ივნისში, გამარჯვებულები გავლენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

**კობა ხატისაშვილი**

**შესარჩევი ჯგუფის განრიგი**

მატჩების დასაწყისი მოყვანილია საქართველოს დროით

**3 იანვარი. რიგა. 21:30**
**ლატვია-საქართველო**

მსაჯები: მიხალ მალეკი, არკადიუშ ნოვაკი (პოლონეთი). დელეგატი: ვენტსლი კალეკი (ესტონეთი)

**4 იანვარი**
**რუმინეთი-ბულგარეთი**

**7 იანვარი. თბილისი. 18:00**
**საქართველო-ლატვია**

მსაჯები: გერჰარდ რაიზინგერი, ქრისტიან კაშუტცი (ავსტრია). დელეგატი: მუსტაფა ბალაკი (თურქეთი)

**7 იანვარი**
**ბულგარეთი-რუმინეთი**

**10 იანვარი**
**ბულგარეთი-ლატვია**

**12 იანვარი. თბილისი. 18:00**
**საქართველო-რუმინეთი**

მსაჯები: ურმო სიცი, ტომას ჰეინლა (ესტონეთი). დელეგატი: ვასილ ფეგერი (უკრაინა)

**14 იანვარი. კონსტანცა. 13:00**
**რუმინეთი-საქართველო**

მსაჯები: ვასილ კავდაროვი, გიორგი დუკოვი (მაკედონია). დელეგატი: ნიკოლაე ვიზიტიუ (მოლდოვა)

**14 იანვარი**
**ლატვია-ბულგარეთი**

**17 იანვარი**
**ლატვია-რუმინეთი**

**19 იანვარი. თბილისი. 18:00**
**საქართველო-ბულგარეთი**

მსაჯები: ანატოლი მიშჩუკი, ვალერი როჟკოვი (უკრაინა). დელეგატი: არსენ მხითარიანი (სომხეთი)

**21 იანვარი. გაბროვო. 19:00**
**ბულგარეთი-საქართველო**

მსაჯები: ვლადიმირ ჯოვიჩი, ალია ჰასიჩი (ბოსნია). დელეგატი: ტელემახოს სავიდესი (კვიპროსი)

**21 იანვარი**
**რუმინეთი-ლატვია**


ეროვნული ბიბლიოთეკა


**შოთა თევზაძე (1982)**
"ანკარასფორი", თურქეთი
მეკარე


**გაგა სამყურაშვილი (1988)**
სტუ-"შევარდენი"
მეკარე


**გიორგი ქობელაშვილი (1978)**
სტუ-"შევარდენი"
მარცხენა გარემარბი


**რეზო ჭანტურია (1982)**
"მეტალურგი", მაკედონია
მარჯვენა გარემარბი


**ვლადიმერ რუსია (1984)**
"შახტარ-აკადემია", უკრაინა
მარცხენა შუამარბი


**რატი მსხვილიძე (1988)**
სტუ-"შევარდენი"
მარჯვენა შუამარბი


**მამია კოზახიძე (1981)**
"შახტარ-აკადემია", უკრაინა
მარჯვენა შუამარბი


**ლევან გელაშვილი (1975)**
"თბილისი"
გამთამაშებელი/მარჯ. შ.


**აკაკი ტალახაძე (1984)**
სტუ-"შევარდენი"
გამთამაშებელი/მარც. გ


**ლევან ბერძენიშვილი (1986)**
სტუ-"შევარდენი"
გამთამაშებელი


**ალექსანდრე ბოყოჩაძე (1973)**
სტუ-"შევარდენი"
ხაზის მოთამაშე


**ომარ ყიფიანი (1975)**
სტუ-"შევარდენი"
ხაზის მოთამაშე


**სერგეი კირილოვი (1977)**
"მლადოსტ-ბოგდანცი", მკდ
ხაზის მოთამაშე


**დავით ნიკოლაიშვილი (1978)**
სტუ-"შევარდენი"
მარც. შუამარბი/გამთამაშ.


**გიორგი წიწივაძე (1982)**
"თბილისი"
მარც. გარემარბი/გამთამაშ.


**მერაბ მეტრეველი**
მთ. მწვრთნელი


**ირაკლი კეკელიძე**
მწვრთნელი


**ჯემალ ბარამიძე**
მწვრთნელი


**ბექა ორჯონიკიძე**
მწვრთნელი


**ნელი გრიგალაშვილი**
ფიზმომზადება

## ოქტომბერი

**5, ფეხბურთი:** ეროვნულმა გუნდმა როსტოკის "ჰანზასთან" 0:0 ითამაშა.

**7, ფეხბურთი:** როსტოკში გერმანიის ნაკრებთან 0:2 დავმარცხდით.

**8, ძალოსნობა:** დომინიკის რესპუბლიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველთაგან საუკეთესო შედეგი **გია მაჭავარიანმა** აჩვენა - მე-7 ადგილი.

**9, ფეხბურთი:** 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი ჯგუფური რაუნდი წარმატებით დაძლია.

**10, ჩოგბურთი: ეკატერინე გორგოძემ** ევროპის ჯუნიორ მასტერსი მოიგო.

**11, ფეხბურთი:** მსოფლიო ჩემპიონებთანაც ვერას გავხდით. თბილისი, საქართველო-იტალია 1:3. გოლი: **შაშიაშვილი.**

**13, კალათბურთი:** სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მორიგი ეროვნული ჩემპიონატი, ახალი სახელით - სუპერლიგა. სუპერლიგაში 6 გუნდია.

**7, რაგბი:** დაიწყო მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი. რუმინეთში საქართველოს ნაკრებმა 8:20 წააგო.

**19, ფეხბურთი:** საქართველოში ჩატარებულმა 17-წლიანთა შესარჩევის ტურნირი: **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი მესამე ადგილზე დავიდა და მომდევნო ეტაპის საგზურები გერმანელებსა და რუსებს გაატანა.

**21-22, ძიუდო:** უნგრეთში, ევროპის საკლუბო პირველობის ოთხთა ფინალში "საგარეჯომ" მესამე ადგილი დაიკავა. ტურნირი თბილისში უნდა გამართულიყო, მაგრამ რუსულმა "იავარა ნევამ" (პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი) პოლიტიკური მოტივები მოიმიზეზა და უნგრეთში გადაატანინა.

**22-24, კალათბურთი:** "მინესოტამ" გუნდიდან გაუშვა საქართველოს ნაკრების ამერიკელი გამთამაშებელი **ტაირონ ელისი**, ხოლო "ნიუ იორკმა" გაათავისუფლა **ნიკა ცქიტიშვილი**.

**28, ჭადრაკი:** ბათუმში, ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატზე ტიტული მოიპოვეს **სოფიკო გურამიშვილმა** (16 წლამდე) და **მარიამ დანელიამ** (12).

**28, რაგბი:** საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირზე, თბილისში, ესპანეთი 37:24 დაამარცხა და ფლეი-ოფის საგზური მოიპოვა.

## ნოემბერი

**2, კალათბურთი:** NBA-ს სეზონი "ატლანტა ჰოქსის" ცენტრმა **ზაზა ფაჩულიამ** "ფილადელფიასთან" მატჩში ორმაგი დუბლით გახსნა: 15 ქულა და 12 მოხსნა.

**2, რაგბი:** გავრცელდა ცნობა, რომ ფრანგული "კლერმონის" ახალზელანდიელი მწვრთნელი **ვერნონ კოტერი** საქართველოს ნაკრებს კონსულტაციებს გაუწევს. თვის ბოლოს ნაკრების მწვრთნელები **მალხაზ ჭეიშვილი** და **დავით ჩავლეიშვილი** საფრანგეთში ორთვიან სტაჟირებაზე გაემგზავრნენ.

**10, კალათბურთი:** საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა **ტაირონ ელისმა** იტალიურ "ნაპოლისთან" კონტრაქტი გააფორმა.

**11, რაგბი:** მსოფლიო თასის ფლეი-ოფის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრებმა შინ პორტუგალიის გუნდი დაამარცხა - 17:3.

**20, ჩოგბურთი:** 16-წლამდელთა ევროპულ რეიტინგში 14 წლის **ეკატერინე გორგოძე** პირველ ადგილზე გადავიდა.



25, რაგბი: მსოფლიო თასის ფლეიოფის საპასუხო მატჩში საქართველოს ნაკრებმა ლისაბონში 11:11 ითამაშა პორტუგალიელებთან და 2007 წლის მსოფლიო თასის საგზური მოიპოვა.

26, ფეხბურთი: საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პირველი წრე დამთავრდა. ლიდერი რუსთავის "ოლიმპია".

## ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

**1, ფეხბურთი:** თასის მფლობელმა "ამერმა" ჩემპიონ "სიონის" 1:0 დამარცხებით "ფოლკსვაგენის" სუპერთასი მოიგო.

**2, ჩოგბურთი: მაკა ჩახნაშვილი** მილანის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი) ფინალში დამარცხდა.

**4, ჩოგბურთი: ალექსანდრე მეტრეველი** საჩოგბურთო დიდების დარბაზში შეიყვანეს.

**4, ჩოგბურთი: მაკა ჩახნაშვილმა** კარიერის რეკორდი დაამყარა და მსოფლიოს 138-ე ჩოგანი გახდა.

**4, სამბო: მინდია ბოდაველი** სოფიაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და აპრილში მოპოვებულ ევროპულ ტიტულს მეორე დაუმატა.

**6, ჭიდაობა:** FILA-მ წლის საუკეთესო თავისუფალი სტილით მოჭიდავედ **გიორგი გოგშელიძე** აღიარა.

**7, რაგბი:** საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები: "ლოკომოტივი" - "ყოჩები" 16:13, "დინამო" - "ლელო" 26:19.

**8, ძიუდო:** ევროპის აბსოლუტურ პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა **ადამ ოქრუაშვილმა.**

**12, ხელბურთი:** საქართველოს ვაჟთა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე **მერაბ მეტრეველმა** შეცვალა **ზაზა დოლიძე.**

**14, რაგბი:** საქართველოს ჩემპიონის ტიტული თბილისის "ლოკომოტივმა" შეინარჩუნა, ფინალში **თემურ ბენდიაშვილის** გუნდმა "დინამო" დაამარცხა - 27:13, მესამე ადგილზე "ყოჩები" გავიდა.

**17-18, ძიუდო:** ვერის ბაღში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა.

**20, ფეხბურთი:** თბილისის "დინამომ" "ვიტ ჯორჯიის" კაპიტან **დავით დიღმელაშვილთან** სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**23, ჭადრაკი:** ფედერაციის ყრილობამ ახალ პრეზიდენტად საერთაშორისო ოსტატი **რომან სიჭინავა** აირჩია.

**27, კალათბურთი:** ადრიატიკის ლიგის "ოლ სტარში" **მანუჩარ მარკოიშვილმა** "დასავლეთის" გუნდის სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 15 ქულა ჩააგდო.

**28, კალათბურთი:** "ატლანტა ჰოქსის" შემადგენლობაში კარგი თამაშით **ზაზა ფაჩულია** კარიერაში პირველად მოხვდა NBA-ს "ოლ სტარის" კანდიდატთა შორის. 28 დეკემბერს, მეორე საშუალედო შედეგების გამოქვეყნებისას ფაჩულიას 100 000 ხმა ჰქონდა მიღებული და მეხუთე ადგილზე იყო აღმოსავლეთი კონფერენციის ცენტრებს შორის.

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲧᲐᲠᲔᲗ ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲑᲘ?

**- ხუმრობა მიყვარს, მაგრამ ერთ ვითომცდა სახუმარო ფრაზის მოსმენა მაღიზიანებს - ზემოთ როგორი ამინდია? თითქოს კითხვის ავტორი მთის ძირში იყოს, მე - ჯომოლუნგმაზე.** - ეს სიტყვები **ზაზა ფაჩულიას** ეკუთვნის, რომელიც 212 სმ. სიმაღლისაა. მასზე გაცილებით მაღალი კალათბურთელებიც მოიძებნება: კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წევრი **რი იონ-ხუნი** 235 სმ-ს აღწევს და სადღეისოდ ყველაზე მაღალ სპორტსმენად ითვლება. 230 სმ. სიმაღლის რუმინელი **ჯორჯე მურეშანი** NBA-ს ისტორიაში ყველაზე მაღალი კალათბურთელია. სიაში შემდეგ მოდის სენეგალელი **მალიკ სიდიბე** (229), ინგლისელი **ნეილ ფინგტონი** (228), ამერიკელი **შონ ბრედლი** (228), სერბი **სლავკო ვრანიეში** (228), ამერიკელი **ენდი ვოლკენბერგი** (227), ჩინელი **იაო მინი** (226) და... მეთერთმეტეა ქართველი **სერგო ათუაშვილი**, რომლის სიმაღლე 222 სმ-ს აღწევს.

საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე ტანმაღალი "მაკაბელი" **გიორგი შერმადინია** - 216 სმ. მისი მწვრთნელის, ჯამლეტ ხუხაშვილის მტკიცებით, გამოკვლევებმა უჩვენა, რომ გიორგი კიდევ 3-4 სანტიმეტრს მოიმატებს.

"თვალუწვდენელ" ხალხზე საუბრისას ბუნებრივად ჩნდება მოცვეთილი კითხვა - სად გაიზარდე ამხელა? ბევრ კალათბურთელს პასუხი მზად აქვს - ყოველ დილას წყალს მისხამდნენ, ან აზოტს მიყრიდნენო... ეს ხუმრობით, ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია სწორედ იმის გამოკვლევას ეთმობა სად, რატომ და როგორ გაიზარდნენ კალათბურთელები "ამხელები".



## ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ...

სტატიისთვის საჭირო ყველა დეტალი ქართველ კალათბურთელებთან და მწვრთნელებთან დაზუსტებული მქონდა, როცა რუსულ ინტერნეტ-სივრცეში **ალექსანდრ ლიტვინოვის** ნაშრომი აღმოვაჩინე. იგი ხელოვნურად გაზრდის უამრავ მეთოდს გვთავაზობს. ზოგს ისეთს, კალათბურთელები რომ იყენებენ, ზოგის წაკითხვისთანავე გაგეცინებათ...

მოვუსმინოთ ლიტვინოვს:

"პირველ რიგში, უნდა დაადგინოთ სიმაღლეში ზრდა რაიმე მიზეზით ხომ არ ფერხდება. ან ჰორმონალური დარღვევით, ან სხვა დაავადებით... ამასთან, აუცილებელია ძვლების რენტგენით დადგინდეს "ზრდის ზონები ღიაა", თუ - არა. თუ ღიაა, მაშინ ექიმის ნებართვის შემდეგ ჰორმონალური წამლების მიღება შეიძლება, რის შედეგად მომხმარებელი წელიწადში 1-2 სმ-ს იმატებს. მაგრამ ასეთ ხერხს ხშირად უკუჩვენებები ახასიათებს.

მეორე, რაც ზრდას ხელს უწყობს, ვარჯიშია.

მესამე ხერხს შეიძლება ღიმილითაც შევხედოთ - ამბობენ, საბაზანოში ხშირი "სტუმრობა" (კვირაში მინიმუმ ორჯერ) ზრდის ჰორმონის გამომუშავებას ხელს უწყობსო. თუ არ გაიზრდებით, სუფთად მაინც იქნებით...

მეოთხე - 24-25 წლამდე ადამიანის სიმაღლეში ზრდა კვებაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. სწორი და რაციონალური კვების ხარჯზე სიმაღლეში 10 პროცენტით მომატებაა შესაძლებელი!

მეხუთე ხერხი თვალის მოტყუებაა. მაგალითად ტომ კრუზი და ჯილიან ანდერსონი მაღალ მსახიობებთან გადაღებისას "ტაბურეტკებს" იყენებდნენ. ...ზოგი მაღალქუსლიან ფეხსაცმელს იცვამს, ზოგიც მაღალ ცილინდრს ატარებს. ქვემო რაკურსიდან გადაღებულ ფოტოზეც მაღალი გამოჩნდებით!"

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲖᲠᲘᲗ...

როგორც აღმოჩნდა, ქართველი კალათბურთელები სიმაღლეში მოსამატებლად არც სპეციალურ პრეპარატებს იყენებენ და არც "ტაბურეტკებს". თუმცა, ქვემოდან გადაღებული ფოტოს ეფექტისგან "თავის დაცვა" უჭირთ...

ისლანდიასთან მატჩის შემდეგ **ნიკა ცქიტიშვილს** (215 სმ.) 4-5 წლის პატარასთან ფოტოს გადაღება სთხოვეს - შენი ქომაგიაო. ნიკამ ხელი ჩაჰკიდა, მაგრამ კადრში ორივეს ჩასატევად ფოტოგრაფს 6-7 მეტრით დაშორება მოუწია.

კითხვაზე, როგორ გაიზარდა 215 სმ სიმაღლისა, ნიკამ დაუფიქრებლად მიპასუხა: "ბავშვთა საკალათბურთო გუნდში თამაშისას, ყოველი არდადეგებისას შეკრებებზე მივემგზავრებოდით - ხან ქობულეთში, ხან ბაკურიანში... შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ სიმაღლეში საგრძნობლად ვიმატებდი. როგორც ჩანს, ჰაერის ცვალებადობა ზრდის ჰორმონებზე დადებითად მოქმედებს."

სხვათა შორის, პატარაობაში ცქიტო თანაგუნდელ **დავით უგრეხელიძესა** და **ირაკლი კეიდიას** სიმაღლეში საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა, მაგრამ 16 წლიდან ტანი სწრაფად აიყარა და ახლა დათოზე 9 სანტიმეტრით მაღალია, ირაკლიზე - თორმეტით.

ისიც შევიტყვეთ, რომ ნიკა რძისა და კვერცხის ნაზავს ხშირად სვამდა, ხოლო მამამისი 205 სმ-ს აღწევდა. ანუ ჰაერის გამოცვლის გარდა, გასაზრდელად ნიკას კვებაც დაეხმარა და გენებიც.

არიან კალათბურთელები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სპეციალური წვენების მიღებამ მათ ზრდას შეუწყო ხელი. მაგალითისთვის **ზვიად ბაბიაშვილი** ("ავიამშენი") გამოდგება: *"მშობლები დაბლები მყავს, ამიტომ ჭარხლისა და სტაფილოს წვენებით ვიჭყიპებოდი, რომ იქამდე მიმეღწია, რა სიმაღლისაც ახლა ვარ (204 სმ)."*

ტანდაბალი, **ტყუპი ბერიშვილები** (181 სმ.) ყველაფერს ვარჯიშს აბრალებენ: *"ბოსტნეულის წვენებსაც ვსვამდით და კარგადაც ვჭამდით, მაგრამ კალათბურთზე რომ არ გვევლო, ახლა 173-174 სმ. სიმაღლისანი ვიქნებოდით. 8 სანტიმეტრი სწორედ საკალათბურთო ვარჯიშებზე მოგვემატა."*

*"სპორტი ახალგაზრდის განვითარებაზე კარგად მოქმედებს, ოღონდ სიმაღლეში ზრდაში მხოლოდ რამდენიმე სახეობა ეხმარება - კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, რადგან სპეციფიკური ვარჯიშების კომპლექსს მოიცავს... ჭიდაობა ვერ ეხმარება, ფეხბურთი - მეტ-ნაკლებად"*, - ეს უკვე "ავიამშენის" კაპიტნის, ირაკლი ხოშტარიას სიტყვებია.

რუსთაველი **ანატოლი ბოისა** გვირჩევს: *"თუ კალათბურთელობა გინდათ, პატარაობიდან ცურვით უნდა დაიწყოთ. წყალში მოძრაობა მოზარდს სწორად განვითარებაში ეხმარება, რაც შემდეგ კალათბურთელობისასაც გამოადგება. მაგალითი გნებავთ? - კი ბატონო: ვლადიმერ სტეფანიასა და ჩემს ძმას კალათბურთზე შესვლამდე ცურვაში სერიოზული წარმატებები ჰქონდათ."*

ვარჯიშის გავლენას ზრდის პროცესზე ვლადიმერ სტეფანია სამედიცინო ენით ხსნის: *"თბილისის "დინამოში" ყოფნისას მყავდა ფიზმომზადების მწვრთნელი, პეტია კრასნოვი, რომელიც ამჟამად რუსეთის ქალ ჩოგბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს. სხვა სპორტულ ნიუანსებთან ერთად მან სიმაღლეში ზრდის საიდუმლოც გამანდო - ხტომისას ხერხემალი იშლება, ზურგის ტვინი ღიზიანდება, რაც ზრდაზე დადებითად მოქმედებს".*

## ᲒᲔᲜᲘ-ᲐᲚᲣᲠᲘ

დედამიწაზე ყველაზე მაღლები ვატუსის ტომის შავკანიანები არიან. მათ შორის 183 სმ-ზე დაბალი კაცი სანთლითაა საძებნელი. უდაბლესი ხალხიც აფრიკაში ცხოვრობს - კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მბუტის პიგმეების საშუალო სიმაღლე 132 სანტიმეტრია. ხალხმა რა ქნას, გენი აქვთ ასეთი...

*"სიმაღლე პირველ რიგში გენზეა დამოკიდებული. ჩემი ძმა 186 სმ-ია, და - 180-ის. მე კი ბევრსაც ვვარჯიშობ, ბოსტნეულის წვენებსაც ვილევ, მაგრამ 176 სანტიმეტრს ვერ გავცდი. ალბათ, გენი მაქვს ასეთი".* - მოგვითხრობს სსუ-ს გამთამაშებელი **შოთა პატარაია,** რომელიც ჩვენი ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დაბალი მოთამაშეა. აქვე გეტყვით, რომ NBA-ში ყველაზე ტანდაბალი კალათბურთელი შარლოტელი მაგსი ბოგუში იყო - 160 სმ.

საკუთარ აზრს თსუ-ს მწვრთნელი **ნუგზარ ჭეიშვილიც** გადმოგვცემს: *"დილას მაიკლ ჯორდანის შვილების შესახებ მომზადებულ გადაცემას ვუყურე, მაიკლის ბიჭები სხვადასხვა გუნდში თამაშობენ და თავთავის ლიგაში საუკეთესონი არიან, პირდაპირ დაფრინავენ... მაშ, გენები არაფერ შუაშია? სხვათა შორის, მეცნიერებმა დაადგინეს, ვაჟი დედის გენზე მიდის და რაც მაღალია მშობელი, მით მაღალია - შვილიც."*

ამ თემას თსუ-ს ცენტრი **რიჩარდ მათიაშვილი** განავრცობს, რომელიც აღიარებს, რომ ბოსტნეულის წვენები არასოდეს მიულია: *"ამ საკითხზე გადაჭრით საუბარი სპორტსმენებს კი არა, მეცნიერებს უჭირთ, მაგრამ არის ერთი ვერსია, რომლის მიხედვით ბიჭი დედის გენზე მიდის და ისიც გამოუთვლიათ, რომ დედაზე 20 სანტიმეტრით მაღალი იზრდება. ანუ თუ მშობელი 180 სმ. სიმაღლისაა, ვაჟი 100 უნდა იყოს."*

დაბოლოს, გენი+ალური მიგნება - ზოგიერთი სპეციალისტის მტკიცებით, კალათბურთელი ქალებში რაც ნაკლებ ჰორმონს დახარჯავს, მით მეტად გამაღლდება.

**ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**





# ᲛᲐᲗᲜᲐᲫᲔ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ქართველ დიდოსტატს, **ანა მათნაძეს** ესპანეთში, კერძოდ კატალონიაში უკვე შინაურად მიიჩნევენ - ანა ბოლო ხანს დიდ დროს ატარებს ბარსელონაში და აქტიური საჭადრაკო ცხოვრებით ცხოვრობს. მისმა ავტორიტეტმა იმდენად აიწია, რომ კატალონიელებმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგეს და ქართველს კატალონიის ქალთა ჩემპიონატში თამაშის უფლება მისცეს. ანამ, მოლოდინისამებრ, ყველა აქაურს აჯობა და 7-ტურიან ტურნირში 6.5 ქულით ჩემპიონი გახდა.

ჩანს, მათნაძეს ამით დაკმაყოფილების საშუალებას არ მისცემენ და ეგებ ესპანეთის ჩემპიონატშიც კი ათამაშონ, - ეს მხოლოდ ვარაუდია, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ მოჭადრაკეს ესპანეთში ცხოვრებით კარგი საჭადრაკო გარემო აქვს შექმნილი, ტურნირების ნაკლებობასაც არ განიცდის, რაც ოსტატობის დახვეწა-ამაღლებაში მნიშვნელოვნად ეხიდება.

საშობაოდ და საახალწლოდ ევროპაში თითქოს ყველა უნდა ისვენებდეს, მაგრამ ასე არ არის - მავანთ დღესასწაულის გალამაზება ტურნირებით მოუსურვებიათ და ამ მიზნით სწორედ საშობაო შეჯიბრებები მოუწყვიათ. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრი ბარსელონაში იმართება, რომელიც ილიეს მელესის სახელობისაა და ღია ტურნირის სტატუსი აქვს. შემადგენლობა საკმაოდ სოლიდურია: პირველი ნომერი ბულგარელი დიდოსტატი **დელჩევია** 2628 რეიტინგით; შემდეგ მოდიან 2600-იან ზღვართან ახლოს მყოფები: მაროკოელი **ჰიშემ ჰამდუჩი** (2582); პოლონელი **მატეუშ ბარტელი** (2569); უკრაინელი **ვიქტორ მოსკალენკო** (2543) და სხვა. სულ 11 დიდოსტატია, 15 საერთაშორისო ოსტატი, თამაშობენ ქალებიც. მათ შორის წოდებით ყველაზე უფროსი **ანა მათნაძეა** - იგი კაცთა შორის საერთაშორისო წოდების მფლობელია, დიდოსტატის წოდებას ოთხი ქალბატონი ფლობს, ორი - საერთაშორისო ოსტატისას.

ანას გარდა ტურნირში კიდევ ერთი ქართველი, **დავით შენგელია** თამაშობს. დავითი დიდოსტატია და რამდენიმე წელია, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ცხოვრობს. იგი ხშირად ჩნდება ამა თუ იმ ტურნირზე და საკმაოდ წარმატებითაც ასპარეზობს. დავითის რეიტინგიც საკმაოდ მაღალია - 2504, რაც მას ფავორიტობას ანიჭებს.

პირველ ტურში შენგელიას თეთრებით ესპანელ **მონიკა ვილარ ლოპესთან** (2184) მოუწია თამაში და იოლად გაიმარჯვა; მათნაძის მეტოქეც ესპანელი იყო, მხოლოდ მამაკაცი და თანაც ქართველს შავებით უწევდა თამაში - მიუხედავად ამისა, ანას **პოლ საბრია ბატილეს** (1984) ძლევა არ გასჭირვებია. შეჯიბრება 9 ტურად გაიმართება.

**ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ**



ანა მათნაძე

# თბილისის ალპური კლუბი 70 წლისაა

არის თბილისში ადგილი, ვერის ბაღში, რომელიც უკვე 70 წელია, განსაკუთრებული ხალხის თავშეყრის ადგილია. განსაკუთრებული კი ის არის, რომ გეოგრაფებს, გეოლოგებს, არქიტექტორებს, ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, ჰუმანიტარებს... მწერლებს, პოეტებს, ფოტოხელოვნებს, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებს ერთი საერთო "სენი" - ალპინიზმი აერთიანებთ. ვისაც ეს "სენი" ჯერ არ შეყრია, ალბათ, ყველაზე უიღბლოა, რადგან ერთხელ თუ გაიხედე მთისკენ და მთამაც მიგიშვა, ცხოვრების ბოლომდე ველარ შეეშვები. სწორედ ასეთი ხალხი შეიკრიბა 2006 წლის მიწურულს "ალპურ კლუბში", სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრში იმ ადგილიდან, სადაც ძველი "ალპური კლუბის" ხის კედლები ჯერ კიდევ შემოუნახავს ისტორიას...

*"აქ შეიკრიბა ხალხი, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გუნდთან ერთად, სხვადასხვა მწვერვალზე ადიოდა"*, - ამ სიტყვებით მიესალმა გარემონტებულ კლუბში შეკრებილთ ორგზის ევერესტელი, "ალპური კლუბის" დირექტორი **ბიძინა გუჯაბიძე** და სცენა ვეტერან მთამსვლელებს დაუთმო...

*"თუკი ჩვენში მალე ჩამოყალიბდება ავტორიტეტული ალპინისტური ორგანიზაცია, საქართველოს მთამსვლელები შეძლებენ, გაუსწორდნენ და არასოდეს ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებს. დაგვიანების შემთხვევაში კი ჩვენთვის ადგილი მხოლოდ უკანა რიგებში შეიძლება დარჩეს"* - ასეთი შინაარსის განცხადებები, გასული საუკუნის 30-იან წლებში, არა მხოლოდ საქართველოს ალპინისტურ წრეებში კეთდებოდა. *"ეს დოკუმენტი, რომელიც "ალპური კლუბის" დაარსების თაობაზე გვამცნობს, დღემდე დაცულია ალიოშა ჯაფარიძის პირად არქივში, როგორც მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი, საქართველოში "ალპური კლუბის" დაარსების საკითხთან დაკავშირებით"*, - აღნიშნა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა **ივანე ჯაფარიძემ**, ჯაფარიძეების დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

გასული საუკუნის 30-იან წლებში, ასეთივე მოსაზრება - შექმნილიყო "ალპური კლუბი", სრულიად საქართველოს საზოგადოებაში დაიბადა და მალევე გადაწყდა, სურვილი საქმედ ქცეულიყო. მართლაც, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, 1936 წელს, ჯერ საორგანიზაციო კომიტეტი შექმნეს, შემდეგ კი მოამზადეს მიმართვა (ბიუროს თავმჯდომარე ალ. ჯაფარიძე; მდივანი ივ. მარი; წევრები: ალ. დიდებულიძე, ი. ასლანიშვილი, ა. ბელიაშვილი, დავ. წერეთელი, ავ. ფურცელაძე), რომლითაც საქართველოს მთავრობას "ალპური კლუბის", დამოუკიდებელი, იურიდიული, საკუთარი წესდების მქონე პირის დაარსების მოთხოვნა ჩადეს...

დოკუმენტს ტრადიციული საბჭოურ-ჩინოვნიკური მსვლელობა მიეცა... მისი ერთ-ერთი ავტორი კი პამირში, მორიგ ექსპედიციაში გაემგზავრა. სწორედ იქ მიიღო თბილისიდან ცნობა კლუბის დაარსების ნებართვის შესახებ. ამრიგად, 1936 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით, "საქართველოს ალპური კლუბი" საბჭოთა კავშირში პირველი და ერთადერთი ალპური კლუბი გახდა. გავიდა კიდევ ათიოდე წელი და კლუბს **ალექსანდრე ჯაფარიძის** სახელი დაერქვა...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამ წლების განმავლობაში, ტრადიციულად, სწორედ ვერის ბაღიდან, "ალპური კლუბიდან" გადიოდნენ ყველაზე სერიოზული და წარმატებული ქართული ექსპედიციები. ამ შენობის კედლებს მრავალი საინტერესო ისტორია ახსოვს, ახსოვს სახელოვან მთამსვლელთა დაღუპვით გამოწვეული ტკივილიც... ახსოვს თბილისის ომიც და ქართული მთამსვლელობის ისტორიის ამსახველი, სასწაულებრივად გადარჩენილი სამუზეუმო ექსპონატები. ამჟამად, განახლებული "ალპური კლუბის" კედლებს სახელდახელოდ გამზადებული სტენდები ამშვენებს. მთის მოყვარულ ახალგაზრდათა თავშეყრის ადგილი კი ხელოვნური საცოცი კედელია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ასობით მთამსვლელისა და მეკლდეურის სასპარინგო ადგილია.

გუშინ, "ალპურ კლუბში" მისი დაარსების 70 წლის იუბილე იზეიმეს - მოკრძალებულად, ზედმეტი პომპეზურობისა და აჟიოტაჟის გარეშე... თუმცა, ალბათ, ისევე უბრალოდ და უჩუმრად, როგორც სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებს ჩვევიათ...

**თამარ ჯიშკარიანი**





სერგო კოტრიკაძეს წლეულს 70 წელი შეუსრულდა

# დინამო, დინამო, დინამო!

ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ "დინამოს" კრება გაიმართა. თუმცა ეს არ იყო ტრადიციული, დამღლელი და უინტერესო კრება. როგორც კლუბის თავმჯდომარე **გოჩა ძასოხოვმა** აღნიშნა, ეს კრება კი არა, უფრო სიხარულისა და ტკივილის გასაზიარებელი შეხვდრა გახლდათ.

"დინამოს" ხელმძღვანელებმა სახელოვანი დინამოელები: **მიხეილ ჯოჯუა, ბორის სიჭინავა, გელა კეტაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე** და **თემურ აფხაზავა** საპატიო პრიზებითა და ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს. მათ გარდა, დაჯილდოვდნენ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციაში მონაწილე სამშენებლო კომპანია "თბილისის" გენერალური დირექტორი **თემურ ჩარკვიანი**, სტადიონის თანამშრომელი **ბადრი მაჩიტაძე** და ბიზნესფედერაციის თავმჯდომარე **გიორგი ისაკაძე**, რომელიც სტადიონის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

"დინამოს" ხელმძღვანელობას არც იუბილარები გამორჩა: წელს 70 წელი შეუსრულდათ **სერგო კოტრიკაძეს**, 1 იანვარს კი 50 შეუსრულდება **რამაზ შენგელიას**. წარმატება კლუბის წევრ მოქმედ სპორტსმენებსაც დაუფასეს - **ლუბა გოლოვინას** (მხატვრულ ტანვარჯიშში), **არსენ კასაბიევს** (ძალოსნობა), **გიორგი გოგშელიძესა** (თავისუფალი ჭიდაობა) და **დავით ბედინაძეს** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). მორაგბეთა კლუბ "დინამოს" საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მიულოცეს და საპატიო პრიზები გადასცეს. და კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი: "დინამოს" მესვეურები 10 გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახს მატერიალურად შეეწივნენ.

ძასოხოვის თქმით, ეროვნული სტადიონის მშენებლობა პირველი ნაბიჯია, კინო ახლა გელითო და გეგმები გამოფინა: *"ცხინვალში, დიახ, ცხინვალში და არა რომელიმე მის ახლომდებარე სოფელში, "ნორჩი დინამოელის" სკოლა დაარსდება. გაზაფხულამდე მოედნის მშენებლობა დასრულდება. შემოდგომაზე ქუთაისში "დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია იგეგმება და ღმერთმა ქმნას, აფხაზეთში თუ შევალთ, იქაც "ნორჩი დინამოელის" ფილიალს გავხსნით"*.

დაბოლოს: **ირაკლი მეძმარიაშვილი** სტადიონის გენერალურ დირექტორად დაინიშნა და მთლიანად ამ ობიექტზე გადაერთო. მან თავად ითხოვა "დინამოს" აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობიდან გადადგომა, მის ნაცვლად კი ოლიმპიური ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი** დაინიშნა.

**მერაბ მამულაშვილი**



# ამ დღეს დაიბადნენ...

## 1 იანვარი

**1947 წ.** დაიბადა **კახი ასათიანი** (ფეხბურთი, "დინამო" თბ). სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 1970 წ. მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის სამი ბრინჯაოს მედლის მფლობელი. ნაკრებში ითამაშა 16 მატჩი და გაიტანა 5 გოლი. სამჯერ შედიოდა "33 საუკეთესოთა" შორის.

**1957 წ.** დაიბადა **რამაზ შენგელია** (ფეხბურთი, "დინამო" თბ). სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1978, 1981 წ. სსრკ საუკეთესო ფეხბურთელი, 1978 წ. სსრკ ჩემპიონი, 1979 წ. სსრკ თასის მფლობელი, 1981 წ. ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი და საქართველოს №1 სპორტსმენი. ნაკრებში ნათამაშები აქვს 26 მატჩი, გაიტანა 10 გოლი. 5-ჯერ შედიოდა "33 საუკეთესოთა" შორის.

## 2 იანვარი

**1938 წ.** დაიბადა **ნოდარ ახალკაცი** (ფეხბურთი). სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამომ" მოიპოვა 1978 წ. სსრკ ჩემპიონობა, 1976 და 1979 წ. სსრკ თასი, 1981 წ. ევროპის თასების მფლობელთა თასი.

**1948 წ.** დაიბადა **გივი ნოდია** (ფეხბურთი, "ტორპედო" ქ, "დინამო" თბ). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 1970 წ. მსოფლიოს ჩემპიონატისა და 1972 წ. ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. 1966 წ. ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის. საბჭოთა კავშირის ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორი, 1970 წ. სსრკ თასის ფინალისტი. ნაკრებში ნათამაშები აქვს 21 მატჩი, გაიტანა 5 გოლი. 5-ჯერ შედიოდა "33 საუკეთესოთა" შორის.



# ლელო, ჩვენი სიყვარული!

"ლელოს" პირველი ნომრის გამოსვლა გუშინდელ დღესავით მახსოვს. მაშინ ყველა უსაზღვროდ ბედნიერნი ვიყავით. ჩემი თაობის სპორტსმენები და მკითხველები მუდამ სიყვარულით ვხვდებოდით ერთმანეთს "ლელოს" ფურცლებზე. ასე იწერებოდა ქართული სპორტის ისტორია, იქმნებოდა მატიანე.

გამოვხატავ ჩემი და არა მხოლოდ ჩემი თაობის სპორტსმენთა დიდ აღტაცებას თუ ვიტყვი, რომ ყველამ ძალიან გავიხარეთ გაზეთების "ლელოსა" და "სპორტის" გაერთიანებით, ჩვენი მარადიული სიამაყის "ლელოს" აღორძინებით.

ულრმესი მადლობა ყველას და უპირველესად, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს ორი სპორტული გაზეთის გაერთიანების იდეისა და მისი ხორცშესხმისთვის. ქართული სპორტის საკეთილდღეოდ გადადგმული ეს ნაბიჯი უდავოდ ისტორიულია.

"ლელო" იყო, რჩება და მუდამ დარჩება ისტორიულ გაზეთად. მე ამის ღრმად მწამს.

*მზია ჯუღელი,*
*1952 წლის ოლიმპიური ჩემპიონი*

ფიფას ტრადიციული მილოცვა
გაზეთ ლელოს
2007

GOOD LUCK AND EVERY SUCCESS
NUESTROS MEJORES DESEOS DE ÉXITO Y BIENESTAR
TOUS NOS VŒUX DE BONHEUR ET DE SUCCÈS
VIEL GLÜCK UND ERFOLG

Joseph S. Blatter
President

Urs Linsi
General Secretary

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი




გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ინგლისი. პრემიერლიგა. XXI და XXII ტურების წინ

# ხვალ ფერგის იუბილეა

**დღეს**

ჩარლტონი-ასტონ ვილა
ბლექბერნი-მიდლსბრო
ბოლტონი-პორტსმუთი
ჩელსი-ფულჰემი
ევერტონი-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნაიტედი-რედინგი
ტოტენჰემი-ლივერპული
უოტფორდი-უიგანი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი
შეფილდ იუნაიტედი-არსენალი

**ზეგ**

ლივერპული-ბოლტონი
ფულჰემი-უოტფორდი
მანჩესტერ სიტი-ევერტონი
მიდლსბრო-შეფილდ იუნაიტედი
პორტსმუთი-ტოტენჰემი
რედინგი-ვესტ ჰემი
უიგანი-ბლექბერნი
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნაიტედი

**მაზეგ**

ასტონ ვილა-ჩელსი
არსენალი-ჩარლტონი

..."ფულჰემთან" დერბიში **ჟოზე მოურინიოს** არაერთ პრობლემასთან გამკლავება მართებს. **ჯონ ტერის** არყოფნაში მისი გუნდის დაცვა სუსტად თამაშობს. ფლეიმეიქერი **ჯო კოული** დაშავებულია და შეიძლება, ოპერაცია დასჭირდეს. ტრავმა აქვს **არიენ რობენსაც** და რამდენიმე დღე გაუცდება. **ანდრეი შევჩენკო** ფორმაში ჩადგომას ვერ ახერხებს. მეკარე **ილარიო** ბოლო მატჩებში ნერვულად გამოიყურება. მოურინიოს ერთადერთი იმედი **დიდიე დროგბაა**. ის რომ არა, "არისტოკრატების" სატურნირო მდგომარეობა სავალალო იქნებოდა. "რედინგთან" ბოლო ტურში გატანილი დუბლის შემდეგ კოტდივუარელმა პრემიერლიგაში 12 გოლი დააგროვა. ყველა ტურნირზე მას უკვე 19-ჯერ აქვს გატანილი.

გუშინ ბორდოს კლინიკაში ტერის 30-წუთიანი ოპერაცია გაუკეთეს. ექიმებმა სენსაციური დიაგნოზი დასვეს: "ჩელსის" კაპიტანი თამაშს სულ რაღაც 6-8 დღეში განაახლებს. მას ორი მატჩის გამოტოვებაღა მოუწევს - "ფულჰემთან" დღევანდელის და "ასტონ ვილასთან" სამშაბათის, ხოლო 6 იანვარს, "მაკლსფილდთან" ასოციაციის თასის მესამე რაუნდში, წესითა და რიგით, ძირითადში უნდა იყოს.

იანვრის ტრანსფერებისას მოურინიოს უმთავრესი საზრუნავი მაინც დაცვის გაძლიერება იქნება. მწვრთნელი შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ბოლო სამ თამაშში გუნდმა 6 გოლი გაუშვა. ეს სწორედ ის სამი თამაშია, რომელიც ტერიმ გამოტოვა. უკანა ხაზის გაუმართაობის გამო, "არისტოკრატებს" თითოეული ამ მატჩის მოსაგებად სამი გოლი გაუხდათ გასატანი. ორჯერ ეს მოახერხეს, ერთხელ - ვერა და "მანჩესტერს" ოთხი ქულით ჩამორჩნენ.

"ფულჰემი" უხერხული მეტოქეა. ერთი წლის წინათ "ქრევენ კოტიჯზე" **კრის კოულმენის** შეგირდებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს. "სტემფორდ ბრიჯზე" კი ბოლო წუთამდე 2:2 იყო და ჩემპიონებმა **ერნან კრესპოს** გოლით გაიმარჯვეს...

ხვალ **სერ ალექს ფერგიუსონს** 65 წელი უსრულდება. იმ დროს, როცა მოურინიო გასაჭირშია, ფერგი მშვიდად ელოდება რედინგელთა სტუმრობას. ბოლო ტურში "მენიუმ" "ვიგანს" 3:0 მოუგო და სამ ლიდერს - **კრისტიანო რონალდოს, რაიან გიგზსა და რიო ფერდინანდს** სულის მოთქმის საშუალება მისცა. რონალდომ, რომელმაც სამიდან ორი გოლი შეაგდო (10 გოლი პრემიერლიგაში), მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა.

"რედინგის" თავკაცი მანჩესტერელთა ყოფილი ფეხბურთელით **სტივ კოპელია**. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი 1:1 დასრულდა. ბოლო ტურში "რედინგი" "ჩელსის" მისსავე მოედანზე 2:2 ეთამაშა. "იუნაიტედს" ყურადღების მოდუნება, შეიძლება, ძვირად დაუჯდეს.

მასპინძლებს **მაიკლ ქერიკი** გამოუჯანმრთელდათ. ის დისკვალიფიცირებულ **პოლ სქოულზს** შეცვლის. **რიო ფერდინანდი ნემანია ვიდიჩის** ადგილს დაიკავებს. სერბმა მცველმა ასევე სასჯელი უნდა მოიხადოს. სტუმრებს წამყვანი გარემარბი **ბობი კონვეი** დაუბრუნდათ. შეიძლება, ითამაშოს თავდამსხმელმა **დეივ კიტსონმაც**...

მესამეადგილოსანი "არსენალი" "მენიუს" 14 ქულით ჩამორჩება. "მეთოფეებმა" ბოლო ორ მატჩში 9 გოლი გაიტანეს. მათი დღევანდელ მეტოქე გასავარდნი ზონის სიახლოვეს მყოფი "შეფილდ იუნაიტედია". "არსენალს" **ემანუელ ადებაიორი** არ ეყოლება. მის ადგილს **ჟულიო ბაპტიშტა** დაიკავებს. საეჭვოა მცველების - **იოჰან ჯურუსა** და **ემანუელ ებუს** თამაში. ტრავმების მოშუშება ვერ მოასწრეს **ალექსანდრ გლებმა** და **თეო უოლკოტმა**. სამაგიეროდ, მწყობრში ჩადგა **ლორენი**, რომელიც ძირითადში ითამაშებს.

"ტოტენჰემი" "ლივერპულს" მასპინძლობს. ლონდონელებს **რობი კინი** და **ჟერმენ ჯენასი** ვერ დაეხმარებიან. **აარონ ლენონისა** და **მიდოს** ასპარეზობა საეჭვოა. "ლივერპულს" სერიოზული საკადრო პრობლემები არ აქვს...

"პორტსმუთი" "ბოლტონის" სტუმარია. ბოლტონელთა ძირითადში იქნება ნახევარმცველი **ივან კამპო**. მან სეზონის მუხეთე გაფრთხილება მიიღო, მაგრამ სასჯელის მოსახდელად შვიდი დღე აქვს. ტრავმების გამო მასპინძლებს სამი წამყვანი ფეხბურთელი ვერ დაეხმარება - **სტელიოს იანაკოპულოსი, კუინტონ ფორჩუნი** და **ჯო ობრაიენი**. "პორტსმუთის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** საუკეთესო ბომბარდირ **ნვანკვო კანუს** დაასვენებს...



ხვალ სერ ალექსი 65 წლის გახდება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტ. იუნ. | 20 | 16 | 2 | 2 | 44-11 | 50 |
| 2.ჩელსი | 20 | 14 | 4 | 2 | 35-15 | 46 |
| 3.არსენალი | 20 | 10 | 6 | 4 | 37-18 | 36 |
| 4.ბოლტონი | 20 | 11 | 3 | 6 | 24-16 | 36 |
| 5.პორტსმუთი | 20 | 10 | 5 | 5 | 30-18 | 35 |
| 6.ლივერპული | 20 | 10 | 4 | 6 | 28-16 | 34 |
| 7.ტოტენჰემი | 20 | 9 | 4 | 7 | 25-26 | 31 |
| 8.ევერტონი | 20 | 7 | 7 | 6 | 24-20 | 28 |
| 9.რედინგი | 20 | 8 | 3 | 9 | 22-27 | 27 |
| 10.ასტონ ვილა | 20 | 5 | 10 | 5 | 22-23 | 25 |
| 11.ნიუკასლი | 20 | 7 | 4 | 9 | 21-23 | 25 |
| 12.ფულჰემი | 20 | 6 | 7 | 7 | 20-30 | 25 |
| 13.მანჩესტ. ს. | 20 | 6 | 5 | 9 | 16-24 | 23 |
| 14.უიგანი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-29 | 22 |
| 15.ბლექბერნი | 19 | 6 | 4 | 9 | 19-28 | 22 |
| 16.მიდლსბრო | 20 | 5 | 6 | 9 | 17-24 | 21 |
| 17.შეფილდ იუნ. | 20 | 5 | 5 | 10 | 15-26 | 20 |
| 18.ვესტ ჰემი | 20 | 5 | 3 | 12 | 12-26 | 18 |
| 19.ჩარლტონი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-35 | 13 |
| 20.უოტფორდი | 19 | 1 | 8 | 10 | 12-26 | 11 |

მანჩესტერი vs ჩელსი

# ისე, როგორც 1989-ში?

## 17 წლის წინ ინგლისის ჩემპიონის ვინაობა ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა, წლევანდელი იუნაიტედი ამ კომპონენტშიც გამოკვეთილი ლიდერია...

**სერ ალექს ფერგიუსონმა** და **ჟოზე მოურინიომ** სიტყვიერი ომი განაახლეს. 20 ტურის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედი" "ჩელსის" ოთხი ქულით უსწრებს, მაგრამ კიდევ უფრო შთამბეჭდავია სხვაობა ორი გრანდის ბურთების ბალანსში. მიმომხილველთა აზრით, საჩემპიონო მარათონი იმდენად დაძაბული იქნება, რომ ყველაფერი შეიძლება გატანილმა და გაშვებულმა გოლებმა გადაწყვიტოს. "იუნაიტედის" ბალანსია 44-11, "ჩელსისა" - 35-15. მანჩესტერელთა უპირატესობა თვალშისაცემია - +13.

ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში გოლების სხვაობით ჩემპიონი მხოლოდ ერთხელ, 1989 წელს გამოვლინდა - "არსენალმა" "ენფილდის" დრამატულ მატჩში "ლივერპულს" მოუგო, ამ გუნდებმა 76-76 ქულა დააგროვეს, მაგრამ ექვსით მეტი გოლის წყალობით, პირველი ადგილი "მეთოფეებს" ერგოთ. ფერგიუსონი: *"ბურთების უკეთეს ბალანსს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. პლუს 10 ან 12 გოლი სერიოზულ უპირატესობას გვაძლევს, მაგრამ იმედია, სეზონის ბოლოს გოლების თვლა არ დაგვჭირდება."*

"ჩელსის" 20 ტურში 15 გოლი გაუტანეს. შედარებისთვის, მთელ შარშანდელ სეზონში მას მხოლოდ შვიდი გოლით მეტი ჰქონდა გაშვებული. მოურინიო მოვლენების დრამატიზებას ზედმეტად მიიჩნევს. ჯერჯერობით, ის შეშფოთების საფუძველს ვერ ხედავს: *"სხვაობა ოთხი ქულაა, აქედან სამი ქულის ბედი "იუნაიტედთან" საშინაო მატჩში გადაწყდება... ჩვენი პრობლემების უარყოფა შეუძლებელია. ჩემთვის თავის ტკივილი მაშინ იწყება, როცა ერთზე მეტი ფეხბურთელი მიშავდება. თუ ერთი მოთამაშე იმტვრევა, არა გვიშავს. მაგალითად, თუ არ გვყავს ჯო კოული, მის ნაცვლად არიენ რობენი ითამაშებს, მაგრამ თუ ერთ პოზიციაზე ორი და სამი მოთამაშე შავდება, ცხოვრება მომენტალურად გვირთულდება. ამ წუთში ძალიან ბევრ გოლს ვუშვებთ, მაგრამ ვთამაშობთ ისე, როგორც შეგვიძლია. სამწუხაროდ, არ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც "ჩელსის" თამაშს გააუმჯობესებდნენ, მაგრამ დრამას მაინც ვერ ვხედავ. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვართ, იანვარში ასოციაციის თასისთვის ბრძოლას ვიწყებთ, ხოლო პრემიერლიგაში, სეზონის დასრულებამდე 18 ტურით ადრე, ლიდერს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით. და რაც მთავარია, როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნე, "მანჩესტერ იუნაიტედი" "სტემფორდ ბრიჯზე" უნდა გვეწვიოს. ჩემი აზრით, მდგომარეობა სავსებით ნორმალურია..."*



პატარა ჩელსელი გულშემატკივარი და სტივ ჯერარდი

2006 წლის საფეხბურთო კურიოზები

# ჯერარდი და ჩელსის პატარა ფანი

**2006 წლის უმთავრესი საფეხბურთო მოვლენა, რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. მუნდიალის ფოტოებმა აბსოლუტურად ყველა გამოცემა მოიარეს და თანაც არაერთხელ. მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ისიც, რაც მუნდიალამდე ან მუნდიალის შემდეგ ხდებოდა. "ფრანკფურერ ალგემაინე ცაითუნგმა" 2006 წლის ყველაზე კურიოზული ინფორმაციები შეაგროვა და საახალწლოდ შემოინახა. აი, ისიც:**

### სტემფორდ ბრიჯის გვირაბში...

17 სექტემბერს, ლონდონში, "ჩელსისა" და "ლივერპულის" მატჩის დაწყებამდე, გვირაბში, საიდანაც ფეხბურთელები ბავშვებთან ერთად მოედანზე გადიან ხოლმე, ასეთი რამ მოხდა: "ჩელსის" ფორმაში გამოწყობილმა ბავშვმა ლივერპულელ **სტივენ ჯერარდს** ხელი გაუწოდა. სტივმა პატარას, რა თქმა უნდა, უარი არ უთხრა და საპასუხოდაც გაუწოდა ხელი. ამ დროს კი ბავშვმა ხელი სახესთან მიიტანა და "ლივერპულის" ვარსკვლავს ყველასთვის ცნობილი ჟესტით დაეჯღანა. სტივს ისღა დარჩენოდა, რომ გაწვდილი ხელი პატარისთვის სახეზე მოეთათუნებინა და ხუმრობა ხუმრობად მიეღო. თამაში მასპინძელმა "არისტოკრატებმა" 1:0 მოიგეს...

### თერთმეტმეტრიანი ათი მეტრიდან

"ვანკდორფ-შტადიონის" ადგილზე, რომელზეც 1954 წელს ე.წ. "ბერნის საოცრება" მოხდა, დღეს თანამედროვე და მოდერნიზებული სტადიონია, რომელსაც "სტად დე სუისი" ეწოდება. ახალი არენის ოფიციალური გახსნის შემდეგ, "იანგ ბოიზის" ფეხბურთელები ახალ, ხელოვნურ მინდორზე რამდენიმე კვირის მანძილზე ვარჯიშობდნენ. მერე კი, პირველი ოფიციალური მატჩის ("სიონთან") დაწყების წინ, მსაჯმა შენიშნა, რომ თერთმეტმეტრიანის ნიშნულები კარის ხაზიდან უჩვეულოდ ახლოს იყო. არბიტრმა მაშინვე გადათვალა მანძილი და ასეთი შედეგი მიიღო: 10 მეტრი! თუკი შვეიცარიელები ყველა სტადიონს ასე აშენებენ, სულაც არ არის გასაკვირი, შვეიცარიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვეფინალში პენალტები ასე ცუდად რომ შეასრულა...

### მშენებლები ტოტალიზატორში

ლეგენდარული "უემბლის" მშენებლობა საკმაოზე მეტად გაჭიანურდა. არცაა გასაკვირი, რადგან მშენებლებს თურმე ერთი შესანიშნავი იდეა მოუვიდათ. ხომ იცით, ბრიტანულ ტოტალიზატორებში ფსონის ჩასვლა თითქმის ყველაფერზე მოსულა. ჰოდა, მივიდნენ მუშები საბუკმეკერო კანტორაში და იკითხეს: შეიძლება, თუ არა, ფსონი დავდოთ იმაზე, რომ "უემბლის" მშენებლობის დასრულება ასოციაციის თასის ფინალამდე ვერ მოესწრება? ტოტალიზატორის შეფებმა თანხმობა განაცხადეს და სტადიონზე მომუშავე მშენებლების პოტენციალიც უფრო მეტად დაეცა. ბუკმეკერები მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, როცა ფსონის საერთო რაოდენობამ 15 ათას ევროს გადააჭარბა...

### ტევესი ბრაზილიის ფორმაში

"ვესტ ჰემის" არგენტინელი თავდამსხმელი **კარლოს ტევესი** ძალიან გაბრაზდა იმის გამო, რომ "შეფილდთან" მატჩის დროს ადრე შეცვალეს. მან სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა არ ისურვა და სტადიონი მაშინვე დატოვა. მისი ეს საქციელი თანაგუნდელებს არ მოეწონათ და არგენტინელი ფეხბურთელი მკაცრად დასაჯეს: ტევესი იძულებული გახდა, ვარჯიშებზე ორი კვირის განმავლობაში ბრაზილიის ნაკრების მაისურით ევლო. როცა ამ სასჯელზე ფიქრობდნენ, "ვესტ ჰემის" ფეხბურთელებმა ალბათ ისიც გაითვალისწინეს, რომ "კორინთიანსში" თამაშის დროს, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, ტევესი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდა.

### უჩვეულო ტრანსფერი

ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ერთი საათით ადრე, "ბლექბერნის" ხელმძღვანელები "კრისტალ პალასის" ბოსებს თავდამსხმელ **შეფკი კუკის** არენდაზე შეუთანხმდნენ და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე წუთით ადრე, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში ფაქსიც აფრინეს, რომელიც ფეხბურთელის ტრანსფერს ადასტურებდა. "ბლექბერნის" შეფები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ფაქსი დროულად და რაც მთავარია, ზუსტად იქ გააგზავნეს, სადაც საჭირო იყო. სინამდვილეში, სატრანსფერო ფურცელი თევზისა და შემწვარი კარტოფილის სასადილოში მივიდა. როგორც გაირკვა, ფაქსის გამგზავნელმა ასოციაციის ნომერი არასწორად აკრიფა. კუკის ტრანსფერი მაინც შედგა, რადგან სასადილოში მისულ ფაქსზე მიღების დრო იყო მითითებული და სადაოც არაფერი გახლდათ...

### წითელი ბარათი სევილიელ აუტის ბიჭებს

პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში, "სევილია" "ატლეტიკოს" მასპინძლობდა და 1:0-ს უგებდა. ცხადია, ბურთის მიმწოდებელი ბავშვები აუტების დროს ოდნავადაც არ ჩქარობდნენ, მათი გუნდი ხომ იგებდა. მადრიდელი ფეხბურთელები პროტესტს გამოთქვამდნენ და როცა მორიგი აუტის დროს, ბავშვმა "ატლეტიკოს" მოთამაშეს ბურთი დროულად არ მიაწოდა, მსაჯს მოთმინების ფიალა აევსო და აბსოლუტურად ყველა "აუტჩიკს" წითელი ბარათი უჩვენა. 10-12 წლის პატარებმა მოედანი ტირილით დატოვეს, მაგრამ ისინი არავის დაუსჯია, რადგან კანონებში ასეთი შემთხვევა გათვალისწინებული არ ყოფილა...

### ახალი წესი: სამი სიმულაციის შემდეგ გაძევება!

ინგლისის მეოთხე დივიზიონის კლუბ "ტორკის" ახალ პრეზიდენტს, **კრის რობერტსს** საინტერესო იდეა მოუვიდა, რომელიც მაშინვე განახორციელა. *"თუკი, ჩემი გუნდის რომელიმე ფეხბურთელი ისიმულანტებს, მაშინვე დავაჯარიმებთ!"* - თქვა რობერტსმა და ამ აქციას ასე უწოდა: *"ჩემი გუნდი არ ცრუობს, შენი?"* წესი ასეთი გახლდათ: თუკი რომელიმე მოთამაშე ისიმულანტებდა, საყვედურს მიიღებდა. განმეორების შემთხვევაში ფულად ჯარიმას დააკისრებდნენ, ხოლო თუ მესამედაც გაბედავდა სიმულანტობას, გუნდიდან გააგდებდნენ. რა თქმა უნდა, ჭორი და მტკნარი სიცრუეა ის, რომ "ტორკის" პრეზიდენტი **ფრანჩესკო ტოტის** გადაბირებას აპირებს...

### მომეცით 11, 33 მასუქებს!

როცა **გარი რობერტსი** "იფსვიჩში" გადავიდა, გუნდში საუკეთესო ნომრები დაკავებული იყო და მას მხოლოდ 33-ე ნომერი ერგო. წესით, ეს მისთვის პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა მოთამაშეები თვითონვე ირჩევენ დიდ ნომრებს, მაგალითად 99-ს ან 69-ს. მაგრამ რობერტსი მენეჯერთან მივიდა და თხოვნით მიმართა, სხვა ნომერი მომეცით, 33-ნომრიანი მაისურა მასუქებსო. მენეჯერმა, ცხადია, გადაიხარხარა და რობერტსს სხვანომრიანი მაისურით თამაში უკვე განგებ აუკრძალა...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ მარჩელო ლიპისთან

# ფეხბურთი ჩემთვის მაგიაა!

## გულახდილი საუბარი 2006 წლის ერთ-ერთ მთავარ გმირთან

2006 წელი მსოფლიოს ჩემპიონატის, უდიდესი საფეხბურთო ზეიმის წელიწადი იყო, საფეხბურთო ზეიმისა, რომელიც იტალიამ მოიგო. როცა "აძურის" გენიალურ წარმატებაზე საუბრობენ, გმირებად მეტწილად სხვადასხვა ფეხბურთელებს რაცხავენ ხოლმე. ფაბიო კანავარო, რომელიც წლის ფეხბურთელი გახდა, ჯიჯი ბუფონი, რომელიც ბევრის აზრით, კანავაროზე მეტად იმსახურებდა პირველობას, ან ანდრეა პირლო, რომელიც იტალიის ნაკრების ხერხემალს წარმოადგენდა. არ ავიწყდებათ მარკო მატერაცის, ფეხბურთელი, რომელიც მუნდიალამდე არაფერს წარმოადგენდა და რომელიც ასევე გმირი გახდა, თუნდაც ფინალში გატანილი გოლითა და პენალტით, ან ზიდანის გინებით. მაგრამ ძალიან ხშირ შემთხვევებში, ყველას ავიწყდება ერთი კაცი, კაცი, რომლის გარეშეც "აძური" ალბათ ვერაფერს მიაღწევდა. ეს არის მარჩელო ლიპი, მწვრთნელი, რომელმაც ასევე მთავარი (თუ უმთავრესი არა) როლი ითამაშა იმაში, რომ იტალიის ნაკრების ლოგოზე ახლა სამის ნაცვლად, ოთხი ვარსკვლავია გამოსახული...



2006 წლის უმთავრესი ტრიუმფი: მარჩელო ლიპი მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს თასით

**- ლიპი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მოგების შემდეგ, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა თავის ფეხბურთელებს უთხრა, ამიერიდან შეგიძლიათ, შენობით მელაპარაკოთო. 9 ივლისს, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ თქვენც იგივე ხომ არ გააკეთეთ?**

- არა, რადგან ეს არც იყო საჭირო. ფეხბურთელები ისედაც შენობით მომმართავდნენ. თუმცა მხოლოდ მაშინ, როცა მარტონი ვიყავით. სხვების თანდასწრებით კი ყოველთვის თქვენობით მელაპარაკებოდნენ. ეს არავის მოფიქრებაა, თავისთავად მოხდა. თითოეულ ფეხბურთელთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. დღესაც არ მჯერა, რომ ჩვენს გუნდში ასეთი მეგობრული ატმოსფერო იყო. ყველანი ერთ მუშტად ვიყავით შეკრული. ყველაზე მეტად ის მიხაროდა, რომ იმ უდიდესი სკანდალის მიუხედავად, მაგალითად, "მილანისა" და "იუვენტუსის" ფეხბურთელები ერთმანეთს უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ. "ლაციოს" კაპიტანი მასიმო ოდო და "რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, ყველასთვის მოულოდნელად, მეგობრები გახდნენ. ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როცა ყველას ერთმანეთი უყვარდა.

**- მსოფლიოს ჩემპიონი გახდით, მაგრამ მუნდიალის შემდეგ მაინც დატოვეთ პოსტი. რატომ?**

- ეს ისეთი კითხვაა, რომლის პასუხზეც საკმაოდ დიდხანს უნდა ვიფიქრო. შეიძლება, რამდენიმე წუთი მომცეთ?

**- დიახ, რა თქმა უნდა.**

- ...ფეხბურთი ჩემთვის მაგიაა. ეს არის რაღაც შესანიშნავი, რაღაც ღვთაებრივი - აბსოლუტურად ყველა ასპექტში და ნებისმიერი გაგებით. მე მიყვარს სპორტის ეს სახეობა, მიყვარს ჩემი სამსახური. ფეხბურთს მთელი არსებით ვგრძნობ. სამწვრთნელო კარიერა 1992 წელს, ბერგამოში დავიწყე და მას მერე ყოველთვის ტოპ-გუნდებში ვმუშაობდი და უდიდესი მიზნები მქონდა. გნებავთ, სერია A აიღეთ და გნებავთ იტალიის ნაკრები - მიზანი ყოველთვის ერთი იყო: პირველობა. 9 ივლისს მივხვდი, რომ ეს ზენიტი იყო. უმაღლეს მწვერვალზე ასვლის შემდეგ კი, ყველას პაუზა სჭირდება. ეს უბრალოდ აუცილებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ "აძურიში" ნომერ პირველ მიზანს მივაღწიე და მუნდიალი მოვიგე.

**- იტალია მსოფლიოს ჩემპიონი რომ არ გამხდარიყო, მაინც გადადგებოდით?**

- რა თქმა უნდა. ტურნირის დაწყებამდე, როცა კოვერჩანოში ვემზადებოდით, საფეხბურთო კავშირს ვაცნობე, რომ მუნდიალის შემდეგ ახალი მწვრთნელის ძებნა მოუწევდათ. მაშინ ვთქვი, მნიშვნელობა არა აქვს, რას მივაღწევთ, მუნდიალის შემდეგ ახალი მწვრთნელის ძებნა მოგიწევთ-მეთქი.

**- კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება თქვენი პაუზა. ამბობენ, ლიპი "მილანის" თავკაცად ინიშნებაო...**

- ჰო, რა თქმა უნდა... ჯერ იყო და, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელად დამასახელეს, მერე აღმოვაჩინე, რომ "ნაპოლის" თავკაცი ვიყავი, ახლა კი "მილანიო". მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოლაპარაკებები არავისთან მიწარმოებია. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ჩემთვის არც არავის დაურეკავს. სიმშვიდე მჭირდება.

**- მაინც, როდემდე იქნებით უმუშევარი?**

- მარჩელო ლიპი არასდროს შეასრულებს მეხანძრის როლს! მთელი სისწრაფით გაქანებულ მატარებელს არასდროს შევახტები. ახალ გუნდსა და ახალ სამსახურზე ფიქრს აპრილსა ან მაისში დავიწყებ. ეს ზედგამოჭრილი დრო იქნება იმისთვის, რომ სამსახური მოვნახო. მთავარი ის არის, რომ სადაც მივალ, წარმატების გარანტია უნდა მომცენ. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ქვეყნიდან იქნება ჩემი ახალი გუნდი - იქნება ეს "ბარსელონა", "მანჩესტერი", "მილანი" თუ "ბაიერნი" - ნებისმიერის წინადადებას მოვისმენ. ოღონდ ერთ რამეს გთხოვთ, ახლა სპეკულაციებს ნუ გააჩაღებთ, გუნდების სახელები მხოლოდ მაგალითისთვის დავასახელე.

**- გპირდებით, რომ ასეთ რამეს არ გავაკეთებთ...**

- (იცინის) ოჰ, კარგით ერთი. კარგად გიცნობთ, ყველა ჟურნალისტი ერთნაირია...

**- მუნდიალის შემდეგ გერმანიის რომელიმე სტადიონზე თუ იყავით?**

- არცერთხელ არ ვყოფილვარ. თამაშებს მხოლოდ ტელევიზორში ვუყურებ ხოლმე. სტადიონზე რომ მივიდე, მშვიდად ჯდომის საშუალებას არავინ მომცემს და იმიტომ. ესეც არ იყოს, მაგალითად მიუნხენის "ალიანს არენაზე" რომ მივიდე და "ბაიერნის" თამაშს დავესწრო, მერე დაწერენ, ლიპი "ბაიერნში" ინიშნებაო. თუ ღმერთი გწამთ, მირჩევნია ტელევიზორს მივუჯდე...

**- გამოდის, რომ ახლა ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გაქვთ...**

- (იცინის) თავისუფალი დრო? დამცინით? (ჯიბიდან კალენდარს იღებს) ერთი, ამას დახედეთ, ნახეთ, ეს თქვენთან შეხვედრაა. ახლა შუადღის 4 საათია, ხომ? დააკვირდით, კიდევ რამდენ ვინმეს უნდა შევხვდე 9 საათამდე. წვეულებები, ბანკეტები, შეხვედრები, ლექციები, სემინარები - უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ახლა უფრო დაკავებული ვარ, ვიდრე მაშინ, იტალიის ნაკრების მწვრთნელი რომ ვიყავი.

**- ვთქვათ, რომელიმე კლუბში დაინიშნეთ. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდიდან რომელ ფეხბურთელებს წაიყვანდით?**

- პირველ რიგში, ჯანლუიჯი ბუფონს, და ფაბიო კანავაროს. ამ ორ ფეხბურთელს ნებისმიერ გუნდში გადავიყვანდი. კიდევ რამდენიმე საინტერესო და ჩემთვის სასურველი ფეხბურთელია და არა მხოლოდ იტალიელები, უცხოელებიც.

**- მაგალითად, გერმანელები?**

- ცხადია. გერმანიის ნაკრებიდან, პირველ რიგში, მიროსლავ კლოზეს ყიდვას მოვითხოვდი. და კიდევ იმის... რა ჰქვია... შტაინშპერსკი...

**- ვიიინ?**

- ჰო, აი, იმას, შტაინშპერსკის, თუ შტაინშტაიგერს, პორტუგალიას ორი გენიალური გოლი რომ გაუტანა...

**- შვაინშტაიგერს გულისხმობთ?**

- დიახ, დიახ... ისეთი გვარი აქვს, რომ ენას მოიტეხავ. ჰო, კიდევ ვის წავიყვანდი ბუნდესგუნდიდან? ტორსტენ ფრინგსს, რომელმაც ნახევარფინალში ჩვენს წინააღმდეგ ვერ ითამაშა. აქვე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ფრინგსის დასჯა ჩვენ არ მოგვითხოვია. თუ დამიჯერებთ, იტალიის ნაკრებში ამაზე არც არავინ ფიქრობდა. ეს ფიფამ გადაწყვიტა.

**- მსოფლიოს ჩემპიონატის წინ თქვით, იურგენ კლინსმანს წარმატებას ვუწინასწარმეტყველებო. რატომ?**

- მუნდიალის დაწყებამდე იურგენს ძალიან მაგრად აკრიტიკებდნენ, რაც ძალიან არ მომწონდა. ვფიქრობდი, თუ მწვრთნელად დანიშნეს და გერმანიის ნაკრები ასეთ მნიშვნელოვად დროს ანდეს, მაშინ სრული თავისუფლებაც უნდა მიანიჭონ-მეთქი. აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ აშშ-ში ცხოვრობდა და გერმანიაში იშვიათად ჩადიოდა. მაგრამ ის მაინც არ დანებდა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. ხომ ნახეთ, ბოლოს მთელმა გერმანიამ დაუჩოქა და თანამდებობაზე დარჩენა სთხოვა. ქედს ვიხრი კლინსმანის წინაშე - მან დიდი ნებისყოფა გამოავლინა. იცით, რა მიკვირს ყველაზე მეტად?

**- რა?**

- ის, რომ გერმანიას ხშირად ჰყავდა ისეთი ნაკრები, რომელსაც ერთი შეხედვით ბევრი არაფერი შეეძლო, მაგრამ მაინც აღწევდა წარმატებებს. გაიხსენეთ თუნდაც ფიოლერის ბუნდესგუნდი, ან ბეკენბაუერის პირველი კოლექტივი. იტალიაში ასეთი რამ არასდროს მოხდება, არასდროს! ჩვენ, იტალიელებს ისეთი მენტალიტეტი გვაქვს, რომ გუნდი საუკეთესოზე ორჯერ ძლიერი უნდა იყოს, რამე რომ მოიგოს. ის, რაც გერმანიაზე ვთქვი, მწვრთნელსა ან ფეხბურთელების შესაძლებლობებზე დამოკიდებული არ არის. გერმანია ყველა დიდ ტურნირზე ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს ხოლმე. თითქოს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები ბრძოლისუნარიანობას მემკვიდრეობით იღებენ. სამაგიეროდ, ალემანებს საკლუბო ფეხბურთში უჭირთ. ალბათ იმიტომ, რომ საკლუბო ფეხბურთში მწვრთნელის როლი გაცილებით დიდია...

**- ამ განცხადების უფრო დეტალურად ახსნა მოგიწევთ...**

- ამის ახსნა ძალიან იოლია: მაგალითად, იტალიელი მწვრთნელები ტაქტიკურად და თამაშის ორგანიზების თვალსაზრისით გაცილებით განსწავლულები არიან. დამიჯერეთ, სერია C-ს რომელიმე გუნდის მწვრთნელიც კი, შესაძლოა, სხვა რომელიმე ქვეყნის უმაღლესი ლიგის გუნდის მწვრთნელზე უკეთესად იყოს მომზადებული. ალბათ იმიტომ, რომ იტალიის სპორტულ სკოლებში სწავლება უფრო ინტენსიური და დეტალურია. იტალიელ მწვრთნელებს გერმანელ ვიზავებთან შედარებით ყოველთვის ჰქონდათ ტაქტიკური უპირატესობა. სხვათა შორის, ამასვე ამბობენ თვითონ გერმანელი სპეციალისტებიც.

**- ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჯოვანი ტრაპატონიმ "შტუტგარტში" სრული ფიასკო განიცადა...**

- სდექ! თქვენ ფიასკოში რას გულისხმობთ? ტრაპატონი ნამდვილი სასწაულია, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, რომელმაც თითქმის ყველა ტიტულის მოგება მოახერხა. მოდით, ერთ იტალიურ ანეკდოტს მოგიყვებით, ანეკდოტს, რომელიც ჩვენთან ძალიან პოპულარულია. სპარტაკის შესახებ ხომ გსმენიათ?

**- გლადიატორი, რომელიც ანტიკურ რომში მონების აჯანყებას გადაჰყვა?**

- სწორია. მოკლედ: სპარტაკი გლადიატორების არენაზეა, ტრიბუნები ათასობით მაყურებლითაა გადაჭედილი. სპარტაკი იმპერატორს ეუბნება: "შემიძლია, 2500 ქალი დავაკმაყოფილო!" 2000 უპრობლემოდ დააკმაყოფილა - ტრიბუნები ტაშს უკრავენ, ცერა თითი ყველას ზევით აქვს აღმართული. სპარტაკი საქმეს აგრძელებს. 2490-ე, 2497-ე, 2498-ე და მეტი, უბრალოდ, აღარ შეუძლია. აღარ შეუძლია და მორჩა. იმპერატორი კი წამოდგება და ყვირის: "პედერასტო!" ჰო, თქვენ იცინით, მაგრამ ტრაპსაც იგივე დაემართა. მხოლოდ იმიტომ, რომ "შტუტგარტში" ვერაფერი გააწყო, გერმანელები მაშინვე აყვირდნენ, ფიასკო განიცადა, ცუდი მწვრთნელიაო. რა სისულელეა! შეგიძლიათ, თამამად დაწეროთ, რასაც ვამბობ. ეს სისულელეა!

**- მართალია, რომ თქვენი მეტსახელი ფრანცია?**

- დიახ, ადრე თანაგუნდელები ფრანცს მეძახდნენ, რადგან ლიბერო ვიყავი და შეტევებში წასვლაც ძალიან მიყვარდა. ზანტი გახლდით, მაგრამ ტექნიკური - ზუსტად ისე, როგორც დიდი ბეკენბაუერი. მთავარი განსხვავება კი ის იყო, რომ ჩემს გუნდს "სამპდორია" ერქვა და ჩემპიონობისთვის არასდროს გვიბრძოლია. ჩვენი მიზანი ყოველთვის ელიტაში ადგილის შენარჩუნება იყო. გულახდილად ვამბობ, ამ მეტსახელით ძალიან ვამაყობდი.

**- დაბოლოს: თქვენი მშობლიური ქალაქი, ვიარეჯო კარნავალითაა განთქმული. მომავალი კარნავალის მთავარი თემა კი თქვენ იქნებით...**

- დიახ და ამით ძალიან ვამაყობ. მომავალ კარნავალზე ვიარეჯოს ქუჩებში ორი დიდი მანქანა ივლის. საერთოდ, ვიარეჯოს კარნავალის მთავარი თემა ყოველთვის პოლიტიკაა ხოლმე და ძალიან მიხარია, რომ ამჯერად ფეხბურთი იქნება. მოდელები უკვე ვნახე: ერთ მანქანაზე რომის იმპერატორი ვარ და ჩემს ხელებს იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ეკიდებიან. მეორე მანქანა კი კალჩოპოლის ინსპირირებას ახდენს. იქ სკანდალის ყველა მონაწილეა გამოსახული. თუმცა მთავარი სიმბოლო იქაც ის სცენაა, რომელშიც ჩვენ მსოფლიო თასი გვაქვს აღმართული. სკანდალის მონაწილენი ქვემოთ არიან გამოსახულები, ზემოთ კი ჩვენ, გამარჯვებული გუნდი. ეს იმის სიმბოლოა, რომ უდიდესი სკანდალის მიუხედავად, ჩვენ მაინც მოვახერხეთ მსოფლიოს ჩემპიონობა. მოკლედ, დაუჯერებელი, ენით აუწერელი წელი მქონდა!

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ როზინიოსთან

# მინდა, გავხდე 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

## ის სიღარიბეში იზრდებოდა, მაგრამ მაინც უბედნიერესი ბავშვობა ჰქონდა, რეალში გადასვლის შემდეგ კი მილიონერიც გახდა



რობინიო ახალ წელს გვილოცავს

**როზინიო მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის სტატუსით მეორე ახალ წელს ხვდება. გასული სეზონი მისთვის ერთობ უილბლო და წარუმატებელი აღმოჩნდა. ბრაზილიელ ფორვარდს პრობლემები ახლაც არ აკლია, მაგრამ მას სჯერა, რომ 2007 წელს სამეფო კლუბთან ერთად პირველ დიდ ტიტულს მოიპოვებს.**

**- 2006 წლის ბოლო ორი მატჩით კმაყოფილი ხართ? რა თქმა უნდა, "ესპანიოლთან" და "რეკრეატივოსთან" შეხვედრებს ვგულისხმობ.**

- "რეკრეატივოსთან" მატჩით ვერავინ იქნება კმაყოფილი. "ესპანიოლთან" კი მეტ-ნაკლებად კარგად ვითამაშეთ და სამი ქულა შევიძინეთ. მიუხედავად იმისა, რომ იმ შეხვედრაში კანავარო გაგვიგდეს, მაინც კმაყოფილი დავრჩით. სამწუხაროდ, მომდევნო ტურში დიდი იმედგაცრუება განვიცადეთ. მართლაც, მტკივნეული მარცხი ვიწვნიეთ. ეს ალბათ, უსიამოვნო სიურპრიზად უნდა მივიჩნიოთ.

**- თქვენი სიტყვები მეტისმეტად ოპტიმისტურად ჟღერს...**

- აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ სეზონში შარშანდელივით ტიტულის გარეშე არ დავრჩებით. "რეკრეატივოსთან" მარცხმა ჩვენს გულშემატკივრებს პირში ცუდი გემო დაუტოვა. ახლა უკვე ყველა ხვდება, რომ კიდევ ერთ ფიასკოს ალარავინ გვაპატიებს. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ "რეალი" ცოცხალია და დიდი გამარჯვებების მოპოვების უნარი შესწევს. იმედია, საშობაო პაუზა კარგად წაგვადგება. ცოტას დავისვენებთ და მომავალი წლიდან გაორმაგებული ენერგიით ვიბრძოლებთ.

**- სახლში კარგად თამაში უფრო გიჭირთ. როგორ ახსნით ამ გარემოებას?**

- იმ მარტივი მიზეზის გამო გვიჭირს, რომ ჩვენი სტუმრები ფაქტობრივად, ათი კაცით იცავენ თავს და საკუთარ საჯარიმოში იკეტებიან. მერწმუნეთ, ძალიან ძნელია კარს გასალები მოუნახო მაშინ, როცა მოწინაალმდეგის საჯარიმოში ერთბაშად ათი მოთამაშე და ერთი მეკარეა შეკეტილი. არ მინდა იფიქროთ, რომ თავს ვიმართლებ. წარუმატებლობაში ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ვართ დამნაშავეები. კაპელო ყოველთვის გვეუბნება, რომ დაცვიდან შეტევაში თვალის დახამხამებაში უნდა გადავდიოდეთ და ამისთვის დიდ დროს არ ვხარჯავდეთ. სამწუხაროდ, მწვრთნელის მითითებას ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტად ვერ ვასრულებთ. სენიორ ფაბიო გვარწმუნებს, რომ კომბინაციების გათამაშებისას ცოტა გადაცემა უნდა გავაკეთოთ, თუმცა თითოეული პასი სახიფათო უნდა იყოს.

**- 2007 წლისგან რას ელით?**

- დიდი იმედი მაქვს, რომ ახალ წელს ტიტულებს დავესაკუთრებით. მეტის მოთმენა ალარ შემიძლია. ახლობლები ხშირად მეუბნებიან, ნუ ხარ ასეთი გადარეული. ჯერაც ახალგაზრდა ხარ და კარიერის განმავლობაში უამრავ ჯილდოს დაეუფლებიო. მათ არ იციან, რომ ჩვენ ბევრ დროს არავინ მოგვცემს. თუ კიდევ ერთხელ შევირცხვენთ თავს და სეზონს ჩავაგდებთ, ყველას წიხლს ამოგვარტყამენ და "რეალიდან" გაგვყრიან. მე კი ასეთი რამ არანაირად არ გამახარებს. როცა სამეფო კლუბში გადმოვდიოდი, ბედნიერებისგან ადგილს ვერ ვპოულობდი, რადგან ვაცნობიერებდი, რომ კონტრაქტს პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი და უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდი მიფორმებდა. ეს ყველაფერი მართლაც შესანიშნავია, მაგრამ მე ნეკროფილი არ გახლავართ. მადრიდში მხოლოდ წარსული დღეებით ტკბობისთვის არ ჩამოვსულვარ. პირველ რიგში თავად მსურს ისტორიის შექმნა. ასე რომ, 2007 წელს პრიმერა დივიზიონში, ან ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას ველი. თუ ორივე ფრონტზე ვიყოჩაღებთ, ორმაგად ბედნიერი ვიქნები (იცინის).

**- მაგრამ საამისოდ "ბარსელონის" უკან ჩამოტოვება დაგჭირდებათ...**

- ცოტა ხნის წინათ იაპონიაში განვითარებულმა მოვლენებმა ყველა გააკვირვა. როცა ზედმეტად ხარ დარწმუნებული და ეჭვიც არ გაქვს, რომ მოწინაალმდეგემ შეიძლება, სიურპრიზი შემოგთავაზოს, აუცილებლად დაისჯები. 10 კაცისთვის რომ გეკითხათ, თუ ვინ გაიმარჯვებდა საკლუბო მუნდიალზე, ათივე გიპასუხებდათ, "ბარსელონაო"... მე მხოლოდ ის მსურს, "რეალმა" საზოგადოებას სიურპრიზი შესთავაზოს.

**- პირადად თქვენთვის, რას ისურვებდით საახალწლოდ?**

- კარგით, არ მოგატყუებთ. ძალიან ბედნიერი დავრჩები, თუ...

**- ნუ გრცხვენიათ, თქვით ბოლომდე!**

- მსურს, 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე.

**- ესპანეთში უკვე მეორე წელია ცხოვრობთ. ყველაზე მეტად ბრაზილიაში რა გენატრებათ?**

- კლიმატი. ბრაზილიელები სიცხეს ვართ მიჩვეულები. დროის უდიდეს ნაწილს გარეთ, სუფთა ჰაერზე ვატარებთ. აქ კი ზამთარში ქუჩაში დიდ ხანს ვერ გაჩერდები, რადგან ძვლებიც კი გაგეყინება. დანარჩენს ვერაფერს დავიწუნებ. მადრიდი ფანტასტიკური ქალაქია. ძალიან მშვიდი და სასიამოვნო. უკვე ორი წელია აქ ვცხოვრობ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არჩევანის გაკეთებისას შეცდომა არ დამიშვია.

**- ისიც სათქმელია, რომ ბრაზილიელები ესპანელებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. თქვენ უფრო კომუნიკაბელურები ხართ და ერთმანეთთან ახლო ურთიერთობები გაქვთ.**

- სიმართლე გითხრათ, ფეხბურთელებს ურთიერთობების პრობლემები არ გვაქვს. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს ზეცაში ვცხოვრობთ. ყველას ვუყვარვართ და ჩვენი პლაკატებით კედლებს აჭრელებენ. შესაძლოა, ესპანეთში სამუშაოდ ჩამოსულ ადამიანებს, ბრაზილია და მასთან დაკავშირებული მხიარულება უფრო მეტად ენატრებათ.

**- ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?**

- უსაფრთხოება. აქ ძალიან დაცულად ვგრძნობ თავს. გეცოდინებათ, ბრაზილიაში დიდი პრობლემები მქონდა. დაახლოებით ორი წლის წინათ დედაჩემი გაიტაცეს. საუბედუროდ, ბრაზილიაში კრიმინალებს დიდი გასაქანი აქვთ. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ქვეყანაა და წესრიგის დამყარება ძალიან ძნელია. გარდა ამისა, უქონელი და ღარიბი ადამიანები მრავლად გვყავს. ხშირად ისინი შიმშილის გამო ქურდობენ და ყაჩაღობენ.

**- დედათქვენის გატაცების დროს გამოსავალს სად ეძებდით? პოლიციაში, თუ?**

- ფულის გადახდა ძალიან საშიში იყო, რადგან თანხის მიღების შემდეგ, შესაძლოა, კვალის დაფარვის მიზნით მოეკლათ. ამიტომ, თავიდანვე პოლიციას დავუკავშირდი. მადლობა ღმერთს, სამართალდამცველებმა კარგად იმუშავეს და დედა უვნებელი დამიბრუნეს. ასეთი მძიმე დღეები არასოდეს მქონია. გახსენებაც კი მზარავს.

**- ესპანური ცხოვრების წესიდან რამ მოგხიბლათ?**

- შესაძლოა, უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ესპანელების ჩაცმულობით მოვიხიბლე. თქვენ მრავალფეროვანი ტანსაცმელები გაქვთ. ბრაზილიაში კი თითქმის მთელი წელი მოკლე შარვლებით დადიან (იცინის).

**- ბრაზილიაში შობას როგორ აღნიშნავთ?**

- შობას მაღალი ტემპერატურის თანხლებით ალვნიშნავთ. ამ თვალსაზრისით, ბრაზილია და ესპანეთი რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პირადად მე, შობას ოჯახთან ერთად, მშვიდ გარემოში ალვნიშნავ ხოლმე.

**- სანტა კლაუსს სიცხეში ალბათ, ძალიან უჭირს...**

- (იცინის) ნუ იფიქრებთ, რომ სანტა კლაუსები არ გვყავს, თუმცა მთელ ქალაქში შესაძლოა, სულ რალაც 4-5 სანტა კლაუსი ნახოთ. შობისას მთელი ბრაზილია თეთრ სამოსს იცვამს, თქვენთან კი უფრო მუქ ტანსაცმელს ანიჭებენ უპირატესობას.

**- ბავშვობამ როგორი მოგონებები შემოგინახათ?**

- მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ღარიბ ოჯახში გავიზარდე, უბედნიერესი ბავშვობა მქონდა. მახსოვს, ჩემი მშობლები თავდაუზოგავად მუშაობდნენ, რომ კარგად გამოვეკვებე და ფეხბურთის თამაშის საშუალება მქონოდა. ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა. ჩემი ასაკის ბიჭების უმეტესობამ ბავშვობა საერთოდ დაკარგა. ისინი ან ქუჩაში რალაცას ყიდდნენ, ან იპარავდნენ. მე კი, ხალისიანად ვცხოვრობდი. როცა წამოვიზარდე, ფეხბურთს სერიოზულად მოვკიდე ხელი. შემდეგ "სანტოსთან" პროფესიული კონტრაქტი გავაფორმე და მალე "რეალში" მოვხვდი. ახლა მილიონერი ვარ. ამას ვინ წარმოიდგენდა...

**- ქველმოქმედება თქვენს ხასიათში ზის?**

- ნადვილ ქველმოქმედებას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს (იცინის).

**- ფეხბურთის გარდა არაფერი იცით?**

- რალაცებს კი ვაკეთებ, მაგრამ ფეხბურთზე კარგად არაფერი გამომდის.

**- სხვა პროფესიის დაუფლება არასოდეს გიფიქრიათ?**

- არასოდეს! მე სანტოსში გავიზარდე. ეს ოკეანისპირა პატარა ქალაქია. როცა ჩემს თანატოლებს ფეხბურთი ყელში ამოდიოდათ, სახლში მიდიოდნენ და ქუჩაში ალარავინ რჩებოდა, პლაჟისკენ გავრბოდი. იქ ყოველთვის მეგულებოდნენ ფეხბურთზე გადარეული ადამიანები. არასოდეს ვიღლებოდი და უფლება რომ მოეცათ, საერთოდ არ დავიძინებდი. სხვათა შორის, ბრაზილიელი ბავშვების დიდი ნაწილისთვის ფეხბურთი ერთადერთი პერსპექტივაა.

**- რა ხდება მაშინ, როცა ისინი პროფესიულ ასპარეზზე გასვლას ვერ ახერხებენ და სამუდამოდ იკარგებიან?**

- ზოგს საშინელი სასოწარკვეთილება ეუფლება და გამოსავალს ნარკოტიკებში ეძებენ.

**- სკოლაში კარგად სწავლობდით?**

- ვიცი, რომ განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მე ამ საქმისთვის არ ვარ დაბადებული. გაკვეთილებს სისტემატურად ვაცდენდი, რათა ფეხბურთი მეთამაშა.

**- როგორ გგონიათ, ფეხბურთელები მეტისმეტად დიდ ხელფასებს ხომ არ იღებენ?**

- ბრაზილიაში ფეხბურთელებს წარმოუდგენლად დაბალი ხელფასები აქვთ. ამიტომ ყველა ევროპაში გაქცევაზე ფიქრობს. მე თავს ვუშველე, საყვარელ საქმეს ვაკეთებ და დიდ ფულსაც ვშოულობ.

**- ბავშვობაში ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელი მოგწონდათ?**

- რონალდო და დენერი. განსაკუთრებით, დენერი, რომელიც გარდაიცვალა. "ვასკო და გამაში" თამაშობდა. ფიზიკური თვალსაზრისით, ჩემსავით მოიკოჭლებდა, მაგრამ გასაოცარი ტექნიკა ჰქონდა.

**- პელე რატომ არ ახსენეთ?**

- პელე ღმერთია. მას ვერავინ შეედრება. "სანტოსში" თამაშისას ხშირად მეხმარებოდა და ფასდაუდებელ რჩევებს მაძლევდა.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელებს მეტისმეტად ძვირად აფასებენ?**

- რა თქმა უნდა, ეს ასე. ჩვენთან ფიქრობენ და იციან, რომ ევროპულ გრანდებს დიდი ფული აქვთ და მათ კოლოსალურ თანხებს უსახელებენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ რვა წლის ბრაზილიელ ბიჭუნას უკვე მენეჯერი ჰყავს. თქვენ წარმოიდგინეთ, ნიჭიერ მოზარდ ფეხბურთელებს ბანკები კრედიტსაც კი აძლევენ. ბანკირებს იმედი აქვთ, რომ ისინი დიდ კლუბებში მოხვდებიან და ფულს პროცენტული ნამატით დააბრუნებენ.

**- გახოსა და იგუაინის ტრანსფერებზე რას გვეტყვით?**

- მათი თამაშები ფაქტობრივად, არ მინახავს, თუმცა რადგან ეს ბიჭები "რეალმა" შეიძინა, ესე იგი, მაგრები არიან. სამეფო კლუბი მხოლოდ საუკეთესოებს უფორმებს კონტრაქტებს.

**- თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ვის მიანიჭებდით?**

- კანავაროს. მან მუნდიალი ფანტასტიკურად ჩაატარა და იტალიას გაჩემპიონებაში უდიდესი დახმარება გაუწია. მერწმუნეთ, ეს არ არის იოლი.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### როშემბაკი შინ ბრუნდება

ფაბიო როშემბაკს პორტუგალიაში დაბრუნება სურს. ნახევარმცველი "მიდლსბროში" ირიცხება და კარიერის ერთ-ერთ ყველაზე უსახურ სეზონს ატარებს. ლისაბონის "სპორტინგმა" ფეხბურთელს თანამშრომლობა შესთავაზა. კლუბები მოლაპარაკებებს იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე დაიწყებენ. განიხილება 6-თვიანი იჯარის საკითხი, იმ პირობით, რომ სეზონის ბოლოს "სპორტინგი" როშემბაკს საბოლოოდ გამოისყიდის.

### სად ითამაშებს კარუ?

"ლიონი" ჯონ კარუს გაყიდვას ცდილობს. გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ ფეხბურთელს "ნიუკასლი" აკვირდება. ნიუკასლელთა თავკაცმა გლენ როუდერმა კარუთი დაინტერესება უარყო. ამასობაში, თავდამსხმელს ვიგოს "სელტა" შეეხმიანა. გალისიურ კლუბს კარუსთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება სურს, ფეხბურთელს კი "ლიონიდან" საშუალო დონის ესპანურ კოლექტივში გადასვლა დიდად არ ეპიტნავება.

### ვიგანი შვედი მცველით გაძლიერდა

"ვიგანმა" შვედეთის ნაკრების მცველი ანდრეას გრანკვისტი დაიმატა. ინგლისელებმა "ჰელსინგბორგთან" 6-თვიანი საიჯარო კონტრაქტი გააფორმეს. სეზონის ბოლოს კლუბები ხანგრძლივ ხელშეკრულებაზე იმუშავებენ. "ვიგანში" ტრანსფერის გამო, გრანკვისტმა უარი თქვა შვედების სამხრეთამერიკულ ტურნეში მონაწილეობაზე, რომელიც იანვრის შუა რიცხვებისთვისაა დაგეგმილი.

### არგენტინელები სოსიედადში

"სოსიედადი" "რივერ პლეიტის" თავდამსხმელ ფედერიკო იგუაინს ეპატიჟება. ფედერიკო იმ გონსალო იგუაინის უფროსი ძმაა, რომელიც ორი კვირის წინათ "რეალში" ჩაირიცხა. ბასკურ კლუბს პრიმერა დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება. სანსებასტიანელებმა ჩემპიონატის პირველი წრე ბოლოდან მეორე ადგილზე დაასრულეს და იანვარში შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავენ. "სოსიედადმა" უკვე შეიძინა არგენტინელი მცველი ვიქტორ ლოპესი. მის სანაცვლოდ სარანდის "არსენალს" 600 ათასი დოლარი გადაუხადეს. მთავარი მწვრთნელი მიგელ ანხელ ლოტინა მარცხენა გარემარბისა და ფლეიმეიქერის შეძენასაც აპირებს.

რეალი

# კასანომ მილანი იუარა

"რეალს" ანტონიო კასანო კისერზე აწევს. უკვე დიდი ხანია, რაც იტალიელი ფორვარდი შემადგენლობაში ვერ ხვდება და ფაქტობრივად, მუქთა ხელფასს იღებს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მადრიდული გრანდის ხელმძღვანელობას კასანოს თავიდან მოცილება სურს. პრედრაგ მიატოვიჩმა და ფრანკო ბალდინიმ უდიდესი სამუშაო შეასრულეს. მათ კასანოს ჩინებული ვარიანტი გამოუნახეს და "მილანში" იჯარით წასვლა შესთავაზეს. აღსანიშნავია, რომ კარლო ანჩელოტი პირენეული გიგანტის ფორვარდს მოუთმენლად ელოდა. ერთი სიტყვით, კლუბები ყველა დეტალზე შეთანხმებული იყვნენ, მაგრამ გარიგება თავად ფეხბურთელმა ჩაშალა. ანტონიომ მარტივად განაცხადა, თავს ნურავინ შეიწუხებს, რადგან იჯარის წესით არსად წასვლას არ ვაპირებო.



ანტონიო კასანო

წარსულის ოქროს ფურცლები

# ჯორჯი და ჯორჯები



ლეგენდარული ჯორჯ ფორმენი 1968 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მერე და მერე კი ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოკრივედ იქცა. ჯო ფრეიზერის ორჯერ მაგრად მიბეგვის გარდა, ფორმენს არაერთი ლეგენდარული ორთაბრძოლა ჩაუტარებია. ხოლო 1994-ში მან გააკეთა ის, რაც არც მანამდე და არც ამის შემდეგ არავის გაეკეთებინა - ფორმენი 45 წლის ასაკში მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, როდესაც სატიტულო ბრძოლაში მაიკლ მურერი დაამარცხა. ჯორჯი დიდი კრივიდან 1997-ში წავიდა. თავისი უკანასკნელი რთაბრძოლა მან შენონ ბრიგსთან დათმო. აღნიშნულ მასალაში ჯორჯი მისი ცხოვრებიდან საინტერესო ფაქტზე, უფრო სწორად კი, ფაქტების მთელ ჯაჭვზე გვიამბობს. ჯორჯი და რელიგია და ჯორჯი და... ჯორჯები.

## პირველი ეკლესია

"1969 წლის 1 ივლისს ჰიუსტონში ფრედ ეშიუს შევხვდი. ვიცოდი, რომ მეტოქე არაფერს წარმოადგენდა და ორთაბრძოლის ორგანიზატორებს ვთხოვე, იქნებ, სხვასთან აჩხუბოთ, რადგან რინგზე რომ ავალ, ჩემგან დანდობა არ იქნება-მეთქი. არ დამიჯერეს და ფრედი ლამის სასიკვდილოდ გაიმეტეს.

პირველივე რაუნდში, სადღაც მე-12 წამზე მარჯვენა აპერკოტით დავაგდე. ეშიუს ცხვირიდან სისხლი წასკდა, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მას ცხვირი ოთხ ადგილას ჰქონდა გატეხილი. ჰოსპიტალში მიყვანამდე მან ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა და კინალამ გარდაიცვალა.

14 ივლისს ვაშინგტონში სილვესტერ დულეირს უნდა შევხვედროდი, ბრძოლის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე კი ვნახე სიზმარი, სადაც ღმერთს მოსასხამი ეცვა და ეშიუს საფლავთან ლოცვას კითხულობდა.

სიზმრების არასოდეს მჯეროდა, ახლაც არ მჯერა. უბრალოდ, ფრედი კინალამ დავაინვალიდე და რაკილა დულეირი მასზე ბევრად ძლიერი აშკარად არ იყო, ჩავთვალე, რომ ზემოდან ნიშანი მომცეს.

ძმაკაცებს სადღაც 6 ათასი დოლარი ავაგროვებინე. ჰიუსტონის ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე ჩემი მეგობრების ბარი იდგა, რომლის გვერდითაც ნაგავსაყრელი იყო. აი, სწორედ ის ადგილი შევისყიდეთ და 1970 წლის 25 იანვარს ჰიუსტონში "საძმოსა და იესოს" ეკლესიის მშენებლობა დასრულდა.

დულეირთან ორთაბრძოლა ასევე სწრაფად, თუ არ ვცდები, 30-ე წამზე დასრულდა. ნოკაუტის შემდეგ მეტოქე გონზე რომ მოიყვანეს, მას გასახდელში ვესტუმრე და საათი ვაჩუქე, 25 იანვარს კი იგი ეკლესიის გახსნაზე დავპატიჟე. 25 იანვარს ეკლესია გავხსენით, 26-ში კი "მედისონ სკვერ გარდენში" ჯეკ ოჰელორენს მეხუთე რაუნდში ვაჯობე.

1977-ში ჰატო რეიში ჩემი კარიერის პირველი და ყველაზე წარმატებული ეტაპი დასრულდა. 17 მარტს ჯიმ იანგს შევხვდი. იანგი არც მანამდე და არც მერე დიდი არაფერი მოკრივე იყო, მაგრამ ორი თვის უვარჯიშებელმა, წონაში საგრძნობლად მომატებულმა მას ერთი ძლიერი დარტყმაც კი ვერ მივაყენე. მსაჯებმა იანგს გამარჯვება მიანიჭეს.

სან ანტონიოში ჩემს ძმაკაცს, სტივენ იანგს ხუთი აკრი მიწა ჰქონდა შეძენილი. მამამისი ბრიოლინის მწარმოებელი კომპანიის მფლობელი იყო და შვილის ყველა თხოვნას ასრულებდა. სტივენი ორი წელი ქურდობისთვის ციხეში იჯდა, ხოლო როდესაც მამამისმა დიდი ფული გაქრა, შვილი ეგრევე ქუჩას ჩამოაცილა.

სტივენმა ამ მიწის გამოყენება თავის სტილში, უაზროდ დაიწყო და ბორდელების ქსელის აშენება გადაწყვიტა. ოთხ საროსკიპოსთან ერთად იმ ტერიტორიაზე სამი სასტუმრო, ორი საცხოვრებელი სახლი და ერთი უზარმაზარი კაზინო უნდა ყოფილიყო.

ყველაფერი ეს 1978 წელს ხდებოდა, იმავე წლის 26 დეკემბერს კი სტივენი ერთ-ერთ მეძავთან ერთად საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს.

კიდევ ერთი უცნაური სიზმარი საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ეკლესია სან ანტონიოშიც აგვეშენებინა.

ეკლესიას "სტივენის უკანასკნელი ნება" დავარქვით, მაგრამ მეორე დღესვე ქუჩებში დაახლოებით 2000-მა კაცმა ამ სახელთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა, პატივისცემა იცოდეთო. ხალხში რომ გავერიე და ვკითხე, ვის უნდა ვცეთ-მეთქი პატივი, საკუთარ თავს და შემქმნელსო. ჰოდა, სახელი ეგრევე შევცვალეთ - "1968", აი, ეს სახელი შევარჩიეთ. ბევრი რატომღაც თვლიდა, რომ ეს თარიღი ჩემი ოლიმპიური ჩემპიონობის აღსანიშნავად ავარჩიე, თუმცა ეს ამასთან არაფერ შუაში იყო.

1 - ყველგან და ყოველთვის პირველი უნდა ვყოფილიყავი.

9 - პირველი ორთაბრძოლის მერე დონ უოლდჰელმს ნიკაპზე 9 ნაკერი დაადეს.

6 - ექვსი არაკანონიერი და-ძმა მყავდა.

8 - უბრალოდ, ჩემი საყვარელი ციფრი.

1988 წელს ტომი ტრიმთან ორთაბრძოლით კარიერა განვაახლე. კრივი მეზიზღებოდა, თავის ტკივილმა წლობით არ გამიარა, მაგრამ ფული დამჭირდა და ერთ-ერთ პრომოუტერს ორლანდოში ტრიმთან ორთაბრძოლის ორგანიზება ვთხოვე.

თანხა მთლიანად მონასტრის აშენებას მოვახმარე. იმ მონასტერში მხოლოდ უსინათლო ბავშვები შედიოდნენ.

1987 წელს ჩემი ერთ-ერთი მეზობელი, 13 წლის უსინათლო კარა ჯონსონი გააუპატიურეს და შემდეგ მოკლეს. ამ შემზარავი ფაქტის გამოძიება დღემდე დაუსრულებელია, თუმცა, როგორც ამბობენ, ბოროტმოქმედები უკვე დახოცილები არიან.

ეკლესიაც სწორედ ამის გამო ავაშენე, შესასვლელში კი კარას დიდი ფოტო ჩამოვკიდეთ.

კრივისგან სიამოვნებას მაინც ვერ ვიღებდი. 1988-ში ცხრა ორთაბრძოლა გავმართე და ოთხი ნოკაუტით, ხუთი კი ტექნიკური ნოკაუტით მოვიგე. ძალას ვიბრუნებდი და ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან კვლავ შევძლებდი მძიმე წონაში პლანეტის უძლიერესი მოკრივის ტიტულის დაბრუნებას.

1991 წელს ატლანტიკ სიტიში ევანდერ ჰოლიფილდთან ქულებით წავაგე. ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ჩემპიონმა მოულოდნელი, მაგრამ სასიამოვნო ამბავი გვამცნო - დღევანდელი ჰონორარის 30 პროცენტი ტეხასში მონასტრების ჯაჭვის მშენებლობისთვის შეგულებულ სამშენებლო ფირმას გადავურიცხე და ამ პროექტს მთლიანად ჯორჯს ვაბარებო.

მესიამოვნა, მაგრამ დავიბენი. ევანდერისგან ამას ნამდვილად არ ველოდი.

სამი დღის მერე მთელი ჩემი დანაზოგით დალასში გადავბარგდი, სადაც პირველი მონასტერი უნდა დაგვედგა. ქუჩებში რამდენიმე დახლი დავდგით, სადაც ყველა მსურველს ამ გრანდიოზული პროექტის მშენებლობისთვის შესაწირის შეტანა შეეძლო. თქვენ წარმოიდგინეთ, ბნელმა ტეხასელებმა ძალიან დიდი თანხა გაიმეტეს. ცხადია, თანხის დიდი ნაწილი ევანდერმა და მე შევაგროვეთ, მაგრამ პირველი მონასტერი სწორედ შესაწირით დავაყენეთ ფეხზე.

მერე და მერე კი დღემდე მოყოლებული, 24 ეკლესია ავაშენე. ევანდერმა ის პროექტი ბოლომდე დაასრულა, რის მერეც მას მეგობრული თანამშრომლობის გაგრძელება შევთავაზე, თუმცა უარი მივიღე. ჰოლიფილდმა ეს იმით ახსნა, რომ პრობლემები ჰქონდა და საქმეზე მთლიანად ვერ გადაერთვებოდა. მიუხედავად ამისა, ევანდერს ტეხასში მონასტრების აშენებისთვის უდიდეს პატივს ვცემ. ამ კაცს შეეძლო, თანხა საერთოდ არ გამოეყო, მაგრამ კარგი საქმე გააკეთა და ბევრი ადამიანი გააბედნიერა."

## ჩემი ოჯახი

"არ ვცემ პატივს იმ კაცს, ვისთვისაც ოჯახი პირველ ადგილზე არ დგას. ადამიანი, რომელიც ცოლს სიყვარულს უხსნის, ბავშვებს ძილის წინ შუბლზე ჰკოცნის და იმავე ღამეს მეძავს 100 დოლარს აძლევს, ცხოვრების ღირსი არ არის. იგი ამქვეყნიურობის ჭუჭყია.

მეძავთან მეც ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ ოჯახი არ მყავდა. ოჯახები მეძავებსაც ჰყავთ, თუმცა ამის შესახებ დაკონკრეტება ნამდვილად არ მსურს. მათ შეურაცხყოფას აყენებენ, თუმცა ისინი ყველაფერს იტანენ და ოჯახში საჭმლისა და სასმლის შესატანად ნებისმიერ შეურაცხყოფასა და ტკივილს იტანენ.

ჩემი ცოლი, მშვენიერი მარია, ვისაც თითქმის ყოველთვის რატომღაც ჯოანს ვეძახი. მარია ჩემს კარიერაში ყველაზე ამტანი მეტოქეა. აბა, როგორ გინდა, ჯორჯ ფორმენისდარ გორილას 10 შვილი გაუჩინო და თანაც ხუთივე ბიჭს გადარეული მამა ერთსა და იმავე სახელს დაარქმევს?!

პირველს ჯორჯ უმცროსი რომ დავარქვი, ძმაკაცმა ხუმრობით შემომთავაზა, ეს სახელი თქვენს გვარს იმდენად უხდება, რომ ყველა ბიჭს ჯორჯი უნდა ერქვასო. ჩემს მეორე ბიჭს ჯორჯ მესამე, მესამეს - ჯორჯ მეოთხე, მეოთხეს - ჯორჯ მეხუთე და მეხუთეს - ჯორჯ მეექვსე.

ჩემი მეორე შვილი გოგო იყო, რომელსაც ჯორჯეტა დავარქვით, მაგრამ სკოლაში დასცინოდნენ და როდესაც მეორე გოგო შეგვეძინა, ოდნავ შევცვალე სტრატეგია და მას ფრიდა-ჯორჯინა დავარქვი. ეფექტი არც ამ სახელს ჰქონია და მომდევნო სამი ქალიშვილი სტანდარტული სახელებით შევამკე - მიჩიგანი, ნატალი-ტომასი და ლეოლა-იონა. იმპროვიზაცია ყოველთვის ჩემი სუსტი წერტილი იყო, თუმცა სახელების შერჩევისას ყველანაირად ვეცადე ორიგინალური ვყოფილიყავი.

ჩემი ათი შვილიდან მხოლოდ ორია მორწმუნე, თუმცა ძალით ეკლესიაში ვერავის შეიყვან და სიმართლე გითხრათ, არც მინდა, რომ რომელიმეს ჩემი პატივისცემის გარდა, შიშიც ჰქონდეს. უფროსი ისეთი ჯანიანია, ბებერ ჯორჯს ერთი რომ შემოარტყას, ამ მოგონებებსაც ვერავინ მოგანოდებთ და ამიტომ მას არაფერს ვაძალებ. ჯორჯ-უმცროსი უკვე ოთხი შვილის მამაა და თუ 40 წლამდე კიდევ ხუთი შვილი შეეძინება, პირობა მივეცი, ჩემი შემოსავლით 30%-ს დაგისვამ ანგარიშზე-მეთქი. სანამ ის ორმოცი წლის გახდება, ფულიც აღარ დამრჩება და რაც მექნება, იმის 30 %-ს დიდი სიამოვნებითა და ყველანაირი ფიქრის გარეშე მივცემ.

მგონი, ისიამოვნეთ. მოსაგონი კიდევ მრავლად მაქვს, მაგრამ ამჯერად აქ შევჩერდეთ და ერთმანეთს ყველაფერი საუკეთესო ვუსურვოთ.

ღმერთი გფარავდეთ და არასოდეს გახდეთ მოკრივე. ეს ჭკვიან ხალხთან საუბრისას ხელს შეგიშლით".

**ზურაბ თალაკვაძე**

კრიმინალი

# ტაისონი დაიჭირეს

შტატ არიზონას ქალაქ სკოტსდეილის ერთ-ერთი ბარიდან გამოსული **მაიკ ტაისონი** მას შემდეგ დააკავეს, რაც კოკაინით გაბრუებულმა, კინალამ ქალაქის შერიფის მანქანა გაიტანა. *"ის თავიდან არ დაგვემორჩილა, მაგრამ, როგორც კი სირენები ჩავრთეთ, მაშინვე გააჩერა მანქანა და ნარკოშემოწმებაზეც დაგვთანხმდა"*, - განაცხადა სკოტსდეილის პოლიციის სერჟანტმა, **ლარი ჰოლმა**.

ტესტის შედეგად დადგინდა, რომ ტაისონი ფხიზელ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა, რის შემდეგაც ჩატარებული ჩხრეკისას, მას კოკაინი უპოვნეს. ყოველივეს გამო, ის წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. მოსალოდნელია, რომ სასამართლო მას თავდებით გაუშვებს.

## ჩოგბურთი

# ჰინგისი სტეპანეკს მიჰყვება


მარტინა ჰინგისი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** მალე თავის ჩეხ კოლეგა **რადეკ სტეპანეკს** მისთხოვდება. 26 წლის ჰინგისმა ეს ინფორმაცია ავსტრალიის ქალაქ გოლდ კოუსტში ჩატარებულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ირკვევა, 28 წლის სტეპანეკს, ვისაც რეიტინგში მე-19 ადგილი უკავია, ჰინგისისთვის ხელი პრაღაში ყოფნისას, ერთი თვის წინათ უთხოვია. თუმცა მარტინას ხელზე ბრილიანტის ბეჭედი ჟურნალისტებმა ახლაღა შენიშნეს, როცა ის გოლდ კოუსტში, ავსტრალიის ჰარდკორტის ქალების ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ჩავიდა.

*"საოცარია, მაგრამ ამ ბეჭდით შვეიცარიაში მთელი თვე ვიარე და ის არავის შეუნიშნავს, აქ კი ახალი ჩამოსული ვარ და მის შესახებ მეკითხებიან. ვფიქრობ, აქაური ხალხი უფრო ყურადღებიანია"*, - განაცხადა ჰინგისმა, ვინც სამწლიანი ტრავმული პაუზის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა ჩოგბურთს და პირველივე სეზონი რეიტინგის მოწინავე ათეულში დაასრულა.

შეგახსენებთ, რომ ჰინგისს ზედიზედ სამჯერ (1997-1999 წლებში) აქვს მოგებული ავსტრალიის ღია პირველობა, მაგრამ სპორტი 2002 წელს იმის გამო მიატოვა, რომ ვერაფრით მოირჩინა წვივისა და ტერფის ტრავმები, რომელიც, როგორც თავად ამტკიცებდა, სპორტული ინვენტარის მწარმოებელ კომპანია "სერჯო ტაკინის" სპორტული ფეხსაცმლის ბრალი იყო.

რაც შეეხება სტეპანეკს, გასულ სეზონში მან უიმბლდონის მეოთხედფინალს მიაღწია, მაგრამ კისრის მალასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, მას შემდეგ არ უთამაშია. ახლა კი დაბრუნებას გეგმავს. პირველი ტურნირი, რომელზეც ის იასპარეზებს, ავსტრალიის ჰარდკორტის კაცების ჩემპიონატია, რომელსაც ქალაქი ადელაიდა უმასპინძლებს.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-კაროლინა 4:1**

0:0, 3:0, 1:1

**გოლები:** 1:0 პომინვილი-17 (ჰეხტი-13, ბრიერი-30), 2:0 დრური-20 (გოსტადი-10), 3:0 ვანეკი-20 (სპაჩეკი-11, დ. რუა-17), 3:1 კ. ადამსი-6 (ლაროუზი-8, ბრინდამორი-30), 4:1 კოტალიკი-11 (ბულიტი).

**კოლამბუსი-დეტროიტი 4:7**

0:2, 2:1, 2:4

**გოლები:** 0:1 კლირი-15 (ლანგი-17, მარკოვი-6), 0:2 კლირი-16 (ლანგი-18, ლებდა-6), 0:3 ზეტერბერგი-15 (ლებდა-7, დაციუკი-20), 1:3 ჰეინსი-4 (ა. ერიქსონი-15, ჩიმერა-8), 2:3 ვიბორნი-10, 3:3 ფრიტშე-7, 4:3 ფუტი-2 (ფიოდოროვი-14, ვიბორნი-25), 4:4 დაციუკი-8 (ჯეისონ უილიამსი-12), 4:5 კლირი-17 (ლანგი-19, კრონვალი-6), 4:6 დაციუკი-9 (ჰოლმსტრიომი-9, ზეტერბერგი-10), 4:7 მარკოვი-2.

**ედმონტონი-ლოს ანჯელესი 4:7**

2:2, 2:3, 0:2

**გოლები:** 1:0 პიზანი-7 (სტოლი-17), 1:1 დ. ბრაუნი-10 (კოპიტარი-23, ვიშნოვსკი-19), 1:2 უილსი-4 (კონროი-9, ს. ტორნტონი-4), 2:2 ტიარნკვისტი-3 (ჰემსკი-18, სტოლი-18), 3:2 რ. სმიტი-17, 4:2 სტოლი-11 (ჰორკოფი-15, მ-ა. ბერჟერონი-10), 4:3 რ. ბლეიკი-7 (ფროლოვი-19, დ. არმსტრონგი-16), 4:4 ფროლოვი-18 (დ. არმსტრონგი-17, სოპელი-9), 4:5 ეიჯერი-8 (კოპიტარი-24, ნორსტრიომი-5), 4:6 ვიშნოვსკი-9 (ფროლოვი-20, დ. არმსტრონგი-18), 4:7 მაკოლი-1 (დ. ბრაუნი-12, ნორსტრიომი-6).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 3:4**

1:2, 0:2, 2:0

**გოლები:** 0:1 ქიტნიკი-3 (ფორსბერგი-11, პიტკანენი-18), 1:1 სენტ ლუისი-25 (პერენი-8, ბოილი-20), 1:2 განიე-18 (ნუბლი-10, ფორსბერგი-12), 1:3 განიე-19 (პიტკანენი-19, ფორსბერგი-13), 1:4 ს. კაპანენი-5 (ჯ. კარტერი-6), 2:4 კუბა-5 (ბ. რიჩარდსი-19, ჰოლმქვისტი-3), 3:4 ფედოტენკო-10 (ბოილი-21, ლეკავალიე-28).

**სან ხოსე-ფინიქსი 2:3**

0:1, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 საპრიკინი-9 (ზ. მიხალეკი-13, კომრი-12), 0:2 დოენი-7 (საპრიკინი-10, ზ. მიხალეკი-14), 1:2 ჯ. ტორნტონი-10 (პაველსკი-5, კ. ბრაუნი-6), 2:2 ვლასიჩი-2 (მ. სმიტი-9, ჯ. ტორნტონი-33), 2:3 ი. პერო-11 (ბალარდი-7, დოენი-7).

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ლუტონი | 2:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| იორკი-უოკინგი | 0:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ექსელსიორი-ფეიენოორდი | 1:3 |

**კალათბურთი**

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ტაუგრესი-ალიკანტე | 74:72 |
| ესტუდიანტესი-გრანადა | 67:81 |
| კ. სან ფერნანდო-ვალიადოლ. | 79:65 |
| მენორკა-უნიკახა | 61:77 |
| მურსია-ხუვენტუდი | 77:89 |

**ჰოკეი**

**შპენგლერის თასი**

| | |
|---|---|
| კანადა-ხიმიკი | 0:5 |

**მსოფლიო ჩემპიონატი — ახალგაზრდული**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-გერმანია | 3:4 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1:1 |
| ჰანოვერი-შტრაუბინგი | 5:5 |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 7:2 |
| კიოლნი-იზერლონი | 4:2 |
| მანჰაიმი-დუისბურგი | 4:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ზნოიმო | 2:0 |
| ქლინი-ლიბერეცი | 2:4 |
| კლადნო-ვსეტინი | 2:2 |
| ლიტვინოვი-სლავია | 3:4 |
| პლზენი-ტრშინეცი | 6:2 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 3:0 |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 4:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 3:0 |
| ლულეა-ჰვ 71 | 4:5 |
| მალმიო-იურგორდენი | 2:5 |
| მოდო-ფერიესტადი | 3:2 |

# გოგონები



ლორან ჯექსონი

## ჯექსონს ქალები მობეზრდა

ავსტრალიელი კალათბურთელი **ლორან ჯექსონი** არა მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ ამერიკაშიც კარგად არის ცნობილი. ის ქალთა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (WNBA) თამაშობს.

ათენის ოლიმპიური თამაშების წინ, სადაც ავსტრალიის ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა, ჯექსონმა ერთ-ერთი კალენდრისთვის შიშველი ფოტოები გადაიღო. ახლა კი ლორანმა აღიარა, რომ მამაკაცთა გუნდში სურს კარიერის გაგრძელება...

ლორან ჯექსონი 1981 წლის 11 მაისს ავსტრალიაში დაიბადა. ამ ორმეტრიანი გოგონას ბენეფისი 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალში შედგა. მან ამერიკის ნაკრების წინააღმდეგ 20 ქულა დააგროვა და 13-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი. მაშინ, "მწვანე კონტინენტის" ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა ოლიმპიადის ვერცხლის მედლები. ანალოგიურ წარმატებას ამ გუნდმა ოთხი წლის შემდეგაც მიაღწია. და მაშინაც, ავსტრალიამ ფინალში ამერიკასთან წააგო.

ამჟამად, ლორანი "სიეტლის" ღირსებას იცავს. ამ გუნდმა კალათბურთელი 2001 წლის დრაფტში აიყვანა. ჯექსონს მძიმე ტრავმის გამო, თითქმის მთლიანად გაუცდა შარშანდელი სეზონი, სამაგიეროდ, წელს მას მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელებს შორის ასახელებენ.

მაგრამ ჯექსონისთვის საოცნებო არა ქალთა შორის საუკეთესოს ტიტული, არამედ მამაკაცების წინააღმდეგ თამაშია. მით უმეტეს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებისთვის ეს იდეა ფრიად დამაინტრიგებელი იქნება. მის ლორანი ხშირად პოზირებდა შიშველი სხვადასხვა გამოცემების ფურცლებზე.

## 60 წუთი ანასთან ერთად

ნარსულში ცნობილი რუსი ჩოგბურთელი **ანა კურნიკოვა** ამერიკის ტელეარხ CBS-ის გადაცემა "60 წუთში" მოხვდა. ეს პროგრამა ახალგაზრდა, ნიჭიერ ადამიანებზეა. გადაცემის ფრაგმენტების ხილვა ნებისმიერ მაყურებელს ინტერნეტის საშუალებითაც შეუძლია - ამისთვის საკმარია Yahoo-ს ვებ-გვერდზე შესვლა.

კურნიკოვასადმი მიძღვნილი რგოლი, თითქმის მთლიანად მისი ინტერვიუსგან შედგება, რომელიც 13 წლის ასაკში არის აღებული. მასში ჩოგბურთის მომავალი ვარსკვლავი თითქმის უნაკლოდ საუბრობს ინგლისურ ენაზე.

გადაცემაში კურნიკოვას რგოლს მისდევს ტიტრი: *"ანა ახლა 25 წლისაა, მას არასოდეს მოუგია დიდი ტურნირი, მაგრამ წელიწადში 10 მილიონ დოლარს იღებს"*.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გადაცემა "60 წუთში" კურნიკოვას გარდა მხოლოდ ერთი სპორტსმენი იყო მიწვეული. ეს გახლავთ ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, წარმოშობით განელი ფეხბურთელი **ფრედი ადუ**, რომელიც ამასწინ, "მანჩესტერ იუნაიტედში" გასინჯვაზეც კი იყო მიწვეული, მაგრამ ინგლისურმა კლუბმა ის უკან გააბრუნა.



ანა კურნიკოვა

# შემთხვევა

## 5 ჯიპი 14 გოლში

ჰოკეის ყვანჯის კარგად ხმარების წყალობით, კანადური ლონდონის მაცხოვრებელი **ჯეისონ ჰოლი** ერთბაშად ხუთი ჯიპის მფლობელი გახდა, არადა, უფრო ზუსტი რომ ყოფილიყო, ის შინ მილიონერი დაბრუნდებოდა.

ეს ყველაფერი NHL-ის რეგულარული ჩემპიონატის მატჩის დროს მოხდა, რომელშიც "ვანკუვერი" "კალგარის" ხვდებოდა. ჰოლმა შესვენებაზე მონაწილეობა მიიღო გულშემატკივართა კონკურსში, რომლის წესებიც ძალიან მარტივი იყო. მონაწილეს 20 წამში ცისფერი ხაზიდან 15 გოლი უნდა გაეტანა ცარიელ კარში. ჰოლმა 20-დან 14 ზუსტი დარტყმა შეასრულა, ასე რომ, მას ერთი გოლი დააკლდა მილიონი დოლარის მისაღებად.



მაგრამ, გულშემატკივარი ძალიან განაწყენებული არ დარჩენილა, რადგან მას მანუგეშებელი პრიზი ელოდა, თანაც როგორი: Chevy Silverado-ს ხუთი ახალთახალი ჯიპი. *"როცა მთელი სტადიონი გატანილ გოლებს ითვლიდა, ცოტათი ვნერვიულობდი. მართალია, მილიონი ვერ მივიღე, მაგრამ საწუწუნო არაფერი მაქვს, რადგან ახლა 5 ჯიპის მფლობელი გავხდი"*, - განაცხადა ჰოლმა.

კონკურსის კიდევ ოთხ მონაწილეს, რომლებიც შეჯიბრს ადრეული ეტაპიდან გამოეთიშნენ, თითო-თითო ახალი ჯიპი ერგო.

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**სან ანტონიო-იუტა 106:83**

29:24, 29:19, 29:17, 19:23

სან ანტონიო: ტ. პარკერი (22 ქ), დანკანი (20 ქ. 9 მ), ჯინობილი (12), ბოუენი (12), ჰორი (7 ქ. 7 მ).

იუტა: დერ. უილიამსი (11 ქ), გირიჩეკი (11 ქ), ოქური (10 ქ), მილსეპი (10), ბუზერი (10 ქ. 7 მ), დი ბრაუნი (8 ქ).

**დალასი-ფინიქსი 101:99**

30:20, 22:29, 26:27, 23:23

დალასი: ტერი (35 ქ. 8 პ), ნოვიცკი (27 ქ. 10 მ), ჯოშ ჰოვარდი (16 ქ. 12 მ), დ. ჰარისი (13 ქ).

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 13 მ), ნეში (24 ქ. 13 პ), ბარბოზა (14 ქ), მერიონი (12 ქ. 6 მ), რ. ბელი (11).

**დენვერი-ფინიქსი 112:98**

35:27, 25:29, 25:20, 27:22

დენვერი: აივერსონი (44 ქ. 10 პ), ბოიკინსი (24), რ. ევანსი (9 ქ. 18 მ), ნახერა (9 ქ).

სიეტლი: უილკინსი (26 ქ), რიდნური (16 ქ), უოტსონი (15 ქ. 7 პ), პეტრო (11 ქ), უილკოქსი (9 ქ. 7 მ).

# სამთო თხილამურები



მიხაელ ვალხჰოფერი

### მსოფლიოს თასი

## ვალხჰოფერის დუბლი

სანამ სამთომოთხილამურეთა ქარავანი იტალიის სამთო კურორტ ბორმიოს მიადგებოდა, ავსტრიელ კაც მოთხილამურეებს არცერთი ჩქაროსნული ეტაპი მოგებული არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, ბორმიოში ეს ნაკლი დაშვებაში მსოფლიოს ჩემპიონმა და ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანმა **მიხაელ ვალხჰოფერმა** გამოასწორა, რომელმაც ზედიზედ დაშვების ორი ეტაპი მოიგო.

თუ პირველ რბოლაში ვალხჰოფერმა ოდენ 0.01 წამით აჯობა შვეიცარიელ **დიდიე კუშეს**, ამჯერად უფრო სოლიდური უპირატესობით მოიტოვა იტალიელი **პეტერ ფილი**, რითაც ადგილობრივი მაყურებელი ძლიერ დაამწუხრა. ზედიზედ მეორედ, მესამე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა **მარიო შაიბერმა**, ვინც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არცთუ შორეულ მომავალში, მისი სახით, ავსტრიელებს კიდევ ერთი ვარსკვლავი ეყოლებათ.

*"როცა აქ ჩამოვედი, სხვა ავსტრიელებივით, მეც კრიზისი მქონდა. რა თქმა უნდა, ეს კრიზისი ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ახლა ჩემთვის პრობლემები დასრულებულია და ისევე თავისუფლად ვგრძნობ თავს, როგორც წინა სეზონის დასრულების შემდეგ"*, - განაცხადა 31 წლის ვალხჰოფერმა, ვისაც ორ დღეში ორი დაშვება შარშანაც, გერმანიის გარმიშშიც აქვს მოგებული.

აღსანიშნავია, რომ აქამდე მამაკაც მოთხილამურეთაგან ორჯერ დაშვების დუბლი არავის შეუსრულებია. ვალხჰოფერი ამბობს, ბორმიოში ჩასვლამდე ვინმეს რომ ეთქვა, იქ ზედიზედ ორივე დაშვებას მოიგებო, გიჟად ჩავთვლიდიო.

შეგახსენებთ, რომ ვალხჰოფერს ბორმიოში, სტელვიოს ფერდობზე ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე (2005 წელს) ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული, ორი წლით ადრე კი, სენ მორისში, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ახლა კი, ბორმიოშივე მოგებული ზედიზედ ორი რბოლის წყალობით, ვალხჰოფერმა დაშვების კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ახლა ის 44 ქულას აგებს კუშესთან (330 ქულა), რომელიც გუშინ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

აბსოლუტურ ჩათვლაში კი ლიდერობას კვლავაც ინარჩუნებს ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი**, რომელმაც ბორმიოს მეორე რბოლაში მეექვსე ადგილი დაიკავა. მასთან ჩამორჩენა ოდნავ შეამცირა ამერიკელმა **ბოდე მილერმა**, ვისაც კვარცხლბეკამდე 0.12 წამი დააკლდა.

ბორმიოს მეორე რბოლაში მონაწილეობა არ მიუღია დაშვებაში ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელს, ფრანგ **ანტუან დენერიას**, რომელმაც მუხლის ტრავმა მოიმიზეზა. მოგვიანებით, ცნობილი შეიქნა, რომ ის კიდევ სამ კვირას ვერ იასპარეზებს.

ქალებს ამჯერადაც ზემერინგში ჰქონდათ რბოლა, ოღონდ სლალომისა. ისევე როგორც გიგანტურ სლალომში, პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი კვლავ ავსტრიელ **მარლის შილდს** ჰქონდა, მაგრამ მეორე ცდაზე მან ისევ შეცდომა დაუშვა, რის გამოც ეს რბოლაც მესამე ადგილზე დაასრულა. პირველი ადგილი კი შვედმა **ტერეზ ბორსენმა** დაიკავა, ვისთვისაც ეს მსოფლიო თასის ეტაპებზე მოპოვებული პირველი გამარჯვებაა.

### ბორმიო (იტალია). კაცები. დაშვება

**1. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 1:51.82; 2. პეტერ ფილი (იტალია) 1:52.04; 3. მარიო შაიბერი (ავსტრია) 1:52.09; 4. ბოდე მილერი (აშშ) 1:52.21; 5. დიდიე კუშე (შვეიცარია) 1:52.32; 6. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 1:52.36; 7. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 1:52.43; 8. პატრიკ სტაუდახერი (იტალია) 1:52.55; 9. ანდრეი იერმანი (სლოვენია) 1:52.65; 10. ბრუნო კერნენი (შვეიცარია) 1:52.66...**

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 579; 2. ბოდე მილერი (აშშ) 540; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 535; 4. პეტერ ფილი (იტალია) 458; 5. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 340; 6. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 313; 7. მარიო შაიბერი (ავსტრია) 299; 8. კალე პალანდერი (ფინეთი) 287; 9. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 278; 9. ტედ ლაიჯეტი (აშშ) 278...**

### ზემერინგი (ავსტრია). ქალები. სლალომი

**1. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 1:55.15 (56.60, 58.55); 2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 1:55.40 (57.13, 58.27); 3. მარლის შილდი (ავსტრია) 1:55.57 (55.78, 59.79); 4. ანა იელუშიჩი (ხორვატია) 1:55.98 (57.64, 58.34); 5. კიარა კოსტაცა (იტალია) 1:56.73 (58.02, 58.71); 6. მარია პიელიტაე-ჰოლმნერი (შვედეთი) 1:57.31 (58.52, 58.79); 7. ვერონიკა ს უსულოვა (სლოვაკეთი) 1:57.61 (59.09 58.52); 8. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:58.05 (58.42, 59.63); 9. ნინა ლოესეტი (ნორვეგია) 1:58.66 (1:00.13, 58.53); 10. სანი ლეინონენი (ფინეთი) 1:59.08 (1:00.01,59.07)...**

### აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 597; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 540; 2. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 540; 4. რენატე გოეჩლი (ავსტრია) 441; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 435; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 386; 7. ჯულია მანკუზო (აშშ) 329; 8. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 282; 9. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 252; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 242...**

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
დირექტორი
პაატა გელაშვილი
რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი
ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე
უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე
რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ზალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი
ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე
ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში
ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი
კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე
გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდებერიძე
მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე
პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.
2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".
სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.
ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)
დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია
პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი
მისამართები
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX
გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა